# გამარჯვებული ეკლესია

რიჩარდ ვურმბრანდის

ნაწერების შესწავლა,

სამ ნაწილად.

ჯონ ფაიფერი,

მილტონ მარტინი

წამებულთა

ხმის მიერ

შედგენილი

The Voice of the Martyrs

OM EAST

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 1 4/13/2012 11:13:18 AM

მთარგმნელი ლალი ჰანმერი
რედაქტორები: თამარ ღონღაძე
და დავით ჯუღელი

© 1999 by The Voice of the Martyrs.
For more information on today's persecuted church and
how you can help, contact:
The Voice of the Martyrs, Inc.

This project is a joint production by Voice of the Martyrs and OM EAST.



# 1

# იატაკქვეშა ეკლესიისათვის მზადება

ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი



26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 3 4/13/2012 11:13:19 AM

© 1999 წელი წამებულთა ხმის მიერ.
დღევანდელი წამებული ეკლესიების შესახებ მეტი ინფორმაციისა და მათი დახმარებისათვის, დაგვიკავშირდით:

The Voice of the Martyrs, Inc.

# შესავალი

შესაძლოა ვინმემ იფიქროს, რომ ეს არ არის იატაკქვეშა ეკლესიად წოდებული რომელიმე ორგანიზაციის მიერ გამოცემული მოკლე სახელმძღვანელო, რომელიც ფართო ქრისტიანულ საზოგადოებას წარმოადგენს. ეს უბრალოდ, ეკლესიაზე იმ ადამიანის აზრია, რომლის ხუცესურმა ცხოვრებამ, ციხის გამოცდილებამ და ფართომასშტაბიანმა ქადაგებებმა იმდენს მიაღწია, რომ მსოფლიოში განგაში ატყდა ათეისტური კომუნიზმის დადგომის საშიშროების გამო.

რიჩარდ ვურმბრანდის ნაწერებს წარდგენა არ ჭირდება. ისინი გულახდილობით გამოირჩევიან, ადვილად აღსაქმელნი არიან და იშვიათად თუ ტოვებენ ადამიანს გულგრილს მათში წამოჭრილი საკითხისადმი. ამ ხელნაწერებს მხოლოდ მცირეოდენი რედაქტირება დასჭირდა. აზრი თითქოს იმ ადამიანისაგან არის გადმოცემული, რომელიც ფიქრობს როგორც ებრაელი, კითხულობს როგორც ლინგვისტი, ლოცულობს როგორც მოციქული და წერს როგორც წინასწარმეტყველი. მისი უწყება არის კრისტალივით სუფთა.

თუ ის, რასაც ზოგიერთი ეკლესიის ხელმძღვანელი ამბობს მართალია, მაშინ, ადრე თუ გვიან, ეკლესია ალტერნატივის წინაშე უნდა დადგეს: სოციალ-პოლიტიკური კომპრომისი ანტიქრისტიანული ძალის წინაშე ან დაუსრულებელი რისხვა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი

პოლიტიკურ-რელიგიური იერარქიისაგან. ასეთ შემთხვევაში, ვურმბრანდი მართალია — ახლავე უნდა მოვემზადოთ.

ამგვარი ალტერნატივა უკვე გამოიკვეთა მსოფლიოს მრავალ კუთხეში. დაუშვებელია ვიფიქროთ, რომ იმ ნაწილში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ბოლომდე ასე გაგრძელდება და რეალობას გავექცევით. ამიტომ, როგორც ქრისტიანები, ახლავე მოვემზადოთ და დავრწმუნდეთ, რომ ჩვენს შვილებს ნათელი მაგალითი ექნებათ თვალწინ, ვიდრე მათი ჯერი დადგება.

გამომცემელი
იატაკქვეშა ეკლესიისათვის მზადება



# მოემზადე იატაკქვეშა ეკლესიისათვის – ახლავე

შემდეგ ანანიამ უპასუხა: „უფალო, ბევრისაგან მსმენია ამ ადამიანზე, რაოდენი ბოროტება გაუკეთა შენს წმიდებს იერუსალიმში“, მაგრამ უფალმა უთხრა მას: „წადი, რადგან ის ჩემი არჩეული ჭურჭელია რათა ატაროს ჩემი სახელი წარმართთა, მეფეთა და ისრაელიანთა წინაშე. მე ვაჩვენებ მას რამდენი უნდა იტანჯოს ჩემი სახელის გულისათვის“. (საქ. 9:13, 15, 16).

რამდენადაც ვიცი, მსოფლიოში არ არსებობს არცერთი თეოლოგიური სემინარია, ბიბლიური სკოლა ან უნივერსიტეტი, სადაც წაიკითხავდნენ კურსს იატაკქვეშა ეკლესიის შესახებ. თქვენ შეიძლება ისწავლოთ სემინარიაში სებალიანიზმისა და აპოლინარიანიზმის შესახებ, მაგრამ სემინარის დასრულებიდან ხუთი წუთის შემდეგ აღარ გახსოვთ მათ შესახებ. ალბათ ვერასოდეს გავიცნობთ სებელიანს ან აპოლინარეს. ვსწავლობთ კოპტური და ყველა სახის პატარა სექტების შესახებ, რომლებსაც სიცოცხლის განმავლობაში ვერ შევხვდებით, იატაკქვეშა ეკლესია კი მსოფლიოს ეკლესიების ერთ მესამედს წარმოადგენს. ადამიანების დიდი ნაწილი ვერასოდეს იფიქრებდა, თუ ოდესმე იატაკქვეშა ეკლესიის წარმომადგენლები გახდებოდნენ. ვიდრე ამერიკა დაკავებული იყო უოთერგეითის საკითხით, კომუნისტებმა თხუთმეტი ქვეყანა დაიპყრეს. ისლამი და ე.წ. ჰუმანისტური რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობები დიდ გავლენასა და ძალაუფლებას ფლობენ მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ერთ მესამედში, ამიტომ ქრისტიანმა ხუცესებმა

უნდა იცოდნენ როგორია იატაკქვეშა ეკლესია. ერთ ბრიტანელ ეპისკოპოსს საათზე მეტი ვესაუბრე ამ საკითხზე. ბოლოს მან თქვა: „უკაცრავად, მაგრამ თქვენ ჩემს გატაცებაზე საუბრობთ — ძალიან დაინტერესებული ვარ ეკლესიების არქიტექტურით. თუ შეგიძლიათ მითხარით, იყენებს თუ არა იატაკქვეშა ეკლესია გოთიკურ სტილს, ეკლესიების შენებისას?“

რომ ვთქვა, ვინ არის ეს ეპისკოპოსი, არ იქნებოდა მართებული, რადგან ძნელი წარმოსადგენია თუ როგორ შეიძლება ასეთი დიდი სახელის მატარებელმა კაცმა ასეთი კითხვა დასვას.

უდაოა, რომ იატაკქვეშა ეკლესია უცნობია. ის ჩვენს მეზობლად არის, მაგრამ არა ვართ მზად შევუერთდეთ, გაწვრთნილები არა ვართ საამისოდ. ყველა ქრისტიან ხუცესს აქვს თავისი წილი სამყარო თავისი თემის სახით და ეს უნდა ვიცოდეთ, რადგან შეიძლება ტრაგიკულ სიტუაციას თავი ვერ ავარიდოთ. ასეც რომ არ მოხდეს, მოვალენი ვართ ერთმანეთს დავეხმაროთ და რჩევა მივცეთ მათ, ვინც ანალოგიურ პრობლემებში აღმოჩნდებიან.

ბევრი მორწმუნე გამხდარა მსხვერპლი მუსლიმანურ სამყაროსა და წითელ ჩინეთში. მრავალი წასულა ციხეში და მრავალი იქვე გარდაცვლილა. არ შეიძლება ამით ვიამაყოთ. უკეთესი იქნებოდა გვცოდნოდა როგორ გვეწარმოებინა იატაკქვეშა მუშაობა ისე, რომ ეს ყველაფერი თავიდან აგვეცილებინა.

ადამიანებს, რომლებიც ომში თავისი სამშობლოსათვის კვდებიან, იმდენად არ აღმერთებენ, რამდენადაც იმათ, ვინც იძულებული გახადა მტერი მოეკლა. მე კი არ უნდა მოვკვდე ჩემი სამშობლოსათვის, ის უნდა მოკვდეს მისთვის. მოხიბლული ვარ მისით, ვინც იცის, როგორ უნდა იმუშაოს, რომ არ დაიჭირონ. ამიტომ ჩვენც უნდა ვიცოდეთ იატაკქვეშა მუშაობა.

## ᲢᲐᲜᲯᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

წარმოუდგენელია იატაკქვეშა ეკლესიაში ტანჯვის თავიდან აცილება, როგორი ზომებიც არ უნდა მივიღოთ, მაგრამ რამდენადაც შესაძლებელია, უნდა შევამციროთ ტანჯვა.

ამ საკითხზე სრულფასოვან კურსს მოკლე დროში ვერ

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 8 4/13/2012 11:13:20 AM

ჩავატარებთ. სთხოვეთ თქვენს სინოდს ან დენომინაციას გაგაცნონ იატაკქვეშა ეკლესიების საქმიანობა.

რა ხდება ქვეყანაში, როცა მომალადე ხელისუფლება მოდის სათავეში? ზოგიერთ ქვეყანაში ტერორი იწყება დაუყოვნებლივ, მსგავსად მოზამბიკისა და კამბოჯისა. ზოგან, ხელისუფლების ცვლას რელიგიური თავისუფლება მოჰყვება. სხვაგან კი სხვაგვარი მოვლენები ხდება. ზოგჯერ ისეთი რეჟიმი მოდის სათავეში, რომელსაც რეალურად ძალაუფლება არ გააჩნია. ხალხი არ არის მათ მხარეს. მათ ჯერ კიდევ არ მოუწესრიგებიათ პოლიცია და არმია. რუსეთში კომუნისტებმა დაუყოვნებლივ თავისუფლება გამოუცხადეს პროტესტანტებს მართლმადიდებლობის განადგურების მიზნით. შემდეგ კი ჯერ მართლმადიდებლებს შეუტიეს, მერე პროტესტანტებს მისდგნენ. ამ პროცესის საწყისი ეტაპი დიდხანს არ გაგრძელებულა. ამ დროის განმავლობაში ეკლესიები გაფილტრეს და თავიანთი ხალხი დასვეს ხელმძღვანელ თანამდებობებზე. მთავრობამ ხუცესების სუსტ წერტილს მიაგნო. ზოგიერთი, შესაძლოა, ამბიციური ადამიანი იყო და ზოგიც ფულის მახეში გაბმული, ზოგიერთს ოდესღაც ცოდვა ჰქონდა ჩადენილი და ამით აშანტაჟებდნენ – აიძულებდნენ ეს ცოდვა ეღიარებინა, ხელმძღვანელი „პოსტი" დაეთმო და თავისი კაცი დაესვათ მის ადგილზე. რაღაც დროის შემდეგ დევნა აუცილებლად იწყება. რუმინეთში ასეთი რამ ერთ დღეში მოხდა. ყველა კათოლიკე ეპისკოპოსი ურიცხვ მღვდელთან, ბერთან და მონაზონთან ერთად ციხეში ჩასვეს. მრავალი უკან აღარ დაბრუნებულა.

იესომ, ჩვენმა უფალმა, უთხრა ანანიას: „შეხვდი ტარსუსელ საულს. ის იქნება ჩემი იატაკქვეშა ხუცესი, ჩემი საიდუმლო მუშაკი". ეს ნიშნავს იმას, რომ პავლე იყო იატაკქვეშა ეკლესიის ხუცესი. იესომ დაიწყო მსხვერპლის კურსი, ამ იატაკქვეშა ხუცესისათვის. ეს პროცესი დაიწყო სიტყვებით – „მე ვაჩვენებ მას რამდენი რამისათვის უნდა ეწამოს..."

იატაკქვეშა საქმიანობისათვის მზადება იწყება მარტიროლოგიისა და ტანჯულთა ცხოვრების შესწავლით. სოლჟენიცინი თავის წიგნში – „არქიპელაგი გულაგი" – ამბობს, რომ მილიციის ოფიცერს ყოფილ საბჭოთა კავშირში გავლილი ჰქონდა დაპატიმრების კურსი, ანუ მეცნიერება იმის შესახებ თუ

როგორ დააპატიმრო ადამიანი ისე, რომ გარეშე მყოფებმა ვერ შეამჩნიონ. თუ მათ შეადგინეს ამ დარგისთვის ახალი სახელი, მოდი ჩვენც გამოვიგონოთ სახელი – "ტანჯვალოგია".

მოგვიანებით, ჩვენ შევეხებით იატაკქვეშა მუშაობის ტექნიკურ მხარეს, მაგრამ პირველ რიგში სულიერი მომზადებაა საჭირო. თავისუფალ ქვეყანაში ეკლესიის წევრი რომ გახდე, საკმარისია ირწმუნო და მოინათლო. იატაკქვეშა ეკლესიაში კი წევრობა საკმარისი არ არის. მოინათლები და ირწმუნებ კიდეც, მაგრამ წევრი ვერ იქნები, თუ არ იცი როგორ ეწამო. შეიძლება ყოვლისშემძლე რწმენა გაგაჩნდეს, მაგრამ თუ ტანჯვისათვის არა ხარ მზად, მალე პოლიცია წაგიყვანს. ერთი-ორს გაგილაწუნებენ და ყველაფერს დაფქვავ. ასე რომ, მზადება ყველაზე მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია იატაკქვეშა ეკლესიისათვის. ქრისტიანი პანიკაში არ ვარდება ციხეში მოხვედრისას. ასეთი მორწმუნისათვის ციხე არის ახალი ადგილი ქრისტეს სიტყვის საქადაგებლად.

ხუცესისათვის ციხე არის ახალი თემი. თემი, არა მატერიალური შემოსავლისათვის, არამედ მუშაობისათვის. ამ საკითხს მოკლედ ვეხები ჩემს წიგნში – „ღმერთთან განმარტოებული საკანი". სხვა წიგნებში ვეხები მორზეს ანბანს, რომელიც იატაკქვეშა ეკლესიის სწავლების ნაწილს წარმოადგენს. იცით რის შესახებ არის საუბარი? კოდი, რომლის მეშვეობითაც ამბავია გადმოცემული. ამ კოდის საშუალებით შეგიძლიათ სახარება უქადაგოთ თქვენს მეზობელ საკანებში მჯდომ ადამიანებს. პატიმრები ხშირად იცვლებიან. ზოგი მიჰყავთ და ზოგი მოჰყავთ. ღმერთს მრავალი ადამიანისათვის მიუცია შესაძლებლობა, რომ მორზეს ანბანის მეშვეობით პატიმარი ქრისტესთან მიეყვანა. ისეთი ადამიანი, რომელიც მათ არასოდეს უნახავთ მანამდე. მეც რამდენიმე თემი მქონდა ციხეში.

თავისუფალ ქვეყანაში, ეკლესიაში შეიძლება დარეკო საკვირაო მსახურების ზარი. თუ ვინმეს სურვილი აქვს მოვა, თუ არადა – არა. თუ ამ კვირას მსახურება არ მოეწონათ, მომავალ კვირასაც აღარ მოგეკარებიან, სულ ერთია, მაინც არ მოვლენ როგორი ამინდიც არ უდა იდგეს. ციხის საკანში მეზობლად მჯდომთა სახით კი გყავს თემი, რომელიც მთელი დღე შენს

გვერდით იქნება. გარეთ მყოფი ადამიანები საათს დააჩერდებიან: „უკვე ნახევარი საათი იქადაგა. აღარ ამთავრებს?“ როცა გაპატიმრებენ, საათს ჩამოგართმევენ; თემის წევრები მთელი კვირის განმავლობაში შენს გვერდით არიან და შეგიძლია დღე და ღამე უქადაგო! არჩევანი აღარ აქვთ. რუმინეთისა და რუსეთის ეკლესიების ცხოვრებაში არასოდეს ყოფილა იმდენი გარდაქმნა, როგორც ციხეში. ასე რომ ნუ შეგეშინდება ციხის. შეხედე ამას, როგორც ღმერთისაგან მოცემულ ახალ დავალებას. მახსოვს, როცა მეორედ დამაპატიმრეს, ჩემმა მეუღლემ მითხრა გამომშვიდობებისას, ვიდრე პოლიციელი წამიყვანდა: „რიჩარდ, გახსოვდეს, რომ დაწერილია, „წაყვანილ იქნები მმართველებისა და მეფეების წინაშე, რათა დაუმოწმო მათ“.

ადამიანი ღებულობს ამას. მაგრამ, რა შეიძლება ვთქვათ იმ წამებაზე, რასაც პატიმრების მიმართ ახორციელებენ? თუ ამის ატანა არ შემიძლია, შედეგად მომდევნო ორმოცდაათ-სამოცამდე ნაცნობ ადამიანს ჩავსვამ ციხეში. რადგან, ეს არის ის, რაც მოძალადეს ჩემგან სურს, გავცე ჩემს გარშემო მყოფები. უკვე დგება ჟამი ტანჯვისათვის მოსამზადებლად, რომელიც ახლავე უნდა დაიწყოთ რადგან ძალიან ძნელია დაიწყო მაშინ, როდესაც უკვე ციხეში ხარ.

მახსოვს შემთხვევა, როდესაც ოცი წლის სტაჟის მქონე ხუცესმა ქალთან შესცოდა. დანარჩენი ხუცესები ბჭობდნენ და ამბობდნენ: „მისი ცოდვა არ არის ის, რაც მან იმ საღამოს ჩაიდინა; შეუძლებელი იყო ცდუნების გაძლება შექმნილი მდგომარეობის გამო”. მაგრამ უკეთესი იქნებოდა, რომ ოცი წლის წინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო ამ განსაცდელში, ეთქვა საკუთარი თავისათვის: „ჩემი ხუცესობის განმავლობაში მრავალი რამ დამემართება. სხვა მრავალ განსაცდელთან ერთად სექსუალური ცოდვის ცდუნებაც მომეძალება. ამას არ ჩავიდენ“. საკუთარი თავი წინასწარ უნდა მოამზადო ყველა რეალობისათვის. ჩვენც ასევე უნდა მოვემზადოთ ტანჯვისათვის.

## ჭეშმარიტება ჭეშმარიტების შესახებ

რა დონემდე შეიძლება ეწამოს თითოეული ჩვენგანი? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ახდენს ჩვენზე გავლენას და რას

წარმოადგენს თითოეული ჩვენგანისთვის საზოგადოებრივი აზრი და ჩვენი მდგომარეობა ამ საზოგადოებაში.

ამ კუთხით მალიან დიდი და უსიამოვნო სიურპრიზები გვქონდა კომუნისტურ ქვეყნებში. იყვნენ მქადაგებლები და ქრისტიანული ლიტერატურის ავტორები, რომლებიც გამყიდველები გახდნენ. თავისუფალი რუმინეთის საუკეთესო ჰიმნის ავტორმა, კომუნისტური მთავრობის საუკეთესო ჰიმნიც დაწერა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ვართ საზოგადოებრივი წრის გავლენის ქვეშ თუ შერწყმულნი ვართ ღვთაებრივ რეალობასთან.

ღმერთი არის ჭეშმარიტება. ბიბლია არის ჭეშმარიტება ჭეშმარიტების შესახებ. თეოლოგია არის ჭეშმარიტება ჭეშმარიტებისა და ჭეშმარიტების შესახებ. კარგი მსახურება არის ჭეშმარიტება ჭეშმარიტებისა და ჭეშმარიტების შესახებ. ეს არ არის ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება ღმერთია მხოლოდ. ამ ჭეშმარიტების გარშემო სიტყვები აზრს კარგავენ და ვეღარაფერი დაგვეხმარება ტანჯვის დროს. თვით ჭეშმარიტება არის დახმარება, რასაც უნდა მივაღწიოთ მსახურებების, თეოლოგიური წიგნებისა და ყველა „სიტყვის" საშუალებით და შევეკრათ თვით ღმერთს.

დასავლეთში ხალხს ვუამბე როგორ იყვნენ ქრისტიანები ჯვარზე გაკრულნი ოთხი დღე-ღამის განმავლობაში. ჯვრებს იატაკზე დებდნენ და აიძულებდნენ სხვა პატიმრებს თავიანთი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები შეესრულებინათ ჯვარცმულების სახეზე და სხეულზე. მას შემდეგ მეკითხებიან, „ბიბლიის რომელი მუხლები დაგეხმარა და გაგამხნევა ამ მდგომარეობის გადალახვაში?" ჩემი პასუხია „ბიბლიის ერთი მუხლიც არ დამხმარებია". აშკარა რელიგირი ფარისევლობაა თქვა, „ბიბლიის ეს მუხლი მამხნევებს ან მეხმარება მე". ბიბლიური მუხლები მხოლოდ დასახმარებლად არ არიან. ვიცით ფსალმუნი 22: „უფალი ჩემი მწყემსია; არაფრის არ მეშინია... შავეთის ველზეც რომ ვიარო..."

როცა ტანჯვა-წამებას გაივლი, მიხვდები, რომ 22-ე ფსალმუნის დაწერის მიზანი განსაცდელში შენი გამხნევება არ ყოფილა. მხოლოდ ღმერთია, ვისაც შეუძლია შენი გამხნევება და არა ფსალმუნს, რომელიც მის მოქმედებაზე საუბრობს.

საკმარისი არ არის ფსალმუნის არსებობა. ჩვენ ეს მუხლიც ვიცით – „ჩემი წყალობა საკმარისია შენთვის“ (2 კორ. 12:9), მაგრამ მუხლი არ არის საკმარისი, მადლია საკმარისი და არა მუხლი.

ხუცესებისა და მოშურნე დამმოწმებლებისთვის, რომლებიც ღვთის სიტყვას განიხილავენ როგორც ღვთის მოწოდებას, არსებობს საშიშროება მიანიჭონ იმაზე მეტი მნიშვნელობა წმინდა სიტყვას, ვიდრე მას სინამდვილეში აქვს. წმინდა სიტყვა არის რეალობის გამომხატველი გზა. თუ გაერთიანებული ხარ რეალობასთან – ყოვლისშემძლე უფალთან, ბოროტება კარგავს შენზე ძალას; მას არ ძალუძს უფლის დამარცხება. თუ მხოლოდ ყოვლისშემძლის სიტყვები გაქვს, ადვილად შეიძლება გატყდე.

## სულიერი ვარჯიში

იატაკქვეშა მუშაობისათვის მომზადება არის დიდ სულიერებაში შესვლის პროცესი. როგორც ხახვს ვფცქვნით მის გამოსაყენებლად, ასევე ღმერთმაც უნდა „გაგვფცქვნას“, რათა მიგვაღწევინოს რეალურ რწმენამდე. იესომ გვითხრა, „ყველა, ვინც მოისურვებს გამომყვეს“, უნდა „აიღოს თავისი ჯვარი“, უფალმა თვითონ გვიჩვენა რამდენად მძიმეა ეს. ჩვენც უნდა მოვემზადოთ ამისათვის.

პორნოგრაფიული ჟურნალი ან განცხადება აღაგზნებს ადამიანის წარმოდგენებს. ზუსტად იგივე გზით უნდა აღვანთოთ ჩვენი სულიერი რეალობა. სულიერად უნდა ვივარჯიშოთ. ვწუხვარ, რომ სულიერი ვარჯიში თითქმის უცნობია პროტესტანტიზმისათვის, რაც უნდა გამოვაღვიძოთ იატაკქვეშა ეკლესიაში. ზოგიერთი კათოლიკე და რეფორმატორი არასწორად იყენებს სულიერ ვარჯიშს. ყოველთვის არსებობს მერყევი ადამიანების მოძრაობა. ერთი ერთ უკიდურესობაში ჩავარდა, მეორე – მეორეში.

ზოგიერთებმა სულიერი ვარჯიშის საბაბით განიცადეს ძალადობა, რის გამოც დანარჩენები საერთოდ აღარ მისდევენ მას. არა მხოლოდ ლოცვას უნდა მივყვეთ, არამედ ჭვრეტასაც. წერილში ებრაელთა მიმართ, მეთერთმეტე თავში, გრძელი სიაა იმ ადამიანებისა, რომლებსაც ხერხავდნენ, აწამებდნენ,

წავდნენ და ლომის ხახაში აგდებდნენ. უნდა შევძლოთ ანალოგიური სიტუაციების საკუთარ თავზე წარმოდგენა. ახლა მე ლომების წინაშე ვარ, მცემენ, დაწვით მემუქრებიან და ა.შ. როგორ მოვიქცევი ასეთ შემთხვევაში?

მახსოვს საკვირაო სკოლის ბოლო გაკვეთილი, ვიდრე რუმინეთს დავტოვებდი. ათი-თხუთმეტი გოგო-ბიჭი წავიყვანე კვირა დილით არა ეკლესიაში, არამედ ზოოპარკში. ლომების გალიის წინ ვუთხარი მათ, „თქვენს წინაპრებს რწმენის გამოსაცდელად ასეთი მხეცების ხაროში ყრიდნენ. იცით, რომ თქვენც უნდა გამოიცადოთ. ლომების გალიაში არ ჩაგყრიან, მაგრამ ადამიანის ხელით ეწამებით, რაც ლომებზე უარესი იქნება. გადაწყვიტეთ აქ, ახლა, გამოუცხადებთ თუ არა ქრისტეს ერთგულებას“. თვალებზე ცრემლი წამოუვიდათ და თქვეს – „დიახ“.

დაპატიმრებამდე უნდა მოვემზადოთ. ციხეში ყვალაფერს დაკარგავ. ყველაფერს გაგხდიან და ციხის ტანსაცმლით შეგმოსავენ. აღარც კარგი ავეჯი, ნოხები, არც ლამაზი ფარდები. ცოლ-შვილიც აღარა გყავს ამის შემდეგ. არა გაქვს შენი ბიბლიოთეკა და ვეღარ დაინახავ ყვავილებს. არაფერი აღარ გრჩება იმისგან, რაც ცხოვრებას სასიამოვნოს ხდიდა. არავინ ამბობს უარს ცხოვრებისეულ სიამტკბილობაზე. კოლასელთა წერილში საუბარია სხეულის ნაწილების მოკვდინებაზე. კათოლიკების მოშურნეობამ და საკითხის გაუცნობიერებლობამ გამოიწვია ცრურწმენები და ცოდვის გამოსასყიდი თანხის დაკანონება. პროტესტანტებმა საერთოდ მიატოვეს ხორცის მოკვდინების იდეა. მაგრამ არსებობს ქრისტიანული ხორცის მოკვდინება, „უარყოფა“ მიწიური სიხარულისა. ქრისტიანი, რომელიც ახლა მოემზადება, აღარ დაიტანჯება ციხეში მათი დაკარგვით გამოწვეული ტკივილით. მიწიერი საგნები მათთან მგრძნობელობითი შეხებისა თუ გავლენის გარეშე უნდა გამოიყენო.

პირადად მე სავარჯიშოს მივმართავ. ვცხოვრობ ამერიკის შეერთებულ შტატებში. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ რას ნიშნავს ამერიკული სუპერმარკეტი? ძალიან ბევრი გემრიელი საჭმელი შეიძლება ნახოთ იქ. შევხედავ ამ ყველაფერს და ვიტყვი, „მე შემიძლია გავძლო ამის და იმის გარეშე; ეს რაღაც

ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ შემიძლია გავძლო ამის გარეშე; ეს, მესამე, ამის გარეშეც შეიძლება გავძლო". მთელი მარკეტი შემოვიარე და ერთი დოლარიც არ დამიხარჯავს. ვისიამოვნე მრავალი ლამაზი ნივთის ხილვით და აგრეთვე იმით, რომ შემიძლია მათ გარეშე არსებობა.

თანამედროვე ლიბერალური თეოლოგებიც გვყავს. ყველა მათგანი უარუყოფს წამებას. „რატომ უნდა მოვკვდე მკვდარი ღმერთისთვის და პრობლემური ბიბლიისათვის? თუ ადამისა და ევას ისტორია მართალი არ არის, თუ იესო ნავეს ძემ მზე არ გააჩერა, თუ წინასწარმეტყველებები დაიწერა მათი არსებობიდან მრავალი წლის შემდეგ, თუ იესო არ დაბადებულა ქალწულისაგან და არ აღდგა მკვდრეთით – მაშინ ბიბლიაში იმაზე მეტი ტყუილია, ვიდრე საბჭოთა გაზეთ „პრავდაში".

რატომ უნდა წავიდე სიკვდილზე იმისათვის, რაც არ არის ჭეშმარიტება და სულ ცოტა, პრობლემად მაინც რჩება?"

## ᲔᲭᲕᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔᲔᲑᲡ

მე ებრაელი ვარ. ებრაულში, ენაში რომელზეც თვითონ იესო ლაპარაკობდა და რომლითაც პირველი გამოცხადება იქნა მოცემული, სიტყვა „ეჭვი" არ არსებობს. ეჭვი ისეთივე უკუღმართობაა ადამიანისათვის, როგორც ოთხ ფეხზე სიარული. ასეთი ქმედება არ არის ბუნებრივი. ადამიანი დადის გამართულად, რადგან ის არ არის მხეცი. ეჭვის შეტანა არის ადამიანური ნაკლი. ყველა ჩვენგანში შემოდის ეჭვი, მაგრამ ეს არ უნდა ეხებოდეს ბიბლიის სასიცოცხლო დოქტრინებს, როგორებიცაა: ღმერთის არსებობა, იესო ქრისტეს აღდგომა ან საუკუნო სიცოცხლე. ამისთვის უნდა გქონდეს ბუდე შენს გონებაში. ყოველი თეოლოგიური თუ ფილოსოფიური ეჭვი წარმოქმნის პოტენციურ მოღალატეს. შეიძლება ნება დართო ეჭვს სწავლების პროცესში და მსახურების მომზადებაში, კარგად ჭამასა თუ წიგნის წერაში. შეგიძლია ყველა სახის ეჭვი და ფიქრი გაბედო, როცა გაწამებენ, მაგრამ ეს ეჭვები შეიძლება სახელმწიფო დანაშაულად გადაიქცეს, რადგან უნდა გადაწყვიტო – მოკვდე თუ გადარჩე შენი რწმენის გამო.

სულიერი მომზადებისას მნიშვნელოვანია ეჭვებიდან

გამოსავლის პოვნა. მათემატიკაში თუ ვერ იპოვი პასუხს, ესე იგი სადღაც შეცდომა დაუშვი. იქამდე აგრძელებ მუშაობას ვიდრე გამოსავალს არ მიაგნებ. ეჭვებით ნუ იცხოვრებ, არამედ ეძიე გამოსავალი.

## წამების ტესტი

ახლა მოვედით წამების მომენტთან. წამება ხანდახან ძალიან მტკივნეულია. ჯალათები იყენებენ სიწითლემდე გაცხელებულ უთოს. ხანდახან უბრალოდ გცემენ. ყველას წამოგვარტყამდნენ ხოლმე მეტ-ნაკლებად ბავშვობაში, ეს ცემა კი სულს ხვაგვარია. უბრალო ცემის ატანა ადვილია. იესომ თქვა, რომ ბავშვებივით უნდა მივიდეთ მასთან, რაც წამორტყმის კანდიდატებად გვსახავს!

ექიმი მოვიდა და მითხრა, „რა ვქნა? იქნებ ფანჯრიდან გადავხტე? წამდაუწუმ მიბარებენ და მთხოვენ, რომ იატაკქვეშა ეკლესიის ინფორმატორი გავხდე. მაშინებენ და მეუბნებიან, რომ მცემენ თუ ამას არ გავაკეთებ. რა უნდა ვქნა? საშინელებაა ფიქრი გცემაზე. არ შემიძლია ამის ატანა. ალტერნატივაც მაქვს – გავხდე ინფორმატორი, ან გადავხტე ფანჯრიდან“. მე ვუთხარი – „სხვა გამოსავალიც გაქვს. მიეცი შენს ქმარს ჯოხი და უთხარი, რომ გცემოს და ნახე როგორ აიტან ამას“. ნუ შეგეშინდება ცემის.

კომუნისტებს, რატომღაც, ჩვენი ცემისთვის თავი არასოდეს გაუნებებიათ. წამებას ორგვარი გავლენის მოხდენა შეუძლია. შეიძლება გაგამკაცროს და გააძლიეროს შენი გადაწყვეტილება, არ უთხრა პოლიციას არაფერი. არიან ქურდები, რომლებიც წამებას იტანენ და მაინც არ ასმენენ ქურდობის თანამონაწილეებს. რაც უფრო მეტს სცემენ, უფრო ჯიუტები ხდებიან. თუმცა წამებამ შეიძლება სრულიად შეარყიოს შენი სულიერი მდგომარეობა.

ერთ საინტერესო შემთხვევას გეტყვით, რომლის შესახებაც ჩეხურ პრესაში ალექსანდრე დუბჩეკის მმართველობის დროს დაიბეჭდა. ნოვოტნიმ, დუბჩეკის წინამორბედმა, რომელიც ტიპიური კომუნისტური დიქტატორი იყო, დააპატიმრა საკუთარი მეგობარი, კომუნისტი ლიდერი, ათეისტი და

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი (არა მხოლოდ ქრისტიანები, ებრაელები ან პატრიოტები იყვნენ ციხეში. ერთმა კომუნისტმა დააპატიმრა მეორე და ისე მოექცნენ, როგორც სხვებს). მათ დააპატიმრეს ეს კაცი და საკანში მარტო ჩასვეს. მის საკანში გადიოდა ელექტრომაგნიტური სხივები, რომელიც გონებრივ აშლილობას იწვევს. ხმამაღლა მოლაპარაკე რადიო გაიძახოდა მის საკანში დღე და ღამ: „არის თუ არა შენი სახელი იოსები, თუ არ არის იოსები?“ (მისი სახელი არ იყო იოსები.) „იფიქრე, იოსები ხარ, თუ არ ხარ იოსები. ამერიკის უდიდესი კრიმინალი არის დილლინგერი, შენ დილლინგერზე დიდი კრიმინალი ხარ. რა გქვია? იოსები? შენ კონტრრევოლუციონერი ხარ, შენ ჯაშუში ხარ, იოსები ხარ თუ არა?“

ისინი მის გასულელებას ცდილობდნენ დღე და ღამე. გრძნობდა, რომ გონება ეკარგებოდა. ერთხელ რაღაც გაუნათდა გონებაში. მე არ შევხვედრივარ ნამდვილ ეშმაკს. თუ კომუნისტები ქრისტიანებს აწამებენ, მაშინ ის ყოფილა ნამდვილი ეშმაკი. კომუნისტებს სჯერათ, რომ ამქვეყნიურ სამოთხეს შექმნიან, ქრისტიანები კი მათ ხელს უშლიან. სწორედ ამიტომ გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს ქრისტიანების წამება. მაგრამ, როცა კომუნისტი კომუნისტს აწამებს, ეს მწამებლის ჟინის დაკმაყოფილების გამო ხდება. ამას კი გამართლება არ გააჩნია. მაგრამ მოიცადეთ ცოტა ხანი. ყოველ მედალს აქვს ორი მხარე, ყოველ ელექტრონულ ხაზს აქვს ორი ბოლო, ვის წინააღმდეგ იბრძვის ეს ეშმაკი? მეორე მხარეს უნდა იყოს ჭეშმარიტი სიკეთე. ეს არის ღმერთი და სწორედაც რომ მის წინააღმდეგ იბრძვიან კომუნისტები.”

როდესაც ეს კომუნისტი დაკითხვაზე გამოიძახეს, სიცილით შევიდა ოთახში და თქვა — „ახლა შეგიძლიათ ჩამწერის გამორთვა, მან თავის მიზანს მიაღწია – მე ქრისტიანი გავხდი“. ოფიცერმა ჰკითხა, „როგორ მოხდა ეს?“ მთელი ისტორია უამბო. ოფიცერმა თქვა, „მოიცადე ცოტა ხანს“. მან დაუძახა რამდენიმე თავის კოლეგას და თქვა, „გთხოვ, გაიმეორე იგივე ამბავი ჩემი ოფიცრების წინაშე“. პატიმარმა ამბავი გაიმეორა და კაპიტანმა პოლიციის სხვა ოფიცერს უთხრა, „ხომ გითხარი, რომ ეს მეთოდი არ გაამართლებდა. თქვენ გადააჭარბეთ“.

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 17 4/13/2012 11:13:21 AM

ეშმაკი არ არის ყოვლისშემძლე და ღვთისმიერი სიბრძნეც არ გააჩნია. ის შეცდომებს უშვებს. ეშმაკისმიერი წამება შესაძლოა სულიერად სასარგებლოდ გადაიქცეს.

## კრიზისის მომენტი

წამებას აქვს აფექტის მომენტი და მწამებელი ამ მომენტს ელოდება. ისწავლე, როგორ დაამარცხო ეჭვი და იფიქრო საფუძვლიანად. ყოველთვის არის ერთი მომენტი, როდესაც მზად ხარ დაასახელო შენი იატაკქვეშა საქმიანობის თანამშრომლები. თქვა სად არის საიდუმლო გაზეთის ბეჭდვის ადგილი, ან რაიმე ამდაგვარი. ისე გაწამეს, რომ შენთვის აღარაფერს აღარა აქვს მნიშვნელობა; ის ფაქტი, რომ ტკივილის შეგრძნება გაქვს, აზრს კარგავს. ამ დასკვნების გააზრების შემდეგ შეძლებ მდგომარეობიდან გამოსვლას, რაც შინაგან სიხარულს მოგგვრის. ასეთ დროს აცნობიერებ, რომ ქრისტე იმ მომენტში შენთან ყოფილა. დღეს კარგად არიან გაწვრთნილი პატიმრები და იციან, რომ ეს მომენტი ყველას დაუდგება. თუ იმ წუთში ვერ დაგტყუებენ ვერაფერს, წამებას თავს დაანებებენ: იციან, რომ გაგრძელებას აზრი არ ექნება.

ქრისტიანად გახდომის შემდეგ მეუბნებოდნენ, რომ ყოველდღე მეკითხა. ჩემს ვაჟ მიხასთან ერთად, სამი თუ ოთხი წლის ასაკიდან, ვკითხულობდით ბიბლიას და წმინდანების ცხოვრებას. ვკითხულობდით ფოქსის წამებულთა წიგნს; წაუკითხეთ თქვენს ბავშვებსაც. ასწავლეთ მათ, როგორ შეძლეს წამებულებმა კრიზისის მომენტიდან გამოსვლა.

კიდევ რამდენიმე მომენტია წამებასთან დაკავშირებით. ძალიან მნიშვნელოვანია გავიგოთ, რა თქვა ქრისტემ: „ნუ სწუხარ ხვალინდელ დღეზე, ხვალინდელი დღე თვითონ იზრუნებს საკუთარ თავზე“ (მათე 6:34). თოთხმეტი წელი ვიყავი ციხეში. ძმა ხრაპოვს ოცდაექვსი წელი ჰქონდა, უონგ მინგ-დაოს – ოცდაექვსი. აუტანელი ჩანს ამდენ ხანს ციხეში ყოფნა. ერთბაშად ამის ატანას არც გთხოვენ. ერთ დღესაც კი ნუ აიტან ერთდროულად. ჯერ ერთ საათს გაუძელი. ერთსაათიანი ტკივილის ატანა ყველა ადამიანს შეუძლია. ძლიერი კბილის ტკივილი გვქონია ან საშინელი ავარია გამოგვივლია. არ

ვგულისხმობ, რომ ამჟამინდელ ტკივილზე მეტი უნდა აიტანო. ტკივილს აზვიადებს მახსოვრობა, მრავალჯერ მცემეს და მაწამეს, ვიცი, რომ ხვალ და ზეგაც წამიყვანენ და იგივეს მიზამენ. ხვალ შეიძლება ცოცხალიც არ ვიყო. ხვალ შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს, როგორც რუმინეთში. გუშინდელმა ცემამ ჩაიარა; ხვალინდელი წამება ჯერ კიდევ არ მოსულა.

პროფესორი ვარ წამებოლოგიაში. პირველ რიგში, წამება არის საშინელი შოკი და ტკივილი. მაგრამ ეს ასე არ გაგრძელდება. კარდინალ მინდსენტს ოცდაცხრა დღე-ღამის განმავლობაში ძილის ნება არ დართეს, რის შემდეგაც ყველაფრი დაფქვა რაც იცოდა. რა მოხდა? რამდენიმე დღე-ღამის უძილობის შემდეგ, ან რამდენიმე დღიანი ფსიქოლოგიური წამების შემდეგ, მოდის მომენტი, როდესაც აღარაფერს მნიშვნელობა აღარა აქვს შენთვის. გავიწყდება შენი მოვალეობა ცოლ-შვილის მიმართ, შენი კარგი სახელისა და ღმერთის მიმართ. აბსოლუტურად ინდიფერენტული ხდები. ეს არის კრიტიკული მომენტი, სწორედ ამ დროს არის სწორად სუნთქვა საჭირო. დაიწყე ვარჯიში სწორად სუნთქვაში.

ინდუსები და ბუდისტები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სუნთქვას იოგას ვარჯიშებში. მოდით, ახლა ბიბლიაში წავიკითხოთ სხვადასხვაგვარი სუნთქვის შესახებ. იესომ „სული შთაბერა" მოციქულებს. ნათქვამია, რომ იესომ მათ სულიწმინდა შთაბერა. ასე რომ, გვაქვს განსაკუთრებული სუნთქვა, რომელიც გადმოგვცემს სული წმინდას. მართლმადიდებლურ ეკლესიაში, ნათლობის დროს, მღვდელი და ნათლიები სამჯერ უბერავენ ბავშვს. როდესაც იესომ შთაბერა, სული წმინდა შთაბერა. საქმეების მეცხრე თავში დაწერილია, საულმა შეუბერა „მუქარა და მკვლელობა". არიან კრიმინალები, რომლებიც უბერავენ დანაშაულის სულს. იერემიას წიგნში წერია მათზე „ვინც სხვის ცოლს დააჭიხვინებს". ეს არის მრუშისეული სუნთქვა. კიდევ არის ერთი სუნთქვა, მაღალი ემოციის დროს. ეცადე წაეჩხუბო ვინმეს, როცა ნელა, რიტმულად და ღრმად სუნთქავ. ნახავ, რომ ჩხუბს ვერ შეძლებ.

სწორი სუნთქვა არის წამებისთვის წინააღმდეგობის გაწევის საშუალება. გამყიდველობა ნიშნავს მთელი ეკლესიის დარბევას. შენ ქრისტიანი ხარ, რომელსაც ღმერთი და ძალიან

ბევრი ქრისტიანი ენდობა. იატაკქვეშა ეკლესიამ მოგანდო თავისი საიდუმლოებები. გაცემა ძლიერ ემოციას გამოიწვევდა. შეუძლებელია ვინმესთან ჩხუბი და ყვირილი, ვიდრე რიტმულად და ღრმად სუნთქავ. არც გამცემის ძლიერი ემოციის გადაცემა შეგიძლია ვიდრე ასე ისუნთქებ. ისუნთქე რიტმულად, წყნარად, ძალიან ღრმად. ჟანგბადი აძლევს სხეულს წინააღმდეგობის გაწევის უნარს, რომელიც აწონასწორებს რეაქციას და გაძლევს დადებით დამოკიდებულებას.

სხვა, რაც იატაკქვეშა საქმიანობის თანამშრომელმა უნდა იცოდეს, თავიდან ფეხის ფრჩხილამდე არის ის, რომ ქრისტიანი იესო ქრისტეს სხეულს ეკუთვნის. ის ეკუთვნის სხეულს, რომელიც 2 000 წლის წინ გაშოლტეს. იგი ყოველთვის ნაგვემი იყო, არა მარტო გოლგოთაზე, არამედ რომის მმართველისა და სხვა მრავალი გამცემის მიერ. ის იგვემებოდა ნაცისტების მიერ, ასევე რუსეთში – სამოცდაათ წელზე მეტხანს. როდესაც მოვექეცი, შეგნებულად გავხდი ნაგვემი სხეულის ნაწილი, შეფურთხებულის ნაწილი; სხეული, რომელსაც დაადგეს ეკლის გვირგვინი, ხელები და ფეხები ლურსმნით გაუგმირეს. რასაც ვიღებ, როგორც ჩემს მომავალ ბედს. იესოზე ვერასოდეს ვიფიქრებ როგორც 2 000 წლის წინანდელ წამებულზე. იესოს მისტიურ სხეულში ტანჯვა უნდა გახდეს ჩემთვის რეალური.

## სიყვარული მარადიულია

ბიბლია ზოგიერთ მძიმედ მისაღებ სიტყვებს გვასწავლის: „ვისაც დედა და მამა ჩემზე მეტად უყვარს, ის ჩემი ღირსი არ არის. და ის, ვისაც თავისი ვაჟი და ასული ჩემზე მეტად უყვარს, ჩემი ღირსი არ არის“ (მათე 10:37). ეს სიტყვები თითქმის არაფერს არ ნიშნავს თავისუფალ ქვეყანაში.

ალბათ გსმენიათ წამებულთა ხმის მიერ გავრცელებული ლიტერატურის მეშვეობით, რომ ათასობით ბავშვი დააშორეს მშობლებს ყოფილ საბჭოთა კავშირში, რადგან იესოს შესახებ ასწავლიდნენ. ქრისტე შენს ოჯახზე მეტად უნდა გიყვარდეს. სასამართლოს წინაშე დგახარ და მოსამართლე გეუბნება: „თუ უარყოფ იესოს, შვილებს შენთან ცხოვრების ნებას დართავენ, თუ არადა უკანასკნელად ხედავ მათ. შეიძლება

გული გაგისკდეს, მაგრამ შენი პასუხი უნდა იყოს – „მე მიყვარს ღმერთი“.

ნადია სლობოდამ სახლი ოთხწლიანი პატიმრობისათვის დატოვა. შვილები წაართვეს, სახლიდან მაინც სიმღერით მიდიოდა. ბავშვებმა, რომელთაც პოლიციის მანქანა ელოდათ წასაყვანად, დედასთან განშორების შემდეგ, სიმღერით მიმავალ დედას უთხრეს: „ნუ იდარდებ ჩვენზე. სადაც არ უნდა ჩაგვსვან, მაინც არ ვუღალატებთ რწმენას“. და ასეც მოიქცნენ. როდესაც იესო ჯვარზე იყო, არა მარტო ფიზიკურად იტანჯა, არამედ დედამისიც იტანჯებოდა მის თვალწინ. დედამისის თვალწინ კი მისი შვილი იტანჯებოდა. მათ ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ ღვთის დიდება რისკის წინაშე იდგა, სადაც ადამიანური სენტიმენტალობა მეორე ადგილზე უნდა დადგეს. თუ, ერთხელ და სამუდამოდ გამოვიმუშავებთ ამ დამოკიდებულებას, უკვე მზად ვიქნებით იატაკქვეშა მუშაობისათვის.

ჩვენში მხოლოდ მწუხარება გამოვლილმა ქრისტემ, უდიდესმა მოწამემ უნდა იარსებოს. კომუნისტურ ქვეყნებში ყოფილა წამების შემთხვევები, როდესაც კომუნისტ ჯალათებს დასარტყმელად მომარჯვებული რეზინის ხელკეტები გადაუგდიათ და უთქვამთ „რა არის ნათელი წრე შენს თავზე? რატომ ანათებს შენი სახე ასე? არ შემიძლია ცემა“. ბიბლია სტეფანეს შესახებ ამბობს: „მისი სახე ანათებდა“. ყოფილა შემთხვევები კომუნისტ მწამებლებთან, როდესაც უთქვამთ პატიმრებისათვის, „ხმამაღლა იყვირე, ჩემმა თანამშრომელებმა იფიქრონ თითქოს გაწამებ, თუმცა არ გცემ“. უნდა იყვირო, მიუხედავად იმისა, რომ არაფერი არ გემართება.

სხვა შემთხვევებიც არის, როდესაც პატიმრებს მართლა აწამებენ, ხანდახან სიკვდილამდეც. უნდა აირჩიო მოკვდე ქრიტესთან და ქრისტესთვის, თუ გახდე გამცემი. რად გიღირს სიცოცხლე, როცა სარკეში ჩახედვის შეგრცხვება, როცა იცი, რომ სარკე გამყიდველის სახეს გაჩვენებს?

ასეთი აზროვნება არის პირველი საკითხი, რაც იატაკქვეშა საქმიანობას ესაჭიროება, განსაკუთრებით იატაკქვეშა ეკლესიის ხელმძღვანელს და რაც უფრო მეტად მნიშვნელოვანია, მის ცოლს, რომელიც არანაკლებ როლს თამაშობს. ცოლმა უნდა გააძლიეროს ხუცესი, ცოლმა უნდა მისცეს ძალა ამ საქმის

გასაკეთებლად. თუ ცოლი ფილმებისა და ცხოვრებისეული გართობების მოტრფიალეა, იგი ვერ იქნება იატაკქვეშა მებრძოლი. ცოლმა უნდა უბიძგოს ბრძოლის, მუშაობისა და საკუთარი თავის შეწირვისაკენ.

## ისწავლე ჩუმად ყოფნა

შემდეგი, რაც უნდა ვისწავლოთ, არის ჩუმად ყოფნა. იატაკქვეშა ეკლესიას ესაჭიროება ჩუმად ყოფნა. პროფესიონალ ხუცესებს ერთი სული აქვთ ილაპარაკონ. არავის შეუძლია კარგად ქადაგება, ვიდრე კარგად მოსმენას არ ისწავლის. როცა უკან ვიხედები, ჩემს მიერ ადამიანის სულებთან ურთიერთობას ვხედავ. უფრო მეტი სული შევიძინე მოსმენით, ვიდრე ლაპარაკით. ხალხი დიდ ტვირთს ატარებს გულში და არავის ყოფნის მოსმენის ნებისყოფა. არც შენ საკუთარ ქმარს, არც ცოლს, არც შვილებს. არავინ არის, ვინც მოგისმენს. თუ იპოვის ადამიანი მსმენელს, ლაპარაკის გარეშე შეძლებს მსმენელი მოლაპარაკის გულის მოგებას. იატაკქვეშა ეკლესიაში მოსმენა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წესი. ყოველ წამოსროლილ სიტყვას ვიღაცის ციხეში თავის ამოყოფა მოყვება. ჩემი მეგობარი, დიდებული ქრისტიანი კომპოზიტორი, ციხეში მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ ქრისტიანებს უყვართ თქმა, „რა ლამაზია ეს სიმღერა, შექმნილი ძმა _________ ს მიერ“. ისინი მას აქებენ, რის გამოც მან თხუთმეტწლიანი ციხე გამოიარა. იმღერე საგალობელი, მაგრამ ნუ ახსენებ, ვის მიერ არის დაწერილი.

ჩუმად ყოფნას ვერ ისწავლი მაშინ, როცა ქვეყანა უკვე დაპყრობილია. სიჩუმე იმ მომენტიდან უნდა ისწავლო, რა წუთშიც მოექეცი. ქრისტიანი არის ადამიანი, ვინც ცოტას ლაპარაკობს, მაგრამ რომლის სიტყვას დიდი წონა აქვს. ის ფიქრობს, თქვას თუ არა ეს სიტყვა, შეიძლება თუ არა, რომ მის ნათქვამს ვინმეს წყენინება მოყვეს. იატაკქვეშა ეკლესიაში ნებისმიერ არასაჭირო სიტყვას შეიძლება მოყვეს ზიანი.

სოლჟენიცინმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა, ჟურნალისტთან ინტერვიუში თქვა, რომ მისი ყველაზე უდიდესი გამცემი იყო მისი ყოფილი ცოლი. ეკლესიასტეში წერია, ”ნუ ეტყვი შენი გულის საიდუმლოს შენს მეუღლეს”. ეს არის ღვთის

სიტყვა. ღმერთმა იცოდა, რომ გვექნებოდა იატაკქვეშა ეკლესია, მან იცოდა, რომ მეუღლე შეიძლება გვარიანად გაბრაზებულიყო რაღაცაზე. სოლჟინიცინის მდივანი ისეთ წნეხში გაატარეს კომუნისტებმა, რომ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, ის კი მისმა ყოფილმა ცოლმა გასცა. სოლჟინიცინი რომ გაჩუმებულიყო, ეს არ მოხდებოდა.

შემდეგი, რაც ასევე მნიშვნელოვანია, არის მადლიერება: მადლობას ვუხდი ღმერთს იმ დროისათვის, რაც საკანში მარტოდ მყოფმა გავატარე. სამი წელი ვიყავი ცხრა მეტრის სიღრმეზე მიწის ქვეშ. სიტყვაც კი არ გამიგონია, არ დამილაპარაკია. იქ წიგნები არ ყოფილა, გარე ხმებიც შეწყდა. დარაჯებს რეზინის ძირებიანი ფეხსაცმელი ეცვათ, ვერ გაიგონებდი მათ მოახლოებას. იქ შინაგანი ხმებიც შეწყდა. გვათრევდნენ, გვცემდნენ. დამავიწყდა მთელი თეოლოგია. დამავიწყდა მთელი ბიბლია. ერთ დღეს აღმოვაჩინე, რომ „მამაო ჩვენო" დამავიწყდა, აღარ შემეძლო მისი თქმა. ვიცოდი – „მამაო ჩვენოთი იწყებოდა...", მაგრამ გაგრძელება აღარ მახსოვდა. უბრალოდ ვინარჩუნებდი მოწყენილობისა და ბედნიერების უცნაურ ნაზავს. „მამაო ჩვენო, დამავიწყდა ლოცვა, რა თქმა უნდა, შენ ზეპირად იცი. დღეში ათასჯერ ისმენ სხვა ადამიანებისაგან, გამოაგზავნე შენი ანგელოზი და შემახსენოს. მე უბრალოდ გავჩუმდები და მოვუსმენ". ამ დროისათვის ჩემი ლოცვები იყო – „იესო, მე შენ მიყვარხარ". ცოტა ხნის შემდეგ, ისევ – „იესო, მე შენ მიყვარხარ". ცოტა ხანში ამისი თქმაც კი ძნელი გახდა, რადგან ისეთ წამლებს გვიკეთებდნენ, რაც გონებას თიშავდა. ძალიან გვშიოდა. ერთი ნაჭერი პური გვქონდა კვირაში, და კიდევ ცემა და წამება, სინათლის უქონლობა და სხვა მრავალი. იმდენად შეუძლებელი გახდა ჩემი გონების კონცენტრაცია, რომ ამასაც კი ვეღარ ვამბობდი – „იესო, მე შენ მიყვარხარ". მივატოვე ამის კეთება, რადგან ვიცოდი, რომ ასე იყო საჭირო. ყველაზე ამაღლებული ლოცვა, რაც კი ვიცი, არის გულის ჩუმად ძგერა მისი სიყვარულით. იესომ უბრალოდ უნდა მოისმინოს „ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ" და მან იცის, რომ ყოველი გულის ცემა მას ეძღვნება.

როდესაც განმარტოებული საკნიდან გამოვედი და სხვა პატიმრების საუბარს ვუსმენდი, მიკვირდა, რატომ ლაპარაკობდნენ?! ჩვენი საუბრის მერამდენედია უსარგებლო.

დღეს მრავალ ადამიანს ვიცნობთ. ბევრჯერ შევსწრებივართ, როცა ერთი ეუბნება მეორეს – „როგორ ხარ?“ მეორე კი პასუხობს – „შენ როგორ ხარ?“ რა სარგებელი აქვს ამას? შემდეგ მეორე იტყვის – „დღეს კარგი ამინდია?“ და მეორე უპასუხებს- „დიახ, ნამდვილად“. რად გვინდა ამინდზე ლაპარაკი მაშინ, როცა ამინდი კარგია? გულით არ ვიღებთ იესოს სიტყვებს, რომელიც ამბობს – ადამიანი გასამართლდება არა ყოველი სიტყვისათვის, არამედ ყოველი უსარგებლო სიტყვისათვისო. ასე წერია ბიბლიაში. უსარგებლო საუბარი ზოგიერთ ქვეყანაში ნიშნავს ციხეს და სიკვდილს შენი მოყვასისთვის. შენი მოძმის მისამართით წარმოთქმული განდიდების სიტყვა შეიძლება კატასტროფის ტოლფასი აღმოჩნდეს მისთვის. მაგალითად, ვიღაც მოდის სტუმრად და შენ ამბობ „ოჰ! ვწუხვარ რომ აქ არ იყავი, ძმა N-ი ახლახანს წავიდა“. სტუმარი კი შესაძლოა პოლიციის ინფორმატორია. მან იცის, რომ ძმა N-ი ქალაქშია! გააჩერე ენა, ახლავე ისწავლე ამის კეთება.

## ნებადართული სტრატეგია

იატაკქვეშამუშაობისგაწევაშეუძლებელიასტრატეგიისგარეშე. ერთი შემთხვევა ვიცი, რაც რუსეთში მოხდა. კომუნისტები ეჭვობდნენ, რომ ქრისტიანები ერთ სახლში იკრიბებოდნენ და ქუჩას უთვალთვალებდნენ. მათ საეჭვო სახლისაკენ მიმავალი ერთი ახალგაზრდა ბიჭი დაინახეს. პოლიციამ ბიჭი გააჩერა და ჰკითხა „სად მიდიხარ?“, ბიჭმა დამწუხრებული სახით უთხრა – „ჩემი უფროსი ძმა მოკვდა და ახლა მთელი ოჯახი ვიკრიბებით, რათა მისი სულისთვის სახარება წავიკითხოთ“. პოლიციის ოფიცერი ისე მოიხიბლა, რომ ბიჭს წაუთაქა და უთხრა – „წადი“. ბიჭს ტყუილი არ უთქვამს.

ერთი ძმა პოლიციაში წაიყვანეს და დაკითხეს: „კიდევ იკრიბებით?“ მან უპასუხა – „ამხანაგო კაპიტანო, ლოცვითი შეხვედრები უკვე აკრძალულია“. კაპიტანმა ამაზე უპასუხა „კარგია, რომ ემორჩილები. წადი!“ ძმამ არ თქვა, რომ ემორჩილებოდა, მას არ უთქვამს, რომ შეხვედრებზე არ დადიოდა.

წამებულთა ხმის წარმომადგენელი კომუნისტურ ქვეყნებში წავიდა. საზღვარზე გააჩერეს და ჰკითხეს – „რა წიგნები

გაქვს თან?“ მან უთხრა „შექსპირისა და იეჰოვას“. პოლიციის ოფიცერს არ მოუთხოვია მათი ჩვენება, ვაი თუ იეჰოვა ერთ-ერთი ბრიტანელი პოეტი ყოფილიყო და რომ გაემხილა – არ ვიციო, სირცხვილს ჭამდა. მანაც თქვა, „კარგი, გაიარე“. აი ეს არის ნებადართული სტრატეგია.

თუ ანგელოზები მხოლოდ ზღაპრის გმირები არიან საბავშვო არაკებში, მაშინ არ მინდა ასეთი ანგელოზები. ანგელოზები რეალურად არსებობენ. ჩვენ ყველას გვყავს მფარველი ანგელოზი. სადაც ქრისტიანები იკრიბებიან, იქ ეშმაკებიც არიან, მაგრამ ჩვენ ანგელოზებსა და სულიწმიდას უნდა დავეყრდნოთ. ვალდებულნი არ ვართ ვუთხრათ ათეისტ ტირანებს მთელი ჭეშმარიტება. ვალდებულნი არ ვართ ვუთხრათ ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, რადგან მისი მხრიდანაც არ იქნება თავაზიანი ასეთი თავხედური კითხვების დასმა. ტირანები კი გამუდმებით ცდილობენ საზოგადოებას კარგი მხრიდან წარუდგინონ თავი.

განა თავაზიანი იქნება ასეთი კითხვა რომ დაგისვათ – „რამდენი ფული გაქვთ ბანკში?“ ან „რა ხელფასი გაქვთ ყოველ თვე?“ ასეთი შეკითხვები არ უნდა ისმებოდეს. გოგონას არ უნდა დაუსვათ შეკითხვა „შეყვარებული გყავთ თუ არა?“ შესაძლოა მას არ სურს გიპასუხოთ ასეთ კითხვაზე. ასე რომ, კაცმა არ უნდა მაიძულოს ვუპასუხო ჩემი რელიგიური საქმიანობის შესახებ, თუ მე ეს არ მსურს. ეს ჩემი პირადი საქმეა. ათეისტებს არ აქვთ ასეთი შეკითხვების დასმის უფლება და ჩვენც არ უნდა ვუპასუხოთ.

დაკითხვაზე კი ნებისმიერ კითხვას დაგისვამენ. კომუნისტებმა მითხრეს: „შენ ქრისტიანი და ხუცესი ხარ. შენ სიმართლეს უნდა ლაპარაკობდე. ახლა გვითხარი, ვინ არიან სხვა ქალაქის ეკლესიის ლიდერები? ვის ხვდებით? სად იკრიბებით?“ მე რომ ეს ჭეშმარიტება გამემხილა, უთვალავ ადამიანს დააპატიმრებდნენ. როცა მათი ჯერი დადგება, ისინიც სიმართლეს განაცხადებდნენ და ასე უსასრულოდ. ეს ტაქტიკა უარყოფილი უნდა იქნას. თუ უარის თქმას ცემა და წამება მოყვება, უმჯობესია შენს თავზე აიღო ყველაფერი, თუნდაც მოგკლან.

მე ვიცი ხუცესი, რომელსაც ისეთივე ტკივილები ჰქონდა, როგორიც მე ცემის შემდეგ, რადგან რაგბის თამაშისას მიიღო მძიმე ტრავმა. მას რაღაც დაემართა ფეხზე და საშინელ ტკივილს განიცდიდა. ყველა ჩვენგანს შეუძლია რაგბისთვის

ან სხვა ნებისმიერი თამაშისთვის ტკივილის ატანა, რადგან ვიცით, რომ ეს ტკივილი გაივლის და ისევ შევძლებთ თამაშს, თუმცა შეიძლება ანალოგიური შემთხვევა განმეორდეს. ჩვენ შეგვიძლია ფიზიკური ტკივილის ატანა სპორტული თამაშის გამო, რომელიც სიამოვნებას გვანიჭებს და ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. მაშ რატომ ვერ შევძლებთ ფიზიკური ტკივილის ატანას წამებისას, შენი თანამოძმეების ტყვეობიდან დასაცავად? ყველაზე უარესი, რაც შეიძლება მოხდეს, წამების შედეგად სიკვდილია. სიკვდილი კი ყველაზე ბუნებრივი მოვლენაა დედამიწაზე.

მათხოვარი მდიდარი კაცის სახლთან გაჩერდა და იკითხა – „შეიძლება ერთი ღამე გავათიო? დასაძინებელი ადგილი არა მაქვს". მდიდარმა უთხრა – „წადი აქედან, შე მათხოვარო. ეს სასტუმრო კი არ არის". ღარიბმა უთხრა – „მაპატიეთ, მოშორებით წავალ, მაგრამ თუ შეიძლება ჯერ ერთ კითხვაზე მიპასუხეთ? რა ლამაზი სახლია, ვინ ააშენა?" მდიდარმა თავი მოიწონა და თქვა – „ეს სახლი ბაბუაჩემმა ააშენა". „სად არის ახლა ბაბუა?" „დიდი ხნის წინ მოკვდა". „ვინ ცხოვრობდა სახლში ბაბუაშენის შემდეგ?" „მამაჩემი". „ჯერ კიდევ ცოცხალია?" „არა, ისიც მოკვდა?" „ჰოდა, ჩემო შვილო", – თქვა მათხოვარმა – „რატომ მიყვირი? შენ თქვი, რომ ეს სასტუმრო არ არის. სწორედაც რომ სასტუმრო ოთახია. მალე შენც ბარგს ჩააწყობ და შენს ნაცვლად ამ სახლში სხვა ვიღაც მოვა''.

შენი სიკვდილი გარდაუვალია. მიიღე ეს როგორც ცხოვრებისეული ჭეშმარიტება. თუ ღმერთს სურს, რომ დღეს მოვკვდე, მტარვალი არ ესაჭიროება, გულის შეტევითაც შეიძლება მოვკვდე ყოველგვარი ძალადობის გარეშე. ჯალათს ერთი დღითაც კი არ შეუძლია შენი სიცოცხლის შემოკლება. საუკეთესო რესტორნის საუკეთესო სადილიც კი ვერ შეძლებს ერთი დღით ჩემი სიცოცხლის გახანგრძლივებას. მაშინ მოვკვდები, როცა ღმერთი მომიწოდებს.

## მოღალატური ჩხუბი

უმნიშვნელო ჩხუბიც კი არ არის ნებადართული იატაკქვეშა ეკლესიაში, სადაც ყოველი კამათი ნიშნავს დაპატიმრებას,

ცემას, და შესაძლოა – სიკვდილს. ჩვენი მოწინააღმდეგენი გვიყურებენ და გვისმენენ. მათ თავიანთი ინფორმატორები ჰყავთ ეკლესიაში. ჩხუბს თან ახლავს საპასუხო ბრალდებები. ერთი ეტყვის მეორეს – „როცა ძმა სმიტთან ვიყავით, შენ ეს თქვი, ან ეს გააკეთე და ასე შემდეგ“. ასე რომ, პოლიციას სმიტის აყვანის შესაძლებლობაც ეძლევა.

ჩხუბი ყოველთვის ააშკარავებს ფაქტებს და პიროვნებებს. ბიბლიაში წერია – „ღვთის მსახურმა არ უნდა იჩხუბოს, არამედ იყოს მშვიდად“ (2 ტიმოთე 2:24). ერთი ქალაქი ვიცი რუმინეთში, სადაც დიდი ჩხუბი მოხდა ორ თემს შორის. ერთნი იყვნენ ბაპტისტები, მეორენი – კარჩაკეტილი ძმები. ასეთმა საშინელმა გაუგებრობამ ორივე დენომინაციის ლიდერების დაპატიმრება გამოიწვია შედეგად.

უკეთესი იქნებოდა დღესვე დაგვეწყო მუშაობა წმინდანობის მისაღწევად. ძალიან გვიანი იქნება ამის დაწყება მაშინ, როცა უკვე აღარ ვიქნებით ამ ქვეყნად! ახლავე უნდა დავიწყოთ. თუ ვფიქრობთ, რომ სხვა დენომინაციაზე გავლენის მოპოვების გამო ჩხუბი არ ღირს, უკეთესი იქნებოდა ახლავე ამოვიგდოთ თავიდან ჩხუბის იდეა, სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან.

სამწუხაროდ, ორგანიზაციებშიც ხდება ანალოგიური რამ, რაც საფრთხეს უქმნის საქმეს. შეძლებისდაგვარად უნდა მოვერიდოთ ასეთ რამეს. საოჯახო ჩხუბიც კი შეიძლება ნიშნავდეს სიკვდილს. ჩემს საკანში იყო კაცი, რომელსაც შეყვარებული ყავდა. როგორც ახალგაზრდულ წლებში ხდება, იგი სხვა გოგონას შეხვდა და მასთან ქორწინება ამჯობინა. მაგრამ პირველი გოგონასთვის საიდუმლოებები ჰქონდა გამხელელი და მანაც პოლიციასთან დაასმინა. სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს მას. ყმაწვილი სიგიჟის ზღვარზე იყო ციხეში. იატაკქვეშა საქმიანობის თანამშრომლის მომზადების საფუძვლებიც იგივეა, რაც ნორმალური ქრისტიანი მუშაკის, ოღონდ უფრო ღრმა და იგი რეალური ცხოვრების ნაწილად იქცევა. ვიცი ქვეყნები, სადაც მრავალი თემი დაანგრია ორ ხუცესს შორის ჩხუბმა. ეს ყველგან ხდება, მაგრამ ძალადობრივი რეჟიმების მქონე ქვეყნებში ეს ნიშნავს დაპატიმრებას და, სავარაუდოდ, სიკვდილს.

## ტვინის გამორეცხვის წინააღმდეგ

ერთ-ერთი უმთავრესი მეთოდი ფიზიკურ წამებასთან ერთად არის ტვინის გამორეცხვა. უნდა ვიცოდეთ როგორ შევეწინააღმდეგოთ მას. ტვინის გამორეცხვას თავისუფალ ქვეყნებშიც აქვს ადგილი. პრესა, რადიო და ტელევიზია გამუდმებით ჩაგვჩიჩინებს რაღაცას. არ არსებობს „კოკა-კოლას" დალევის მოტივი. მას სვამ იმიტომ, რომ ტვინი გამოგირეცხეს. რა თქმა უნდა, უბრალო წყალი უკეთესია, მაგრამ მას არავინ უკეთებს რეკლამას: „დალიე წყალი, დალიე წყალი". წყლისთვის რომ გაეკეთებინათ რეკლამა, მას დავლევდით.

ზოგიერთ ქვეყანაში ტვინის გამორეცხვის ტექნიკა უმაღლეს დონეზეა აყვანილი. მეთოდები სხვადასხვაგვარია, მაგრამ რუმინეთის ციხეში ასეთი რამ არსებობდა: ჩვიდმეტი საათის განმავლობაში ისეთ პოზაში უნდა ვმჯდარიყავით, რომ კედელზე მიყრდნობისა და თვალის დახუჭვის ნებას არ გვრთავდნენ. ჩვიდმეტი საათის განმავლობაში უნდა გვესმინა – „კომუნისტები კარგები არიან, კომუნზმი კარგია, კომუნიზმი კარგია... ქრისტიანობა მკვდარია, ქრისტიანობა მკვდარია, ქრისტიანობა მკვდარია... დანებდი, დანებდი...", ერთ წუთში უკვე მოსაწყენი იყო, მაგრამ იძულებული იყავი მოგესმინა დღეში ჩვიდმეტი საათის, კვირების, თვეების და წლების განმავლობაში, უსასრულოდ.

გარწმუნებთ, ეს ადვილი არ არის. ეს ერთ-ერთი უსაშინლესი წამებათაგანია. უფრო მეტი, ვიდრე ფიზიკური წამება. ქრისტე ხედავს ყველაფერ ამას. მისთვის არ არსებობს დრო. მომავალი, წარსული და აწმყო, გაერთიანებულია მისთვის. ქრისტემ ყველაფერი იცის დასაბამიდან. კომუნისტებმა ტვინის გამორეცხვის მეთოდი მოგვიანებით გამოიგონეს! ქრისტემ უკვე გამოიგონა მისი საწინააღმდეგო – გულის გამორეცხვა. მან თქვა, „ნეტარ არიან გულით სუფთანი, ვინაიდან ღმერთს იხილავენ" (მათე 5:8).

სტეფანეს, ქრისტესათვის პირველ წამებულს, ასობით ადამიანი ეხვია გარს ჩასაქოლად ხელში ქვებით. მან თქვა, „მე ვხედავ..." ცოლმა შესაძლოა, იფიქრა, რომ სტეფანემ მისკენ მომავალი საშიშროება დაინახა და გაიქცეოდა. მაგრამ მან თქვა, „ვხედავ ღმერთის მარჯვნივ მდგომარე იესოს". ალბათ,

ცოლმა თქვა (ცხადია, ეს არ არის ჩაწერილი) „ვერ ხედავ შენს ჩასაქოლად შეკრებილ ბრბოს?“ „დიახ, ქვემოთ ვხედავ პატარა ჭიანჭველებს, მაგრამ ხსენების ღირსნიც კი არ არიან, რადგან მე ვხედავ იესოს“. იმათ კი არ შეხედა, ვინც მის ჩაქოლვას ლამობდა. სწორედ ამაზე თქვა მაცხოვარმა: ნეტარნი არიან გულით სუფთანი.

ორი წელი გავუძელი ტვინის რეცხვას. კომუნისტები მაინც ამბობდნენ, რომ ჭუჭყიანი ტვინი მქონდა. იგივე რიტმით, როგორც ამბობდნენ „ქრისტიანობა მკვდარია“, მე და ზოგიერთები ჩვენთვის ვიმეორებდით „ქრისტეც მოკვდა, ქრისტეც მოკვდა“. მაგრამ ვიცოდით, რომ მკვდრეთითაც აღდგა. გვახსოვდა, რომ წმინდანების გარემოცვაში ვცხოვრობდით.

საერთოდ, გვჯერა, რომ წმინდანები ღმერთთან არიან ცაში. ბიბლია გვეუბნება მათი ადგილ-სამყოფელის შესახებ. „მაშინ, როცა გარშემორტყმულნი ვართ მოწმობის ღრუბლით...“ (ებრაელთა 12:1). რატომ უნდა ისხდნენ ისინი ვარსკვლავებში? ისინი არიან აქ, სადაც ნამდვილი მებრძოლები და ტანჯულები არიან. სულიერ სამყაროში არ არსებობს აქ და იქ. სულიერ სამყაროში არ არსებობს სივრცისა და დროის ცნება. იზოლირებულნი ვიყავით ციხეში, მაგრამ ისინი ჩვენს გარშემო იყვნენ. ყველა დროის წმინდანების არსებობას განვიცდიდით. პირადად მე ვგრძნობდი მარიამ მაგდალინელის ახლოს ყოფნას. ტვინის რეცხვის პროცესში ვფიქრობდი – „რას მეუბნებიან ისინი, რომ ქრისტიანობა მკვდარია? ვთქვათ, მართლები არიან, რას ცვლის ეს? მსოფლიოში ჩემს გარდა ერთი ქრისტიანიც რომ არ იყოს, რა მნიშვნელობა ექნებოდა ამას? მარიამ მაგდალინელს უბრალოდ უყვარდა ქრისტე. იესო რომ მკვდარი ყფილიყო, მკვდარი ეყვარებოდა. მარიამი მკვდარი იესოს სამარხთან ახლოს დარჩა, რომელსაც არაფრის გაკეთება არ შეეძლო დედამისისთვის. იესოს თითის აწევეც კი არ შეეძლო; არანაირი სასწაულის მოხდენა არ შეეძლო; ერთი დამამშვიდებელი სიტყვის თქმაც კი. არც ცრემლის მოწმენდა – არაფერი. იესო იყო მხსნელი. რა მოხდება თუ მეტყვი, რომ ის მკვდარია? მაინც ისე მეყვარება როგორც ცოცხალი. თუ მთელი ეკლესია მოკვდა და დაკარგა მისი რწმენა, ეს ვერ იქნება მოტივი ჩემი რწმენის დაკარგვისათვის“.

ახლა უნდა მივიდეთ რწმენის სიმტკიცესთან. უკვე გითხარით, რომ ებრაულში არ არსებობს სიტყვა „ეჭვი“. ის არ არსებობს ძველ აღთქმაში. შეიძლება მიგითითოთ კიდევ ერთი სიტყვა, რომელიც ძველ აღთქმაში არ არსებობს? ხშირად მაკრიტიკებდნენ მსოფლიო ეკლესიების საბჭოს ლიდერები. ჩემს წინააღმდეგ წერდნენ: „ვურმბრანდი სიტუაციას თეთრად და შავად აღიქვამს რკინის ფარდის მიღმა. ეს ასე არ არის. ნაცრისფერიც არსებობს“. მე კი მხოლოდ მაშინ ვაღიარებ ამ მოსაზრებას, თუ ახალ აღთქმაში მაჩვენებენ თუნდაც ერთხელ ნახსენებ სიტყვას- „ნაცრისფერი“. ახალ აღთქმაში მრავალი ფერი არსებობს, მაგრამ „ნაცრისფერი“, ნაზავი, არა. რაიმე არის ჭეშმარიტი ან არაჭეშმარიტი, მართალი ან მცდარი, შავი ან თეთრი. ან წუთისოფელს უნდა გაყვე ან ქრისტეს. არც ძველ აღთქმას აქვს სიტყვა „ეჭვი“. რწმენის საკითხში ისე უნდა ვიყოთ დარწმუნებული, როგორც მიმატების ან გამრავლების ტაბულის სისწორეში. ორჯერ ორი ოთხია. ეს ჭეშმარიტებაა. თუ ჩემი ოჯახი ცოცხალია ან მკვდარი, თუ საკმარისი მაქვს ან შიმშილით ვკვდები, თავისუფალი ვარ თუ დაპატიმრებული, მცემენ თუ მეფერებიან – მათემატიკური ჭეშმარიტება არ იცვლება. ორჯერ ორი მოფერება იქნება ოთხჯერ მოფერება. ორჯერ ორი ცემა – ოთხჯერ ცემა.

ჭეშმარიტებისა და სიყვარულისადმი მარიამ მაგდალინელის მსგავსი დამოკიდებულება გვაძლევს ძალას ვძლიოთ ტვინის გამორეცხვის პოლიტიკას. ებრძოლე მას ბოლომდე.

არ მსურს თავი გმირად წარმოვადგინო. მე ადამიანი ვარ და როგორც ყველა ადამიანს, მეც მაქვს სისუსტეები. ამიტომაც, ვარსებობთ როგორც ეკლესია, რომ გავამხნევოთ ერთმანეთი დაცემისას. ასეთ საშინელ წნეხში ერთხელ, ახლოს მყოფ ძმას, პრესვიტერიანელ მსახურს და ძალიან კარგ ქრისტიანს ჩავჩურჩულე: „ძმაო, ვგრძნობ, რომ რწმენა დავკარგე. ვფიქრობ, მორწმუნე აღარ ვარ“. ღიმილით, რომელიც მის სახეს არასოდეს მოშორებია, მკითხა – „ოდესმე გწამდა?“ მე ვუთხარი – „დიახ, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ“. მან თქვა, „მაშინ გაიხსენე ბიბლიის მუხლი, როდესაც ქალწული მარიამი მივიდა ელისაბედთან. ელისაბედმა უთხრა მას – „კურთხეულია ვინც ირწმუნა“. ეს წარსულ დროშია. თუ წარსულში გჯეროდა,

კურთხეული ხარ. იცხოვრე ამ კურთხევით“. არ შემიძლია გადმოვცე იმ მდგომარეობაში ამ სიტყვების მნიშვნელობა ჩემთვის.

არ ვიცი რას გვასწავლის თეოლოგია, მაგრამ ჩვენ თეოლოგიით არ ვცხოვრობდით იმ დროს. წარსულის მოგონებებით ვცხოვრობდით. ბიბლია გვასწავლის ვაკურთხოთ ღმერთი და არ დავივიწყოთ მისი წარსულის კურთხევები. გახსოვდეს მის მიერ წარსულში მოვლენილი კურთხევები როგორ სულიერ სიბნელეშიც არ უნდა იმყოფებოდე.

## მარტოობიდან გამოსავალი

ერთ-ერთი უდიდესი პრობლემათაგანი იატაკქვეშა თანამშრომლისათვის არის მარტოობის დაძლევა. არანაირი წიგნი არ გაგვაჩნდა. არა მხოლოდ ბიბლია, არამედ არანაირი სხვა წიგნი, არც ქაღალდის ნაგლეჯი, არც ფანქარი. არასოდეს გვსმენია ხმაური და არაფერს დაურღვევია მყუდროება. კედლებს ვუყურებდით და ეს იყო ყველაფერი. ასეთ სიტუაციაში ჩვეულებრივ ადამიანი გიჟდება. წაიკითხეთ წიგნები ციხის ცხოვრების შესახებ (ფარვანა და სხვა ამდაგვარი, რომლებიც მეტად ფასეულია მომავალი იატაკქვეშა მუშაკისათვის), უბრალოდ მაინც რომ გააცნობიეროთ ციხის ატმოსფერო, რამდენადაც ეს თავისუფალ ადამიანს შეუძლია. თქვენ ნახავთ სიჩუმის გავლენას ადამიანის გონების აშლილობაზე. საკუთარი გამოცდილებიდან შემიძლია გითხრათ თუ როგორ შევძელი ამისგან თავის დაღწევა. უპირველესი კი ის იყო, რომ ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე ვავარჯიშებდი სულს მომავალი განსაცდელისთვის. შეგიძლია გაძლო ბიბლიის გარეშე? როგორ აიტან რადიო-ტელევიზიისა და სხვა ამდაგვარის უქონლობას?

მე და მრავალი სხვა პატიმარი ამას ვახერხებდით. ღამის განმავლობაში არასოდეს არ დაგვიძინია. დღის განმავლობაში კი პირიქით – გვეძინა. მთელი ღამე გვეღვიძა. ალბათ გახსოვთ ფსალმუნის სიტყვები – „აჰა, ადიდეთ უფალი, ყოველნო მსახურნო უფლისა, რომელნიც უფლის სახლში დგახართ ღამღამობით!“ (ფს. 133:1). ღამის ერთი ლოცვა დღის ათ ლოცვას უდრის.

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 31 4/13/2012 11:13:21 AM

ყველაზე დიდი ცოდვა და დანაშაული ღამით არის ჩადენილი. უდიდესი ქურდობები, სიმთვრალე, მრუშობა – მთელი ეს ცოდვის სამყარო – ღამის ცხოვრებაა. დღის განმავლობაში ყველამ უნდა იმუშაოს ქარხანაში, კოლეჯში, ან სადღაც კიდევ სხვაგან. სატანური ძალები ღამის ძალები არიან. ამიტომ მნიშვნელოვანია მათთან ღამით შებრძოლება. თავისუფალ ქვეყნებში სიფხიზლე უცხოა. ჩემს ქვეყანაში კომუნისტების მოსვლამდეც კი ვიცოდით ფხიზლობა. ჩემმა ვაჟმა, მიხეილმა, სამი-ოთხი წლის ასაკში იცოდა სიფხიზლე. მთელ ღამეს ლოცვაში ვატარებდით. სამი-ოთხი წლის პატარა ბავშვები ცოტა ხანს ილოცებენ და ერთმანეთს ეთამაშებიან. მერე ცოტას შევაფუცხუნებთ და ისევ დაიწყებენ ლოცვას, ცოტა ხნის შემდეგ მაგიდის ქვეშ ჩაეძინებათ. აი, ასე გაიზარდნენ ჩვენი ბავშვები.

მარტოობაში მაშინ ვიღვიძებდით, როცა სხვა პატიმრები დასაძინებლად მიდიოდნენ. დრო ისეთი პროგრამებით შევავსეთ, რომლის გაკეთებაც მარტო არ შეგვეძლო. ჯერ ლოცვით ვიწყებდით, ლოცვით, რომლითაც მთელი მსოფლიოს გარშემო ვმოგზაურობდით. ყველა ქვეყნისათვის ვლოცულობდით, სადაც ვიცოდით ქალაქის სახელები და იქ მცხოვრები ადამიანების შესახებ; ვლოცულობდით მქადაგებლებისათვის. ერთი-ორი საათი ჭირდებოდა უკან დაბრუნებას. ვლოცულობდით მფრინავების, მეზღვაურების და პატიმრებისათვის. ბიბლია გვეუბნება ერთ-ერთ სიხარულზე, რაც შეიძლება საპატიმროშიც კი გვქონდეს: „მოხარულებთან ერთად იხარე“ (რომ. 12:15). ვმხიარულობდი იმ ოჯახებთან, რომლებიც თავიანთ ბავშვებთან ერთად სადღაც იკრიბებოდნენ ბიბლიის წასაკითხად, ხუმრობდნენ და უხაროდათ ერთმანეთთან ყოფნა. სადღაც იყო ახალგაზრდა ყმაწვილი, ვისაც გოგონა უყვარდა და პაემანზე ხვდებოდა მას; შემეძლო მათით მეხარა. ზოგან ლოცვითი შეხვედრა ჰქონდათ, ზოგან ვიღაც სწავლობდა, ზოგან იყო ვიღაც, ვინც კარგი სადილის მირთმევით იყო კმაყოფილი და ა.შ. შეგვეძლო მათთან გვემხიარულა, ვისაც უხაროდა.

მსოფლიოს გარშემო მოგზაურობისას ზეპირად ვკითხულობდი ბიბლიას. ბიბლიის დამახსოვრება ძალიან მნიშვნელოვანია იატაკქვეშა მუშაკისათვის.

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 32 4/13/2012 11:13:21 AM

ერთ ამბავს ვიხსენებ ხშირად. ერთხელ, საწოლზე წოლისას (რამდენიმე ვიწრო ფიცარი იყო ჩვენი საწოლი), ზეპირად ვამბობდი მთაზე ქადაგებას, ლუკას სახარების მიხედვით. იმ ადგილამდე რომ მივედი, სადაც ამბობს – „როცა გდევნიან... კაცის ძის გულისათვის, იმხიარულეთ იმ დღეს და იხარეთ“ (ლუკა 6;22, 23), ვთქვი – „როგორ შეიძლება ჩავიდინო ცოდვა ამ სიტყვების უარყოფით”?

ქრისტემ თქვა, რომ ორი განსხვავებული რამ უნდა გავაკეთოთ. ერთი – ვიხაროთ, რაც გავაკეთე. მეორე – „ვხტოდეთ სიხარულით“, ეს კი არ გამიკეთებია, ამიტომ მეც ავდექი და ვიხტუნე. გადმოვედი საწოლიდან და დავიწყე ხტუნვა. ციხეში კარებს აქვს ნახვრეტი, საიდანაც საკანში იჭვრიტება ზედამხედველი. ისე მოხდა, რომ სწორედ ამ დროს საკანში იჭყიტებოდა. ჩემი შემხედვარე დაცვა დარწმუნდა, რომ გავგიჟდი. ციხის წესდების თანახმად, პერსონალი კარგად უნდა მოქცეოდა გიჟებს, რათა კედელზე მუშტების ცემითა და ყვირილით ციხის შინაგანაწესი არ დაერღვიათ. დაცვა სასწრაფოდ შემოვიდა, დამამშვიდა და მითხრა „მალე გაგათავისუფლებენ, ყველაფერი კარგად იქნება. სიმშვიდე შეინარჩუნე. რაღაცას მოგიტან“. ერთი დიდი პური მომიტანა, მაშინ როცა ერთ ნაჭერ პურს გვაძლევდნენ კვირის განმავლობაში. ახლა მე მქონდა მთელი პური და პლიუს ყველი, თეთრი ყველი. უბრალოდ არასოდეს შეჭამო ყველი; ჯერ აღიარე მისი სითეთრე. ლამაზია საყურებლად. შაქარიც კი მომიტანა. რამდენიმე სასიამოვნო სიტყვა მითხრა, კარები დაკეტა და წავიდა.

ჩემს თავს ვუთხარი „ლუკას სახარების ერთი თავის დასრულების შემდეგ შევჭამ საჭმელს“. კვლავ დავწექი და ვეცადე გამეხსენებინა სად გავჩერდი. „დიახ, ამ ადგილზე, „როცა ჩემი სახელის გამო გდევნიან, გიხაროდეთ... და იხტუნეთ სიხარულით, რადგან დიდია თქვენი საზღაური“. მერე ყველს და პურს შევხედე. მართლაც, ჯილდო დიდებული იყო!

ასე რომ, შემდეგი დავალებაა იფიქრო ბიბლიაზე. ყოველ ღამე ვიწყებდი მსახურებას სიტყვებით – „ძვირფასო დებო და ძმებო“ – და ვამთავრებდი – „ამენ“. შევადგენდი ქადაგებას და ვქადაგებდი. პატარა პოემების სახით ვადგენდი, ადვილი დამახსოვრების მიზნით. ჩემი წიგნები: „ღმერთთან

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 33 4/13/2012 11:13:21 AM

სულიერ მარტოობაში“ და „ციხის კედლებს რომ ლაპარაკი შეძლებოდათ“, რამდენიმე ამ მსახურებათაგანს მოიცავს. სამას ორმოცდაათი მათგანი დავიმახსოვრე. როდესაც ციხიდან გამოვედი, ფურცელზე დავწერე. ორმოცდაათამდე ქადაგება ზემოთ აღნიშნულ ორ წიგნში დაიბეჭდა. ესენია მსახურებები, რომლებიც ღმერთს და ანგელოზებს მივუძღვენი. ანგელოზებს ფრთები აქვთ და ვიღაცასთან მიაქვთ აზრები (ახლა ეს მსახურებები მრავალ ენაზეა დაბეჭდილი და გამოყენებული). ასე ვავსებდით დროს. წიგნებს და პოემებს ვქმნიდი. ცოლ-შვილზე ვფიქრობდი. ყოველ ღამე საკუთარ თავს ხუმრობებს ვუყვებოდი, ყოველთვის ახალს და ოპტიმისტურს. მათში კარგად ჩანს როგორ ვგრძნობდი თავს. ერთ-ერთი ანეკდოტი ასეთი იყო: ქალმა უთხრა ქმარს „პეტრე, რა უნდა გავაკეთო? ჩემს ხელოვნურ კბილებზე დავჯექი და გავტეხე“. ქმარმა უთხრა: „გიხაროდეს, წარმოიდგინე, რა მოხდებოდა ნამდვილ კბილებზე რომ დამჯდარიყავი“. ასე რომ, ვცდილობდი დამენახა მოვლენები დადებითი კუთხით.

პურისაგან გავაკეთე თეთრი და ნაცრისფერი ჭადრაკის ფიგურები. საკუთარ თავს ვეთამაშებოდი ჭადრაკს. არასოდეს დაიჯეროთ, რომ ბობ ფიშერი არის მსოფლიოში საუკეთესო მოჭადრაკე. მან ბოლო თამაში მოიგო სპასკისთან. რვა მოიგო და ორი წააგო. მე, სამ წელში არასოდეს წამიგია თამაში; ყოველთვის ვიგებდი თეთრებითაც და ნაცრისფერითაც!

ამ ყველაფერს იმიტომ გეუბნებით, რომ ეს არის იატაკქვეშა მუშაკის საიდუმლო იარაღი ტანჯვის დროს. თავი აარიდე გონებრივ სტრესს, რადგან ამის შემდეგ კომუნისტებს ხელში ყავხარ აყვანილი. გამუდმებით უნდა ავარჯიშო გონება. იფხიზლე და მუდამ ფიქრში იყავი. ყველამ საკუთარი შესაძლებლობების მიხედვით უნდა შექმნას განსხვავებული რამ და ა.შ.

## ნამდვილი იდენტურობა

იატაკქვეშა ეკლესია რაღაც ახალი არ არის. იატაკქვეშა ეკლესიაში მუშაობის შემდეგ ახალი თვალით წავიკითხე სახარება. საქმეებში წავიკითხე, რომ მოციქულებმა მიიღეს უფრო განსხვავებული სახელები, ვიდრე სინამდვილეში ერქვათ

და მრავალი მაგალითია ასეთი ახალ აღთქმაში (გამოცხადება 2:17 შეიძლება იყოს ამის კარგი მაგალითი):

„იოსები, ბარნაბად წოდებული, რომელსაც იუსტოსი შეარქვეს“ (საქ. 1:23).

„იოსებმაც, რომელსაც მოციქულებმა შეარქვეს ბარნაბა“ (საქ. 4:36).

„სიმონი, რომელსაც ერქვა ნიგერი“ (საქ. 13:1).

„იუდა, რომელსაც ერქვა ბარაბა“ (საქ. 15:22).

„იესო, რომელსაც იუსტუსს ეძახიან“ (კოლასელთა 4:11).

რატომ უნდა რქმეოდათ იაკობს და იოანეს „ქუხილის ძენი“ და სიმონს „პეტრე“? ვერასოდეს შევძელი ამის გაგება. ახალ აღთქმაში ბევრი სახელი გვხვდება შეცვლილი. ზუსტად ეს არის ის, რაც ხდება იატაკქვეშა ეკლესიაში. მე ბევრი სახელი მქონდა. როდესაც სხვა ქალაქში ან სოფელში მივდიოდი, არასოდეს იტყოდნენ, ძმა ვურმბრანდი მოვიდაო. ერთ ქალაქში ვიყავი ვასილი, მეორეში გეორგესკუ, სხვაში რუბენი და ა.შ. როდესაც დამიჭირეს, ვიყავი რიჩარდ ვურმბრანდი, რომელიც იწოდებოდა ამად და ამად.

მე მჯერა ბიბლიის როგორც სულიერი, ასევე სიტყვიერი შთაგონების. მაშ რატომ რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ის „უსარგებლო“ სიტყვებსაც შეიცავს? ლუკას სახარებაში წერია: „იესომ ილოცა ამ ადგილას“. შენ უნდა იყო განსაზღვრულ ადგილას, რომ ილოცო. მაშინ რატომ წერია სიტყვები „განსაზღვრულ ადგილას“? წერია, „იგი შევიდა ამ ქალაქში“. ყოველი ქალაქი განსაკუთრებული ქალაქია, მაგრამ ზუსტად ეს არის იატაკქვეშა ეკლესიის ენა. როდესაც მოგზაურობიდან ვბრუნდებოდი, ჩემს ცოლს ვეტყოდი „განსაზღვრულ ქალაქში ვიყავი და განსაზღვრულ ძმას შევხვდი. გადავწყვიტეთ განსაზღვრულ საათზე, განსაზღვრულ სახლში შევხვედროდით ერთმანეთს“.

იესოს სურდა თავის მოწაფეებთან ვახშმობა (ლუკა 22:7-13). მისთვის ნორმალური იქნებოდა ეთქვა, „წადი ამა და ამ ქუჩაზე და ამ ნომერში, იკითხე ბატონი ქსიზ და იქ მოამზადე ვახშამი“. ამის ნაცვლად, ის ამბობს, „როდესაც ქალაქში შეხვალთ, შეხვდებით კაცს, კოკით მხარზე. გაყევით მას რომელ სახლშიც შევა“ (იმ დროისათვის იშვიათი შემთხვევა იქნებოდა, რომ

კაცს კოკა ეტარებინა, რადგანაც ქალების საქმე იყო წყალზე სიარული). ზუსტად ამას ვაკეთებთ; მსახურებების ჩატარებისას არ ვიძლევით ზუსტ მისამართს, რადგან არ ვიცით, ვინ არის ინფორმატორი. ვამბობთ – „დადექი ამ ქუჩის ამ კუთხეში, ან დაჯექი ბარში და გაივლის კაცი ამ ფერის ჰალსტუხით ან სხვა რაიმე ნიშნით. მას გაყევი". თუ ვინმე იკითხავს – „რა გქვია?" მაშინ ვიცით, რომ ის არის საიდუმლო პოლიციის ინფორმატორი.

იატაკქვეშა ეკლესია უკვე არსებობდა ახალი აღთქმის წერის დროს. არსებობენ კრიტიკოსები, რომლებიც ამბობენ, რომ ღვთის კანონის წინაშე სამართლიანი არ არის იატაკქვეშა ეკლესიის არსებობა. ჩვენ უნდა დავემორჩილოთ ხელისუფლებას. მსოფლიო საეკლესიო საბჭოს მრჩევლები გვადანაშაულებენ, თითქოს ფულს ვაძლევთ თავისუფლებისთვის მებრძოლ ჯარისკაცებს, მაგრამ ეს უკანასკნელნი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობით გამოირჩევიან. განა ვინმე ფულის ხათრით ჩაიგდებს თავს საფრთხეში? ბიბლიაში წერია, ვისაც ავტორიტეტი აქვს, ის არის მმართველი, რომელიც განსჯის ბოროტს და კეთილს. ავტორიტეტი, რომელიც კრძალავს ღვთის სიტყვას, საკუთარ თავს აყენებს ნებისმიერი ადამიანური სფეროს მიღმა. ბიბლიის არც ერთი მუხლი არ შეესაბამება აღნიშნულ მდგომარეობას. ყოველ ავტორიტეტს აქვს თავისი კანონი და უკანონობა, ძალადობა, რადგან არცერთი მთავრობა არ შედგება წმინდანებისაგან. იგი ცოდვილებისგან შედგება. ყველა ხელისუფლება აკეთებს კარგსაც და ცუდსაც. მათი მთავარი პრინციპია არ შეფერხდეს აბრეშუმის ჭიისაგან პეპლის გამოჩეკვის პროცესი. ხელი არ შეეშალოს კოკორს ყვავილად გაფურჩქვნასა და ცოდვილის წმინდანად გადაქცევაში. მაშინ, როცა ისინი ამის ნებას დამრთავენ, სხვას არაფერს მოველი მათგან. არ მოველი, რომ ისინი ციდან ჩამოვარდნილ ანგელოზებს ემგვანებიან. მათგან მოველი კარგი და ხანდახან ცუდი კანონების გამოცემას, რომლებიც შეუძლიათ ორი ან სამი წლის შემდეგ შეცვალონ. მათ პატივს ვცემ, როგორც ავტორიტეტებს. მაგრამ, თუ ცხოვრების მთავარ მიზანს წამართმევენ, რაც არის საკუთარი თავის მომზადება ზეცაში ნეტარი ცხოვრებისათვის, მაშინ არანაირ მოვალეობას არ ვგრძნობ ასეთი მთავრობის მიმართ.

ჩვენი მისია აგრძელებს მუშაობას კომუნისტურ და მუსულმანურ ქვეყნებში იატაკქვეშა ეკლესიების დასახმარებლად.

ვეცადე მცირედი განმარტება მომეცა იატაკქვეშა ეკლესიაში არსებული პრობლემების, რათა გარკვეული წარმოდგენა შეგქმნოდათ მის თავისებურებებზე.

დაე, ღმერთმა დაგლოცოთ.

რიჩარდ ვურმბრანდის სხვა წიგნები:
„ქრისტესათვის წამებული“
„ტანჯვიდან გამარჯვებამდე“
„დანებების საჭიროება (კაპიტულაციის პირისპირ)“
„ღვთის ქვეშ“
„ციხის კედლები რომ ლაპარაკობდნენ“
„ღმერთთან სულიერ მარტოობაში“
„იესო ებრაელთა გზაზე“
„პასუხი ათეისტების სამაგიდო წიგნზე“
„მარქსი და სატანა“
„მარტო ღმერთთან“
„სიმაღლეების მიღწევაში“



# 2

# წამება: ქრისტიანული ჰედონიზმის შესაწირავი

ჯონ ფაიფერი



26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 39 4/13/2012 11:13:22 AM

ამოღებულია „ღვთის სურვილი“-დან, © 1996 ჯონ ფაიფერის
(Sisters, Oregon: Multnomah books).
ნებადართულია მალტნომაჰის გამომცემლობის მიერ.
მხოლოდ მოთხოვნილების საჭიროებისამებრ, ასლის გადაღება ან სხვა
მიზნით გამოყენება ნებადართული არ არის.

## ტანჯული წმინდანის ფერხთით ჯდომა

არასოდესისეთიაღარვყოფილვარ,როგორცრიჩარდვურმბრანდის ფერხთით ჯდომის შემდეგ. ზუსტად მის ფერხთა წინაშე მოხდა ეს. მან ფეხსაცმელები გაიხადა და პლატფორმაზე, ოდნავ შემაღლებულ სკამზე დაჯდა, სამხრეთ მინეაპოლისის ბაპტისტურ ეკლესიაში (მოგვიანებით შევიტყე, რომ ეს დაკავშირებული იყო მისი რუმინეთის ციხეში ფეხის დაზიანებასთან). დაახლოებით თორმეტამდე ხუცესი იჯდა მის წინ. ვურმბრანდი ტანჯვაზე ლაპარაკობდა. რამდენჯერმე გაიმეორა, რომ იესომ „აირჩია“ ტანჯვა. მან „აირჩია“ ის. ეს შემთხვევით არ დაემართა მას. მან ის „აირჩია“. „არავის შეუძლია სიცოცხლე წამართვას. მე ვდებ მას ჩემი სურვილით“ (იოანე 10:18). მან გვკითხა ჩვენ, თუ ავირჩევდით ქრისტეს გულისთვის ტანჯვას.

ასე გავეცანი ვურმბრანდის ყოველდღიური მსახურების წიგნს, „სიმაღლეების მიღწევაში“. რიჩარდ ვურმბრანდი არის ევანგელისტი, ლუთერანი ხუცესი, ებრაული წარმოშობის, 1909 წელს დაიბადა რუმინეთში. როდესაც კომუნისტებმა მისი მშობლიური მიწა დაიპყრეს 1945 წელს, იგი გახდა იატაკქვეშა ეკლესიის ლიდერი. 1948 წელს ის და მისი მეუღლე, საბინა, დააპატიმრეს. რიჩარდმა ციხეში 14 წელი გაატარა. აქედან სამი წელი მარტო, მტანჯველ საკანში. ამ დროის განმავლობაში არასოდეს უნახავს მზე, ვარსკვლავები და ყვავილები. არავინ უნახავს, გარდა დაცვის წევრებისა და მწამებლებისა. მისმა ქრისტიანმა, ნორვეგიელმა მეგობრებმა, გამოისყიდეს მისი თავისუფლება 10 000 დოლარად 1964 წელს.[1]

## რა მშვენიერია შესაწირავი?

ერთ ისტორიას გვიამბობს, მონაზონთა აბატის იტალიის ტელევიზიისთვის მიცემული ინტერვიუს შესახებ. ჟურნალისტი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ამ ჯგუფის ცხოვრებისეული ტრადიციებით და მარტოობაში სიჩუმის დაცვით. მან აბატს ჰკითხა „რა მოხდება მერე, შენი სიცოცხლის ბოლოს თუ აღმოაჩენ, რომ ათეიზმი ყოფილა ჭეშმარიტება. თუ გვიან მიხვდები, რომ არ არსებობს ღმერთი? დაეჭვდე, ვაი და ეს იყოს ჭეშმარიტება?“

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 41 4/13/2012 11:13:22 AM

აბატმა უპასუხა: „სიწმინდე, სიჩუმე, და შესაწირავი თავისთავად ჯილდოს მოლოდინის გარეშეც დიდებულია. მე მაინც კარგად გამივლია ჩემი ცხოვრების გზა“.

ტანჯვაზე ღრმა ფიქრებმა მცირეოდენი წარმოდგენა მომცა ცხოვრების მნიშვნელობის შესახებ. აბატის პასუხი ზედაპირული იყო, თუმცა დიდების შესახებ საუბრობდა. ამის შემდეგ რაღაც გაჩერდა, კარგად ვერ ერგებოდა ერთმანეთს. რაღაც არასწორი იყო. პირველად ვერ მივხვდი რაში იყო საქმე. შემდეგ უდიდეს ტანჯულ ქრისტიანს მივუბრუნდი, მოციქულ პავლეს. გამაოცა აბატსა და პავლეს შორის დანახულმა უფსკრულმა.

პავლეს პასუხი ინტერვიუს წამყვანის კითხვაზე აბატის პასუხის სრულიად საწინააღმდეგო იქნებოდა. ჟურნალისტმა იკითხა - „თუ აღმოჩნდება, რომ შენი ცხვორების გზა მცდარი იყო და არ არსებობს ღმერთი?“ აბატის აზრი სინამდვილეში იყო „ჩემი ცხვორება მაინც იქნება კარგი და კეთილშობილური“. პავლემ კი ამ კითხვას პასუხი გასცა 1 კორინთელთა 15:19-ში: „თუ მხოლოდ ამ ცხოვრებაში გვაქვს ქრისტეს იმედი, ყველაზე საცოდავები ვყოფილვართ“. ეს სრულიად საწინააღმდეგოა აბატის პასუხისა.

რატომ არ დაეთანხმა პავლე ბერს? რატომ არ თქვა პავლემ – „ქრისტე რომ არ აღმდგარიყო მკვდრეთით, ღმერთი, სიყვარულით ცხოვრება და შრომა, შეწირვა და ტანჯვაც რომ არ არსებობდეს, ასეთი ცხოვრების გზა მაინც კარგია“? რატომ არ თქვა – „აღდგომის ჯილდოს მიღების მიუხედავად მაინც არა ვართ საცოდავები“? ამის ნაცვლად რატომ თქვა – „თუ ქრისტეში ჩვენი იმედი საბოლოოდ მცდარი აღმოჩნდება, ყველაზე მეტად საბრალონი ვართ“?

## მიდის თუ არა სიცოცხლე ქრისტესთან უკეთესად?

ეს არის უკიდურესად სასიცოცხლო კითხვა ქრისტიანული ეკლესიისათვის, განსაკუთრებით წარმატების შემთხვევაში, კომფორტული ქვეყნებისათვის, როგორებიცაა ამერიკა და დასავლეთ ევროპა. რამდენჯერ მოგვისმენია ქრისტიანების დამოწმება იმ კუთხით, რომ ქრისტიანად მოქცევის შემდეგ

დადებითად შეიცვალა მათი ცხოვრება? ახლახან მოვისმინე ამერიკული პროფესიონალური ფეხბურთის მოთამაშის ნათქვამი, რომ მას შემდეგ რაც ილოცა ქრისტეს მისაღებად, კარგად განეწყო თამაშისთვის და ამაყობდა 8 შეხვედრიდან 8 მოგებით, რადგან კვლავ შეეძლო ყოველ კვირა სათამაშოდ წასვლა და საუკეთესო მატჩის ჩატარება.

როგორც ჩანს, ქრისტიანების უმეტესობა წარმატებულ დასავლეთში ქრისტიანობას ახასიათებს იმ კუთხით, თუ რამდენად სასიკეთოდ შეიცვლება მათი ცხოვრება თუნდაც ღმერთისა და აღდგომის გარეშე. იფიქრეთ ყველა ფსიქოლოგიურ თუ ურთიერთობის შედეგად მიღებულ წარმატებზე. რაც, რაღა თქმა უნდა, არის ბიბლიური და ჭეშმარიტი: სული წმიდის ნაყოფი არის სიყვარული, სიხარული და მშვიდობა. ასე რომ, თუ მივიღებთ სიყვარულს, სიხარულს და მშვიდობას ამ საკითხების დაჯერებით, განა ეს არ არის კარგი ცხოვრებით სიცოცხლე, შეცდომაზეც რომ იყოს დაფუძნებული? რატომ უნდა შეგვიბრალონ?

მაშინ, რა არის პავლესთან არასწორი? განა ის სრულყოფილი სიცოცხლით არ ცხოვრობდა? რატომ ამბობდა ამას: თუ არ არის აღდგომა, ყველაზე საცოდავები ვართო? შესაბრალისად არ ჩანს იცხოვრო სამი და ათი გოლით მხიარულ და დამაკმაყოფილებელ ილუზიაში, თუ ეს ილუზია არანაირ განსხვავებას არ წარმოადგენს მომავლისათვის. თუკი ეს სიცრუე შეიძლება სიცარიელედ და უაზრობად გადაიქცეს ბედნიერებისთვის, მაშინ ნამდვილად ვიქნებით მოტყუებული.

პასუხი, როგორც ჩანს, შემდეგში მდგომარეობდა პავლესათვის: ქრისტიანული ცხოვრება არ გულისხმობდა კარგ და წარმატებულ ცხოვრებას. ამის ნაცვლად, ის კვლავ და კვლავ აგრძელებდა თავისი ნებით არჩეულ წამებულ ცხოვრებას, ყველაფერ იმის მიღმა, რასაც ჩვეულებრივად გამოვცდით. პავლეს სჯერა ღმერთის, დარწმუნებულია აღდგომაში და იმედი აქვს ქრისტესთან სამუდამო ურთიერთობის, რაც სულაც არ ნიშნავს კომფორტულ ცხოვრებასა და კმაყოფილებას აღდგომის გარეშე. არა, რასაც მისი იმედი წარმოშობს შედეგად, არის ნებით არჩეული ტანჯვით ცხოვრება. დიახ, მან იცოდა უსიტყვო სიხარულიც. მაგრამ, ეს იყო „იმედში სიხარული“

(რომაელთა 12:12) და ეს იმედი აძლევდა მას თავისუფლებას მიეღო ტანჯვა, რომელსაც ის არასოდეს არ აირჩევდა აღდგომის იმედის გარეშე, ვისთვისაც ქრისტე მოკვდა. თუ აღდგომა არ არის, პავლეს არჩევანი, ამ შემთხვევაში - შესაბრალისია.

დიახ, ამ ტანჯვაში ყველაზე მნიშვნელოვანია სიხარული. მაგრამ ამ სიხარულს წარმოშობდა ტანჯვის მიღმა არსებული სიხარული. ამაზეა ყურადღება გამახვილებული რომაელთა წერილში 5:3, 4: „და არა მარტო ამით, არამედ გასაჭირითაც ვიქადით, რადგან ვიცით, რომ გასაჭირი შეიქმს მოთმინებას, მოთმინება – სიმტკიცეს, სიმტკიცე – სასოებას“. აქ არის სიხარული გასაჭირში. სიხარული მოდის ფაქტიდან, რომ გასაჭირი თავისთავად ეხმარება იმედის მიღებასა და ზრდას. თუ არ არსებობს იმედი, მაშინ პავლე სულელი ყოფილა, რადგან იტანდა ამ გასაჭირს და უფრო მეტად სულელი, რადგან ხარობდა განსაცდელში. მაგრამ, არსებობს იმედი. პავლე ირჩევს ცხოვრების გზას, რომელიც იქნებოდა შესაბრალისი სამარის მიღმა იმედის ქონის გარეშე. ეს პასუხობს რიჩარდ ვურმბრანდის კითხვას, დიახ. ის ირჩევს ტანჯვას.

## არის თუ არა განსხვავება კონფლიქტსა და კიბოს შორის?

მოდი ოდნავ გადავუხვიოთ საკითხს. ვინმემ შესაძლოა კითხვა დასვას: „რა შეიძლება ითქვას ტანჯვის ან სასტიკი დეპრესიის შესახებ, რომლებსაც მე არ ვირჩევ? არის რაიმე ამ თავში ზემოთ აღნიშნულ შეკითხვებთან დაკავშირებით?“ ჩემი პასუხია, რომ ამ თავის უმეტესი ნაწილი მოიცავს ტანჯვას, რომელსაც ქრისტიანები ირჩევენ. ქრისტიანი უნდა იყოს ყველასათვის სამაგალითო სარისკო სიტუაციებშიც კი. ამა თუ იმ გაგებით, ყველა სიტუაცია სარისკოა.

ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ავადმყოფობასა და დევნას შორის არის წინასწარ განზრახული მტრობა ქრისტიანებისადმი. ავადმყოფობა ასეთი არ არის. ამიტომ, გარკვეულწილად, ქრისტიანული მსახურების გზის არჩევა, ნიშნავს აირჩიო ცხოვრების გზა, რომლისათვისაც ყოველ წუთს მოსალოდნელია ტანჯვა, თუკი ამას ღმერთი ინებებს

(1 პეტრე 4:19). შესაძლოა ტანჯვა გამოიწვიოს შენი ქრისტიანული ცხოვრების გზამ, მაშინაც კი, როცა საქმე არა გვაქვს წინასწარ განზრახულ მტრობასთან ურწმუნოთა მხრიდან. მაგალითად, ქრისტიანი შეიძლება წავიდეს რაიმე ეპიდემიით მოცულ სოფელში მსახურებისათვის და დაავადდეს. ეს არის ტანჯვა როგორც ქრისტიანისა, მაგრამ არა „დევნა“. ეს არის არჩევანი იტანჯო, თუ ღმერთი ისურვებს, თუმცა არავინ გმტრობს.

როდესაც გაიფიქრებ ამ ყველაფერზე, მთელ განვლილ ცხოვრებაზე, თუ იგი რწმენითა და სხვების დახსნის მცდელობით გაიარე, ღვთის განდიდების მიზნით, ეს დაემგვანება ეპიდემიით მოცულ სოფელში მსახურებაზე წასვლას. ტანჯვა, რომელიც მოდის, არის ცხოვრების ნაწილი, სადაც შენ მორჩილებას უცხადებ ღვთის მოწოდებას, ანუ მიყვები ქრისტეს იმ გზაზე, რომლისაკენაც წაგიძღვება, ირჩევ ყველა იმ ბილიკს, რომელიც აღსავსეა მისი მარადიული მოწოდებით. თუმცაღა, ყველა ტანჯვა, რაც ამ მორჩილების ბილიკზე გხვდება, არის ტანჯვა ქრისტესთვის და ქრისტესთან — იქნება ეს კიბო თუ კონფლიქტი. ეს გზა ჩვენს მიერ არის „არჩეული“. მას ნებით ვირჩევთ და მორჩილების ამ გზაზე ტანჯვა წაგვიძღვება წინ, თუმცა არ ვიბუზღუნებთ ღმერთის მიმართ. შესაძლოა ვილოცოთ, როგორც პავლემ, რომ ტანჯვა მოგვშორდეს (2 კორინთელთა 12:8); მაგრამ თუ ღმერთს სურს, ისე მივიღებთ ყველაფერს, როგორც მოწაფეობის საზღაურს სამოთხისაკენ მიმავალ მორჩილების გზაზე.

## ნებისმიერი ტანჯვა ქრისტიანულ მოწოდებაში არის ქრისტესთან და ქრისტესთვის

ქრისტიანული მორჩილების გზაზე ტანჯვის გამოცდილებას, დევნას, ავადმყოფობას თუ უბედურ შემთხვევას, ერთი რამ აქვს საერთო: ჩვენს რწმენას ემუქრებიან ღვთის მოწინააღმდეგენი და გვცდიან, რათა დავტოვოთ მორჩილების ბილიკი. ამიტომ, რწმენის ყოველი გამარჯვება და შეუპოვრობა მორჩილებაში არის ქრისტესმიერი სულგრძელობა და დაფასება, განსაკუთრებით კი როცა მტრის, ავადმყოფობის, სატანის, ცოდვის თუ შანტაჟის წინაშე დგახარ.

ამიტომ ყველანაირი ტანჯვა, ნებისმიერი სახის, რასაც გადავიტანთ ქრისტიანული მოწოდების ტანჯვაში, არის „ქრისტესთან“ და „ქრისტესთვის“. ტანჯვა მოდის იმ დროს, როცა მასთან ერთად დავდივართ რწმენით — ამ განცდით არის გადატანილი ეს ტანჯვა, რადგან მაღალი, მღვდლის შესაფერისი მსახურების ძალით აღგვავსებს ღმერთი (ებრაელთა 4:15). მისთვის ჩვენი ტანჯვა არის გამოცდა და დამტკიცება ძლევამოსილი სამეფო ტახტისადმი ჩვენი ერთგულად მსახურებისა, რაშიც უფალი გვიდასტურებს თავის ჭეშმარიტ ფასს და სისრულეს, კომპენსაციას და ჯილდოს.

## სატანისა და ღმერთის გეგმა ერთი და იგივე ტანჯვისთვის

ავადმყოფობითა თუ დევნით განცდილ ტანჯვას აქვს საერთო მიზნები: ორივე შემთხვევაში სატანა განიზრახავს რწმენიდან ჩვენს ჩამოშორებას, როდესაც იმავე შემთხვევებით ღმერთი ცდილობს ჩვენს რწმენაში გაძლიერებას.

ჯერ განვიხილოთ დევნის მაგალითი. 1 თესალონიკელთა 3:4, 5-ში პავლე საუბრობს თესალონიკელთა რწმენის დევნაზე:

> ”როდესაც თქვენთან ვიყავით, წინასწარ გითხარით, რომ უნდა დავტანჯულიყავით განსაცდელებით და ასეც მოხდა, როგორც იცით. ამის გამო, როცა აღარ შემიძლია მეტის ატანა, ვკითხულობ თქვენს რწმენას, შეიძლება, სატანამ როგორღაც თქვენი რწმენაც შეარყია და ჩვენი შრომა ამაო აღმოჩნდა”.

აქ აშკარაა, რომ „გამომცდელის“ გეგმა არის რწმენის დანგრევა.

მხოლოდ სატანა არ არის ამ გეგმის მატარებელი. ღმერთი ბატონობს სატანაზე და არ აძლევს იმაზე მეტად მოქმედების უფლებას, რაც მისი გეგმების განხორციელებას ხელს შეუშლის, ეს კი სატანის მიზნებს ეწინააღმდეგება. მაგალითად, ებრაელთა მე-12 თავის დამწერი მკითხველს ამხნევებს, რომ არ დავკარგოთ მხნეობა დევნისას, მოსიყვარულე ღმერთის მასში არსებული მიზნების გამო.

> მიბაძეთ ქრისტეს, ვინც აიტანა ასეთი მტრობა ცოდვილებისაგან, რათა არ დაეცეთ სულიერად და არ დაკარგოთ მხნეობა. ჯერ კიდევ არ უარგიყვიათ თქვენი ცოდვისათვის მის მიერ დაღვრილი სისხლი, თუმცა დაივიწყეთ უფლის შეგონება საკუთარი ძეებისადმი: „უფლის დარიგებას, შვილო ჩემო, ნუ შეიზიზღებ და მისი შეგონება ნუ მოგძულდება. ვინც უყვარს უფალს, იმას დასჯის, როგორც მამა – შვილს, თავის საქებარს!" (იგავი 3:11, 12). ეს გამოსაწრთობად არის, რომ აიტანო... ახლა ეს წრთობა არ გვახარებს, პირიქით – გვაწუხებს კიდეც. მიუხედავად ამისა, ვინც ამ მეთოდით იქნა გაწვრთნილი, მოგვიანებით მშვიდობისა და სიმართლის ნაყოფი მიიღო.

არის ტანჯვა, რომელიც მოდის „მტრულად ცოდვილებიდან". ეს ნიშნავს, რომ სატანის ხელი ურევია ამ საქმეში, ისევე როგორც ქრისტეს ტანჯვაში (ლუკა 22:3). მიუხედავად ამისა, ეს ტანჯვა აღწერილია როგორც ღვთის ნებით წარმართული, მოსიყვარულე მამის მიერ დაშვებული წვრთნა და განწმენდა. სატანას ერთი გეგმა აქვს ჩვენს ტანჯვასა და დევნაში, ღმერთს კი მეორე იმავე შემთხვევაში.

დევნა არ არის უნიკალური ამ დროს. იგივე ითქმის ავადმყოფობაზეც. სატანისა და ღმერთის გეგმები აშკარაა (2 კორინთელთა 12:7-10).

> "რათა არ გავმედიდურდე მეტისმეტი გამოცხადებით, ეკალი მომეცა სხეულში, სატანის ანგელოზი, რომ დამქენჯნოს, რათა არ გავმედიდურდე. სამჯერ შევევედრე უფალს რომ განმაშოროს იგი. და მითხრა: „გეყოფა ჩემი მადლი, ვინაიდან უძლურებაში ხდება სრულყოფილი ჩემი ძალა". ამიტომ უფრო ხალისით დავიკვეხნი ჩემი უძლურებით, რათა ქრისტეს ძალა დამკვიდრდეს ჩემში. ამიტომ კმაყოფილი ვარ უძლურებაში, შეურაცხყოფაში, გაჭირვებაში, დევნაში და შევიწროებაში ქრისტეს გულისათვის, ვინაიდან როცა უძლური ვარ, მაშინ ვარ ძლიერი".

აქ, პავლეს ფიზიკური ტანჯვა – ეკალი სხეულში – იწოდება „ამტანობის ანგელოზად“. მაგრამ ამ ტანჯვის მიზანია „დაიცვას პავლე მედიდურობისაგან“, რაც არასოდეს არ იქნებოდა სატანის გეგმა. ასე რომ, ქრისტე სუვერენულად ასრულებს თავის სიყვარულს, განმწმენდ მიზანს, სატანის გამთიშველ მცდელობას მმართველობის ხელში ჩასაგდებად. სატანა მუდამ ცდილობს ჩვენი რწმენის დანგრევას, მაგრამ ქრისტე განადიდებს საკუთარ ძალას ჩვენს სისუსტეში.

## არის თუ არა დევნასა და ავადმყოფობით გამოწვეულ ტანჯვას შორის განსხვავება?

მიზეზი, რატომაც არ არის მკვეთრი განსხვავება დევნასა და ავადმყოფობას შორის, ის არის, რომ დევნისაგან მიყენებული ტკივილი და ავადმყოფობის ტკივილი ყოველთვის არ არის განსხვავებული. ქრისტეს გამო რუმინეთის ციხეში წამების შედეგად, რიჩარდ ვურმბრანდი რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც განიცდიდა ფიზიკურ ტკივილს. „დევნაში“ გატარებული ოცდაათი წლის შემდეგ იგი ფეხის ტკივილს კვლავ იტანდა. ახლა გავიხსენოთ პავლე მოციქული. მის, როგორც „ქრისტეს მსახურის“ მიერ განცდილ ტანჯვებს შორის მოხსენიებული რამდენიმე წარმოუდგენელი ფაქტი. მაგალითად, იგი სამჯერ იყო დაღრჩობის საფრთხის წინაშე გემის ჩაძირვის გამო, ასევე მთელი დღე-ღამე გაატარა წყალში. პავლე იმასაც ამბობს, რომ ამ ტანჯვის დროსაც კი მზად იყო კიდევ აეტანა ქრისტესთვის შრომა და გაჭირვება, გამუდმებული სიფხიზლე, შიმშილი და წყურვილი, გამუდმებული მარხულობა ყინვასა და სიშიშვლეში ყოფნისას (2 კორინთელთა 11:25, 27).

სავარაუდოდ, პავლეს პნევმონიაც კი ჰქონდა ამდენი შრომისა და დაუცველობისაგან. ეს პნევმონია „დევნა“ იქნებოდა? პავლე ერთმანეთისგან არ ასხვავებდა წკეპლით ცემასა და გემის ჩაძირვას, ან აუტანელ სიცივეს ქალაქებს შორის მოგზაურობისას. მისთვის ნებისმიერი ტანჯვა ქრისტეს მსახურების განმავლობაში იყო მოციქულობის „საზღაური“. როცა მისიონერის ბავშვს ფალარათი აქვს, ვფიქრობთ, რომ ეს არის ერთგულების საზღაური. მაგრამ, თუ რომელიმე მშობელი

მორჩილების გზას ადგას ღვთის მოწოდების შესაბამისად, მასაც იგივე საზღაური აქვს. რა განასხვავებს ერთმანეთისგან ტანჯვას "ქრისტესთვის" "ქრიტესთან"-გან დამოკიდებულია არა ჩვენი მტრის წინასწარგანზრახულობაზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად ერთგულები ვართ. თუ ქრისტესნი ვართ, მაშინ რაც ჩვენს თავს ხდება ყველაფერი არის მისი განდიდებისათვის და ჩვენს სასიკეთოდ, მნიშვნელობა არა აქვს ეს მტრმა გამოიწვია თუ სხეულში ქიმიური ნივთიერებების ცვლილებამ.

## ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲦᲝᲠᲛᲣᲪᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲐ?

მოკლე გადახვევიდან დავუბრუნდებით პავლეს განცხადებას (1 კორინთელთა 15:19) იმის შესახებ, რომ ცხოვრება, რომელიც მან აირჩია შესაბრალისია, თუ არ არსებობს აღდგომა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქრისტიანობა, პავლეს მოსაზრებით, არ არის სიამოვნების მაქსიმუმის მიღწევის გზა, თუ ასეთი სიცოცხლე საერთოდ არსებობს დედამიწაზე. პავლე გვეუბნება საუკეთესო გზის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მივაღწიოთ უკეთეს სიამოვნებას ამ ცხოვრებაში. „თუ მკვდრები არ აღდგებიან, მაშინ ვჭამოთ და ვსვათ, რადგან ხვალ მოვკვდებით" (1 კორინთელთა 15:32). ის არ გულისხმობს რაღაც ისეთ გულუბრყვილოს, როგორიცაა ეპიკურიანიზმი და თავაშვებულობა. ეს არ არის საუკეთესო გზა სიამოვნების მაქსიმალიზაციისა, როგორც ყველა ჩვენგანმა იცის, რომელიც მისდევდა ალკოჰოლიზმისა და ღორმუცელობის გზას. ლოთები და ჭამა-სმის მოყვარულები ისეთივე საცოდავები არიან, როგორიც ქრისტიანები, თუკი არ იარსებებს აღდგომა.

რას გულისხმობს ის ამ ფრაზაში – „მოდი, ვჭამოთ და ვსვათ", არის ეს აღდგომის იმედის გარეშე, უნდა გამოვედევნოთ ჩვეულებრივ სიამოვნებას და თავი ავარიდოთ ექსტრაორდინალურ ტანჯვებს? ეს არის ცხოვრება, რომელიც პავლემ უარყო, როგორც ქრისტიანმა. თუმცა, თუ მკვდრები არ აღდგებიან, თუ არ არსებობს ღმერთი და ზეცა, ასეთნაირად აღარ შეწუხდებოდა პავლე, უარს არ იტყოდა კარვების კეთების გასამრჯელოზე, არ აიტანდა ოცდაცხრამეტჯერ მათრახის ცემას,

სამჯერ წკეპლებით ცემას. არ ჩააგდებდა თავის სიცოცხლეს ქურდების, უდაბნოს, ქალაქებში მცხოვრები და ზღვებში მოთარეშე გამწარებული ბრბოს ხელში, არ გამოივლიდა უძილო ღამეებს, სიცივესა და დაუცველობას. არ აიტანდა ცინიკოს და ზურგს უკან ჩასაფრებულ ქრისტიანთა ხრიკებს (2 კორინთელთა 11:23-29). უბრალოდ, კარგი ცხოვრებით იცხოვრებდა, კომფორტულად, პატივცემული ებრაელის, რომაელი მოქალაქის უპირატესობით.

როცა პავლე ამბობს, „თუ მკვდრები არ აღდგებიან, მაშინ ვჭამოთ და ვსვათ“, იგი არ გულისხმობს „მოდი, ყველა გავხდეთ გარყვნილები“. ის გულისხმობს, რომ ჩვეულებრივ ადამიანურ ცხოვრებაში არის ნორმალური, მარტივი, კომფორტული ცხორებით მიღებული სიამოვნება, რომლითაც ვისიამოვნებთ და არ დავიტანჯებით სამოთხესა და ჯოჯოხეთზე ფიქრებით, ცოდვისა და სიწმინდის განსჯით, ან ღმერთის აღდგომაზე დებატებით. ამ საკითხებზე ფიქრისას გამაოცა იმან, რომ მრავალთა მიზანი, ვინც საკუთარ თავს ქრისტიანად აცხადებს, სწორედ ცხოვრების ამ გზისაკენ არის მიდრეკილი და ამას უწოდებს ქრისტიანობას. პავლე ვერ აღიქვამდა თავის ურთიერთობას ქრისტესთან ამ ცხოვრებაში საკუთარი ფიზიკური კომფორტის მიღების საშუალებად. არა, პავლეს ქრისტესთან ურთიერთობა იყო მოწოდება, აერჩია ტანჯვა, რომელიც იყო იმის მიღმა, რაც ათეიზმს გახდიდა „აზრიანს“ ან „შესანიშნავს“ ან „გმირულს“. ეს იყო ტანჯვა, რომელიც იქნებოდა უკიდურესად სულელური და საცოდავი, თუკი დაეჭვდებოდი ქრისტეს სიხარულით აღსავსე აღდგომაში.

## დასავლური ქრისტიანობის თითქმის დაუჯერებელი ბრალდება

გასაოცარი რამ, რაც საბოლოოდ ვურმბრანდის ნაწერებზე ფიქრში დავინახე, ცისტერციანელი აბატის შეხედულება იყო. პავლეს რადიკალურად განსხვავებულ შეხედულებებში დავინახე თითქმის დაუჯერებელი ბრალდება დასავლური ქრისტიანობის წინააღმდეგ. ხომ არ ვაჭარბებ? თავად განსაჯეთ. რამდენ ქრისტიანს იცნობთ, რომელიც იტყოდა: „ცხოვრების

სტილი, რომელიც ავირჩიე როგორც ქრისტიანმა, იქნებოდა უკიდურესად სულელური და შესაბრალისი, რომ არ არსებობდეს აღდგომა“? რამდენი ქრისტიანი იტყოდა: „ტანჯვა, რომელიც ჩემი ნებით ავირჩიე ქრისტეს გამო, შესაბრალებელი იქნებოდა, აღდგომა რომ არ არსებობდეს“? როგორც ვხედავ, ეს არის შოკის მომგვრელი შეკითხვები.

## ქრისტიანობა: არჩეული ტანჯვით ცხოვრება

„და თუ ჩვენ ამ ცხოვრებაში ვართ ქრისტეს მოიმედენი, ყველა ადამიანზე საცოდავნი ვყოფილვართ“ (1 კორინთელთა 15:19). პავლეს ქრისტიანული ცხოვრება იყო ნებით არჩეული შესაწირავი ამ დედამიწაზე, რათა ჩვენ მივიღოთ ქრისტესთან ურთიერთობის სიხარული მისი მოსვლისას. აი, როგორ განმარტავს ამას თავად პავლე:

> მაგრამ, რაც ჩემთვის მოგება იყო, წაგებად ჩავთვალე ქრისტეს გულისათვის. ახლაც ყველაფერი წაგებად მიმაჩნია, ჩემი უფლის იესო ქრისტეს ცოდნის უპირატესობისათვის, რის გამოც უარი ვთქვი ყოველივეზე და რის გამოც ყველაფერს ნაგვად მივიჩნევ, რათა ქრისტე შევიძინო... მის ტანჯვებში თანაზიარება... რათა როგორმე მივწვდე მკვდრეთით აღდგომას (ფილიპელთა 3:7-11).

და კვლავ ვიტყვი: ქრისტესმიერი მოწოდება ნიშნავს შესწირო მას ცხოვრება და დანაკარგად მიიჩნიო ყველაფერი, მაგრამ ტანჯვა სულელური ცხოვრების გზა იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო მკვდრეთით აღდგომა. ეს არის პავლეს შეგნებული არჩევანი. მოვუსმინოთ ამ პროტესტს: „თუ მკვდრები საერთოდ არ აღდგებიან, რატომ ინათლებიან მკვდართათვის... რატომ ვართ ყოველჟამს საფრთხეში? ვფიცავ თქვენდამი ჩემს სიქადულს, ძმანო, რომელიც ჩვენს უფალ ქრისტე იესოში მაქვს, რომ ყოველდღე ვკვდები!“ (1 კორინთელთა 15;29-31). ეს არის პავლეს არჩევანი. ის „აპროტესტებს“, რადგან არ არის ვალდებული იცხოვროს ამ გზით, თუმცა ამას ირჩევს და „ყოველ საათში კვდება!“ „ყოველ დღე კვდება!“ აი, რატომ ამბობს, რომ

საცოდავი იქნება, თუ მკვდრეთით აღდგომა არ არის. ის ირჩევს გზას, რომელიც ყოველ დღე მიუძღვება მას ტანჯვისა და ყოველდღიური ტკივილით აღსავსე ცხოვრებისაკენ.

„ყოველ დღე ვკვდები“.

## რატომ? რატომ გააკეთა პავლემ ეს?

ეს ნორმალური არ არის. ადამიანის მოდგმა ტანჯვას გაურბის; უსაფრთხო სამეზობლოში გადავდივართ საცხოვრებლად; ზომიერ კლიმატს ვირჩევთ. ჰაერგამაგრილებლებს ვყიდულობთ; ასპირინს ვიღებთ; წვიმის დროს სახლში შევდივართ; ბნელ ქუჩებს თავს ვარიდებთ; სასმელ წყალს ვფილტრავთ. როგორც წესი, არ ვირჩევთ ისეთი ცხოვრების გზას, რომელიც გამოიწვევდა ჩვენს „სიკვდილს ყოველ საათში“. პავლეს ცხოვრება ნორმალური ადამიანური არჩევნისაგან განსხვავდება. თითქმის არცერთი რეკლამა არ გვიზიდავს და არ აღძრავს ჩვენში ყოველდღიური სიკვდილის სურვილს.

მაშ რა აღანთებს მოციქულ პავლეს, როცა ამბობს: „რადგან, როგორც ქრისტეს ტანჯვანი არიან მრავლად ჩვენში, ასევე მრავლდება ჩვენი ნუგეშისცემა ქრისტეს მიერ“ (2 კორინთელთა 1:5) და იყოს „ქრისტეს გულისათვის სულელი“ (1 კორინთელთა 4:10)? რამ აარჩევინა „შიმშილი და წყურვილი... სიღარიბე... შეურაცხყოფა... უსახლკარობა... დევნილობა... გვემა... სახელის გატეხა... და გამხდარიყო განახვეტი სოფლისა, ყველაფრის ნაგავი აქამდე“ (1 კორინთელთა 4:11-13)?

## „მე ვაჩვენებ მას როგორ უნდა იტანჯოს“

ალბათ, ეს იყო მარტივი მორჩილება ქრისტეს დავალების მიმართ საქმეების 9:15, 16-ში აღწერილი. როდესაც იესომ გაგზავნა ანანია პავლეს თვალის ასახელად, მას შემდეგ რაც დამასკოს გზაზე დაბრმავდა, მან თქვა „წადი, რადგან ის არის ჩემი რჩეული ჭურჭელი, რათა ატაროს ჩემი სახელი წარმართთა, მეფეთა და ისრაელიანთა წინაშე; მე ვაჩვენებ მას, რამდენი უნდა იტანჯოს ჩემი სახელის გულისათვის“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტანჯვა უბრალოდ იყო პავლეს მოციქულად მოწოდების ნაწილი.

მისი მოწოდებისადმი ერთგულად დასარჩენად უნდა აეტანა, რაც ქრისტემ მისცა, ანუ – მრავალი განსაცდელი.

„მისცა“ არის ზუსტი სიტყვა. რადგან წერილში ფილიპელთა მიმართ პავლე, ყველასთვის გასაკვირად, ტანჯვას უწოდებს საჩუქარს, ისევე როგორც რწმენა არის საჩუქარი. „ვინაიდან ქრისტეს გულისათვის მოგეცათ თქვენ, არა მარტო რწმენა, არამედ ტანჯვაც“ (ფილიპელთა 1:29). ეს არ ნიშნავს, რომ „საჩუქარი“, რომელიც მას მიეცა როგორც მისი მოწაფეობის ნაწილი, განხილულია პავლეს მიერ, მხოლოდ მოციქულობის საზღაურად. იგი „ებოძა“ ფილიპელ მორწმუნეებსაც, მთელ ეკლესიას.

სხვებმა ისეთი უცნაური რამ აღმოაჩინეს, რომ ტანჯვა არის საჩუქარი, რომელიც უნდა აიტანო, მიიღო, გულში ჩაიკრა, მოეხვიო. ალექსანდრე სოლჟენიცინმა ისაუბრა ციხეში გატარებულ დროზე და ყველა იმ ტკივილზე, როგორც საჩუქარზე. „ეს მოხდა მაშინ, როდესაც პირველად იმ აყროლებული ციხის ნამჯის ლეიბზე დავწექი და პირველად ვიგრძენი შიგნით სიკეთის მოქმედება. თანდათანობით გამიცხადდა, რომ კეთილსა და ბოროტს შორის ხაზი გადის ადამიანების გულებზე და არა რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, სახელმწიფოს, ან კლასებს შორის, ანუ ყოველი ადამიანის გულში და ყოველი ადამიანის გულზე...

კურთხეული ხარ, ციხევ, ჩემს ცხოვრებაში არსებობისათვის“.[2] სოლჟენიცინი ეთანხმება პავლეს, რომ ტანჯვა არის ან შეიძლება იყოს საჩუქარი არა მხოლოდ მოციქულებისთვის, არამედ ყოველი ქრისტიანისთვის.

## ვაჩვენოთ რომ ის უბრალოდ ქრისტიანი იყო

ჩნდება კითხვა: პავლემ მხოლოდ იმის დასადასტურებლად მიიღო ტანჯვა, რომ ის უბრალოდ ქრისტეს ერთგული მოციქული იყო? იესომ თქვა, „თუ ვინმეს სურს გამომყვეს, უარყოს თავისი თავი, ყოველდღე იტვირთავდეს თავის ჯვარს და მომყვებოდეს... ვისაც სურს თავისი სული იხსნას, იგი დაღუპავს მას. ხოლო ვინც ჩემი გულისთვის დაღუპავს მას, იგი იხსნის მას” (ლუკა 9:23, 24). ასე რომ, არ არსებობს ჭეშმარიტი

ქრისტიანობა ჯვრის უტვირთელად და ყოველდღიური სიკვდილის გარეშე — რაც ძალიან გავს პავლეს სიტყვებს – „ყოველდღე ვკვდები“ (1 კორინთელთა 15:31). უფრო მეტიც, იესომ უთხრა თავის მოწაფეებს: „მონა არ არის თავის ბატონზე დიდი. მე თუ მდევნიდნენ, თქვენც გაგდევნიან” (იოანე 15:20). ამრიგად, არასწორი იქნებოდა პავლეს რომ იესოს ტანჯვაში არ მიეღო მონაწილეობა. იესომ ავის მომასწავებელი ნიშანი მისცა მოწაფეებს თავის მსახურებაში: „შეხედეთ, მე გგზავნით თქვენ როგორც ცხვრებს მგლებს შორის“ (ლუკა 10:3). და დაპირდა: „ასევე გაცემულ იქნებით მშობლებისა და ძმების, ნათესავებისა და მეგობრების მიერ, ხოლო ზოგიერთ თქვენგანს მოკლავენ... მთელი ერები შეგიძულებენ ჩემი სახელის გამო“ (ლუკა 21:16; მათე 24:9).

ცხადია, პავლემ ეს დაპირება არ ჩათვალა მხოლოდ თორმეტი მოციქულისათვის განკუთვნილ ხვედრად, რადგან მან თავისი მოღვაწეობის შედეგად დაარსებულ ეკლესიებსაც იგივე გადასცა. მაგალითად, თავის მოქცეულებს ასე ამხნევებდა: „მრავალი ტანჯვით უნდა შევიდეთ ღვთის სასუფეველში“ (საქმეები 14:22). თესალონიკეს ეკლესიის წამებულებს კი სთხოვდა, „რათა არავინ შემდრკალიყო ამ გასაჭირში, ვინაიდან, თვითონ იცით, რომ ჩვენ საამისოდ ვართ დადგენილნი” (1 თესალონიკელთა 3:3). ტიმოთესადმი მიწერილ წერილში კი ძირითად პრინციპად ჩამოაყალიბა: „და ყველა, ვისაც სურს ქრისტე იესოში იცხოვროს ღვთისმოსაობით, დევნილი იქნება” (2 ტიმოთე 3:12). როდესაც, ამ საკითხზე საუბრობს, იგი გამორჩეულ მსახურებს კი არ მიმართავს, არამედ ეკლესიის ყველა წევრს ეუბნება: „მომბაძეთ მე“ (1 კორინთელთა 4:16). პავლემ ასეთი ტანჯვის მიღებით უბრალოდ დაამოწა, რომ ის ქრისტიანი იყო, „თუ მე გამდევნეს, თქვენც გაგდევნიან“.

## გადაეჩვიონ ქრისტიანები ძუძუს წოვას და გახდნენ დამოუკიდებლები

მას უნდა ესწავლებინა ქრისტიანებისთვის გადაჩვეოდნენ ძუძუს წოვას და შეძლებოდათ საკუთარ თავზე დაყრდნობა, რადგან სჯეროდა, რომ ტანჯვა იყო ერთგული ქრისტიანების ცხოვრების

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 54 4/13/2012 11:13:22 AM

ნაწილი, მან თავად გადაიტანა ეს და გაიაზრა, თუ რატომ უნდა ყოფილიყო ასე. საკუთარმა ტანჯვის გამოცდილებამ ღვთის შვილების სიყვარულის სიღრმისეულ გზაზე მიიყვანა. მაგალითად, მან ისწავლა, რომ ჩვენს ტანჯვას იყენებს ღმერთი, რაშიაც გულისხმობს საკუთარ თავზე დამოკიდებულებას და მხოლოდ მასზე დაიმედებას. აზიაში განცდილი ტანჯვის შემდეგ პავლემ თქვა: „არ გვინდა, ძმებო, არ იცოდეთ ჩვენი გასაჭირი, რაც აზიაში გადავიტანეთ, რომ მეტისმეტად დაგვიმძიმდა, ვიდრე ამის მოთმენა შეგვეძლო. ხოლო ჩვენ თავად გვქონდა სასიკვდილო მსჯავრი, რათა ჩვენი თავის იმედი კი არ გვქონოდა, არამედ ღვთისა, რომელიც აღადგენს მკვდრებს“ (2 კორინთელთა 1:8, 9). ეს არის ღმერთის უნივერსალური მიზანი ყველა ქრისტიანის ტანჯვაში: უფრო მეტი კმაყოფილება ღმერთში და რაც შეიძლება ნაკლები იმედი საკუთარი თავისა და ქვეყნიერების.

მე არასოდეს მსმენია ვინმეს ეთქვას – „ღრმა ცხოვრებისეული გაკვეთილები სიმარტივესა და კომფორტის დროს მივიღე“. ძლიერი მორწმუნეებისაგან კი მსმენია – „ყველა მნიშვნელოვანი წინსვლა, რაც კი ოდესმე მქონია, მიმიღია ღვთის ღრმა სიყვარულით და მასში საგრძნობი ზრდა კი ტანჯვის მეშვეობით მოსულა“. სამუელ რუტერფორდმა თქვა, როდესაც განმარტოებულ საკანში განათავსეს, გაახსენდა, რომ დიდ მეფეებს ყოველთვის თან ჰქონდათ ღვინო. ჩარლზ სპერჯენმა კი თქვა – ის, ვინც, ღრმად ჩაყვინთავს მწუხარების ზღვაში, იშვიათ მარგალიტს ამოიტანს ზემოთ.

## ვაღიაროთ ქრისტე უმაღლესი კმაყოფილების საგნად

უდიდეს წყალობათა შორის მარგალიტის ტოლფასია ქრისტეს განდიდება. პავლე ყურადღებას ამახვილებს, რომ ჩვენს ტანჯვებში ქრისტეს დიდება ყველა კმაყოფილებასა და მადლს აღემატება. თუ ჩვენს უბედურებაში მას დავეყრდნობით და მაინც შევინარჩუნებთ „სიხარულს იმედში“, ამ შემთხვევაში, იგი გვევლინება როგორც ყველაფერში კმაყოფილების მომგვრელი, მადლისა და ძალის ღმერთი. თუ მას ჩავეჭიდებით „როდესაც ყველაფერი ინგრევა ჩვენს გარშემო“, დავინახავთ, რომ ის არის

ყველაფერ იმაზე მეტად სასურველი, რაც დავკარგეთ. იესომ უთხრა ტანჯულ მოწაფეს: „ჩემი მადლი საკმარისია შენთვის, რადგან ჩემი ძალა ვლინდება შენს უძლურებაში“. პავლემ ამაზე თქვა: „ამიტომ უფრო სიხარულით დავიკვეხნი ჩემი უძლურებებით, რათა ქრისტეს ძალა დამკვიდრდეს ჩემში. ამიტომ კმაყოფილი ვარ უძლურებაში, გაჭირვებაში და შევიწროებაში ქრისტეს გულისათვის. ვინაიდან, როცა უძლური ვარ, მაშინ ვარ ძლიერი” (2 კორინთელათა 12:9, 10). აშკარაა, რომ ტანჯვა დაგეგმილია ღმერთის მიერ არა მხოლოდ ქრისტიანების ძუძუდან მოსხლეტისა და საკუთარი დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით, არამედ ღვთის მადლსთვის ხაზის გასასმელად და მიმდევართა გასაბრწყინებლად. ზუსტად ეს არის რასაც რწმენა აკეთებს; ის განადიდებს ქრისტედან მომავალ მადლს.

ღრმა ცხოვრებისეული სიბრძნე ტანჯვაში იბადება. იგივეს ჰქონდა ადგილი თვით ქრისტესთან. „თუმცა ძე იყო, იესომ ისწავლა მორჩილება ტანჯვაში“ (ებრაელთა 5:8). იმავე წიგნში ვკთხულობთ, რომ იესოს არასოდეს შეუცოდავს (ებრაელთა 4:15). „მორჩილების სწავლა“ არ ნიშნავს დაუმორჩილებლობიდან მორჩილების გზაზე გადასვლას. ეს ნიშნავს ღმერთის მორჩილების გამოცდილებაში უფრო და უფრო სიღრმისეულ ზრდას, რაც, თავის მხრივ ნიშნავს ღვთის ყველგანმყოფობის სიღრმეების გამოცდილების მიღებას, რისი საჭიროებაც არ იქნებოდა სხვა შემთხვევაში.

## ქრისტიანების ტანჯვის გამოუთქმელი სიტყვები

რაც უფრო მეტს ფიქრობდა პავლე მოძღვრის გზაზე, მით უფრო უძლიერდებოდა სურვილი მიყოლოდა მას. ამ შემთხვევაშიც კვლავ გამაოცა პავლეს სიტყვებმა. როდესაც აღწერს ქრისტესა და საკუთარ ტანჯვას, ის საუბრობს რაღაც გამოუთქმელზე. კოლასელთა ეკლესიას ეუბნება: „ვხარობ ჩემი ტანჯვებით თქვენს გამო და ჭირს, რომელიც ქრისტეს დააკლდა, ვავსებ საკუთარი ხორცით მისი სხეულისათვის, რომელიც ეკლესიაა” (კოლასელთა 1:24). შესაძლოა ეს იყო პავლეს მიერ ტანჯვის არჩევის ყველაზე დიდი მოტივი. ამ სიტყვებმა ამავსეს მე

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 56 4/13/2012 11:13:22 AM

ქრისტეს ეკლესიის დიდი სურვილით და გავიზიაროთ ქრისტეს სამეფოს ამქვეყნიური წინსვლისათვის საჭირო ტანჯვები!

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲥᲠᲡᲘᲢᲔᲡ ᲢᲐᲜᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ?

რას ნიშნავს „დავასრულო ტანჯვები, რომელიც ქრისტეს სხეულს აკლდა“? რა საჭიროა ამის თქმა, როცა ქრისტემ უკვე გადაიხადა ყველას ცოდვების საფასური? განა თვით ქრისტემ არ თქვა სიკვდილის წინ – „აღსრულდა“ (იოანე 19:30)? განა მართალი არ არის, რომ „[ქრისტემ] ერთი შეწირვით სამუდამოდ სრულყო განსაწმენდელნი“ (ებრაელთა 10:14)? და თავისი სისხლით შევიდა წმიდათა წმიდაში ერთხელ და ყველასათვის და „მოგვიპოვა სამუდამო გამოსყიდვა“ (ებრაელთა 9:12)? პავლემ იცოდა, რომ ქრისტეს ტანჯვები საკმარისი იყო ყველას გამართლებისათვის. ჩვენ „გამართლებულნი ვართ მისი სისხლის მეშვეობით“ (რომაელთა 5:9). პავლე ასწავლიდა, რომ ქრისტემ აირჩია ტანჯვა და „სიკვდილამდე მორჩილი გახდა“ (ფილიპელთა 2:8). ამ მორჩილების შესაწირავი იყო საკმარისი და დამაკმაყოფილებელი საფუძველი ღვთის წინაშე გამართლებისა. „როგორც [ადამის] დაუმორჩილებლობით გავხდით ცოდვილები, ასევე [ქრისტეს] მორჩილებით მრავალნი გამართლდებიან“ (რომაელთა 5:19). პავლე არ გულისხმობს, რომ მისი ტანჯვები დაასრულებენ იესოს გამომსყიდველ ტანჯვებს.

უკეთესი განმარტებაც არსებობს. პავლეს ტანჯვები ავსებენ ქრისტეს ტანჯვებს არა რაიმე დამატებითი ღირებულებით, არამედ იმ ხალხამდე მიტანით, რომელთა გადარჩენაც იყო ნაგულისხმები. ქრისტეს ტანჯვებს ფასეულობა არ აკლია, უბრალოდ, ქვეყნიერებამ არ იცის და არ სწამს ქრისტეს უსასრულო ტანჯვების ფასის. ეს ტანჯვები და მათი მნიშვნელობა, ჯერ კიდევ მრავალთათვის არის დაფარული. ღმერთის განზრახვაა, რომ ეს საიდუმლოებები გამოეცხადოს ყველა ერს. ასე რომ, ქრისტეს ეს ტანჯვები განიცდიან „ნაკლებობას“ იმ განცდით, რომ მათ ვერ ხედავენ და არ იციან და არ უყვართ ყველა ერში. რაც უნდა განემარტოთ მათ მსახურების მაგალითით. სიტყვის მსახურები „ავსებენ“ იმას,

რის ნაკლებობასაც განიცდიან ქრისტეს ტანჯვები – სხვებამდე მიაქვთ და ავრცელებენ სიტყვას.

## ეპაფროდიტე არის გასაღები

ამ აზრს ადასტურებს ფილიპელთა 2:30-ში დაწერილი მსგავსი სიტყვები. ფილიპელთა ეკლესიაში იყო კაცი, სახელად ეპაფროდიტე. როდესაც ეკლესია პავლეს დასახმარებლად შეიკრიბა (ალბათ, წიგნები ან ფული ან სხვა საჭირო ნივთების შესაგროვებლად), გადაწყვიტეს, რომ ეპაფროდიტეს ხელით გაეგზავნათ ყველაფერი რომში. ამ საჩუქრით მოგზაურ ეპაფროდიტეს იმდენი და ისეთი განსაცდელი შეემთხვა გზაში, რომ სიცოცხლეს კინაღამ გამოესალმა. სასიკვდილოდ გახდა ავად, მაგრამ ღმერთმა დაიცვა იგი (ფილიპელთა 2:27). პავლე ეუბნება ფილიპელთა ეკლესიას, რომ პატივის ღირსად მიიჩნიონ უკან დაბრუნებული ეპაფროდიტე (29 მუხლი), მსგავსი სიტყვებით უხსნის იგივე მიზეზს კოლასელთა ეკლესიას (1:24). ის ამბობს: „სიკვდილს მიუახლოვდა ქრისტეს საქმისათვის, გარისკა თავისი სიცოცხლე, რათა შეევსო (კოლასელთა 1:24-ის მსგავსი სიტყვებია) ჩემდამი თქვენი მსახურების დანაკლისი" (კოლასელთა წერილის 1:24 სიტყვები). ბერძნულ ორიგინალში ფრაზა „დაესრულებინა თქვენი ჩემდამი მსახურების დანაკლისი" თითქმის იგივეა, რაც „შეევსო ქრისტეს ტანჯვების დანაკლისი".

რა იგულისხმებოდა ფილიპელთა მიერ პავლეს სამსახურის „ნაკლებობაში" და რა გაგებით „დაასრულა" ის ეპაფროდიტემ? ასი წლის წინ კომენტატორმა მარვინ ვინსენტმა ეს საკითხი ასე ახსნა:

> პავლესათვის ეს იყო საჩუქარი ეკლესიისაგან, როგორც ერთიანი სხეულისაგან. ეს იყო სიყვარულის შესაწირავი. პავლეს აკლდა ეკლესიის პიროვნული მონაწილეობა ამ შესაწირავში, რაც დიდად იქნებოდა დაფასებული პავლეს და ეკლესიის მიერაც. ეკლესიისათვის შეუძლებელი იყო სრულფასოვნად მასში მონაწილეობა და ამიტომ ეპაფროდიტე გაგზავნეს თავიანთ წარმომადგენლად,

როგორც ამ დანაკლისის შემავსებელი, რაც ეპაფროდიტემ ეფექტურად და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით აღასრულა.[3]

ვფიქრობ, ზუსტად ეს არის, რასაც გულისხმობს პავლე კოლასელთა 1:24-ში. ქრისტემ მოამზადა მსოფლიოსათვის სიყვარულის შესაწირავი და მოკვდა ცოდვილთათვის. ამას აღარაფერი აკლია, სავსეა – გარდა ერთი რამისა, პიროვნულად ქრისტეს წარდგენა ყველა ერისათვის მთელ მსოფლიოში. ამ ნაკლოვანებაზეა ღმერთის პასუხი, როცა მოუწოდებს თავის ხალხს (პავლეს მსგავსად), რათა გაიღონ პერსონალური შესაწირავი ქრისტეს ტანჯვისათვის მსოფლიოს ხალხების გამო.

ამის კეთებით ჩვენ „ვავსებთ იმას, რაც აკლია ქრისტეს ტანჯვას“. ჩვენ ვასრულებთ იმას, რისთვისაც ისინი არიან დადგენილნი, სახელდობრ, პიროვნულ წარდგენას იმ ხალხის მიმართ, ვინც არ იცის ღმერთის ფასი.

## ტანჯვის ტანჯვით შევსება

ყველაზე გასაოცარი რამ კოლასელთა 1:24-ში არის ის, თუ როგორ ავსებს პავლე ქრისტეს იმ ტანჯვას, რომელიც მას აკლდა. ის ამბობს, რომ მისი მწუხარებები აღავსებს ქრისტეს დარდს. „ვხარობ თქვენს გამო მიღებული ტანჯვებით, რათა დავასრულო ქრისტეს მწუხარება“. ეს ნიშნავს, რომ პავლე წარმოაჩენს ქრისტეს ტანჯვას იმით, რომ იტანჯება მათთვის, ვისი გულის მოგებაც სურს. მის ტანჯვაში ისინი ხედავენ ქრისტეს ტანჯვას. გასაოცარი აზრია: ღმერთი განიზრახავს, რომ ქრისტეს მწუხარება მსოფლიოსადმი გამოჩნდეს თავისი ხალხის დარდში. ღმერთი მართლა გულისხმობს ქრისტეს სხეულს, როგორც ეკლესიას, რომ განიცადოს იგივე ტანჯვა, რომელიც მან გამოიარა დედამიწაზე. როცა ვაღიარებთ მის ჯვარს ჩვენი ცხოვრების გზად, ხალხი დაინახავს ამ ჯვრის ნიშნებს ჩვენში და იგრძნობენ ჩვენგან ამ ჯვრის სიყვარულს. ჩვენი მოწოდებაა, რეალობად ვაქციოთ ხალხის გულისათვის ქრისტეს წუხილი, იმ მწუხარებით, რომელსაც ჩვენ განვიცდით მათთვის ხსნის სიტყვის მიტანაში.

მას შემდეგ, რაც ქრისტე ამაღლდა ზეცად, მას სურს თავისმა სხეულმა, ეკლესიამ, გამოაცხადოს მისი ტანჯვა თავის ტანჯვად. მას შემდეგ, რაც ჩვენ ვართ მისი სხეული, მისი ტანჯვაც ჩვენი ტანჯვაა. რუმინელმა ხუცესმა იოსებ ტსონმა ასე თქვა: „მე ვარ იესო ქრისტეს გაგრძელება. როდესაც რუმინეთში მცემდნენ, იესო იტანჯებოდა თავის სხეულში. ეს არ არის ჩემი ტანჯვა: მე მხოლოდ პატივი მხვდა წილად მისი ტანჯვა გამეზიარებინა“.[4] ჩვენი ტანჯვები ამოწმებენ იმ სიყვარულის შესახებ, რომლითაც ქრისტემ შეიყვარა ქვეყნიერება.

## „იესოს წყლულებს ვატარებ ჩემს სხეულზე“

აი, რატომ ლაპარაკობდა პავლე თავის ნაჭრილობევზე, როგორც „იესოს წყლულებზე“. მის ნაჭრილობევზე ხალხს შეეძლო დაენახა ქრისტეს ჭრილობები. „უფალ იესოს წყლულებს ვატარებ ჩემი სხეულით“ (გალატელთა 6:17). იესოს წყლულების ტარებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ შესაძლოა იესო დანახულ იქნას და მისმა სიყვარულმა ძლევამოსილი გზით იმუშაოს მათში, ვინც მას დაინახავს.

„[ჩვენ მუდამ] სხეულში ვატარებთ უფალ იესოს სიკვდილს, რათა იესოს სიცოცხლე ჩვენს სხეულში გამოჩნდეს. ვინაიდან ჩვენ, ცოცხლები, მუდამ ვეძლევით სიკვდილს იესოსათვის, რათა იესოს სიცოცხლეც ჩვენს მოკვდავ ხორცში გამოჩნდეს. ამიტომ ჩვენში სიკვდილი მოქმედებს, თქვენში კი სიცოცხლე“ (2 კორინთელთა 4:10-12).

## „წამებულთა სისხლი თესლია“

ქრისტიანობის გავრცელების ისტორია აჩვენებს, რომ წარმატების მიზეზი არის ახალი სიცოცხლის თესლი ქრისტეში – „წამებულთა სისხლი არის თესლის მარცვალი”, რომელიც ქვეყნიერებაზე ვრცელდება. თითქმის სამასი წლის განმავლობაში ქრისტიანობა ღვივდებოდა ნიადაგში, რომელიც დანამული იყო წამებულთა სისხლით. ქრისტიანული მისიის ისტორიაში, აღნიშნავს სტეფენ ნეილი, ადრეული ქრისტიანების

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 60 4/13/2012 11:13:23 AM

ტანჯვა არის ექვსიდან ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ასე სწრაფად გაიზარდა ეკლესია.

საფრთხისა და ტირანული კანონის გამო, ქრისტიანები იძულებულნი იყვნენ საიდუმლოდ შეკრებილიყვნენ... თითოეულმა ქრისტიანმა იცოდა, ადრე თუ გვიან, შესაძლოა, რწმენა სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა... დევნამ დაწყებისთანავე ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ყველაზე დიდ სახალხო ზეიმს მოგაგონებდათ, როგორსაც კი ოდესმე წარმოიდგენდით. რომაელი ხალხი სასტიკი იყო, თუმცა ზოგი შეუწყალებიათ კიდეც. ეჭვგარეშეა, რომ წამებულთა დამოკიდებულებამ, განსაკუთრებითახალგაზრდაქალებისა,რომლებიცმამაკაცებთან ერთად ეწამებოდნენ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა... ადრეულ ჩანაწერებში ქრისტიანების საქციელი აღწერილია როგორც მშვიდი, ღირსეული, საზოგადოებაში მიღებული ქცევა. დიდი მხნეობა ესაჭიროებოდა მწამებლების თვალწინ თავაზიანად მოპყრობოდი მტერს და სიხარულით მიგეღო ტანჯვა, როგორც ღვთის მიერ დანიშნული გზა, რომელიც ცათა სასუფევლისკენ მიუძღვოდათ. არაერთი საბუთი მოიპოვება იმისა, რომ მრავალი ადამიანი მოექცა წარმართობიდან ქრისტიანების სიკვდილით დასჯის ყურების შედეგად. უფრო მეტ ადამიანზე უნდა მოეხდინა ანალოგიურ წამებებს ისეთი გავლენა, რომლის მეშვეობითაც ისინი მოგვიანებით მიიღებდნენ ქრისტეს რწმენას.[5]

## „როგორ შეიძლება დავგმო მეფე, რომელმაც დამიხსნა?“

ტანჯვით მძლავრი დამოწმების ერთ-ერთი მაგალითი იყო პოლიკარპეს წამება. იგი იყო სმირნის ეპისკოპოსი, რომელიც ჩვ.წ.აღ-ით 155 წელს გარდაიცვალა. მისი მოწაფე ირინეუსი ამბობს, რომ პოლიკარპე მოციქულ იოანეს მოწაფე ყოფილა. გადმოცემით, პოლიკარპე, ღრმა მოხუცებულობაში გარდაცვლილა, რადგან როცა პროკონსულმა რწმენის უარყოფა და ქრისტეს დაგმობა უბრძანა, მან თქვა: „ოთხმოცდაექვსი წელი მას ვემსახურებოდი და ცუდი არაფერი გაუკეთებია ჩემთვის, როგორ შემიძლია დავგმო მეფე, რომელმაც დამიხსნა?“[6]

დევნის მორიგი ტალღის დროს გააფთრებული ბრბო მოითხოვდა დაეწყოთ პოლიკარპეს ძებნა, რომელიც ქალაქგარეთ გადავიდა საცხოვრებლად. მან სიკვდილამდე სამი დღით ადრე ნახა სიზმარი, რომლის წყალობითაც მიხვდა, რომ ცოცხლად უნდა დაეწვათ. როდესაც მისი ძებნა დაიწყო, გაქცევის ნაცვლად მან თქვა: „დაე, აღსრულდეს ღვთის ნება". პოლიკარპეს ღვაწლის შესახებ შემორჩენილი ნაწერები გვიამბობენ:

მდევნელების მოახლოების ხმა შემოესმა თუ არა, დაბლა ჩამოვიდა და გაესაუბრა, მისი შემყურეები გაოცდნენ დამხვდურის ასაკითა და სიმტკიცით, ამ ასაკის ადამიანის დაპატიმრება აბრკოლებდა მათ. შემდეგ მან სტუმრების დაპურება ბრძანა. გვიანი ღამის, მიუხედავად, შეეძლოთ მიერთვათ რამდენიც უნდოდათ. შემდეგ ერთი საათის ჩუქება ითხოვა, რათა თავისუფლად ელოცა. მათაც ნება დართეს. ორი საათის განმავლობაში ლოცულობდა პოლიკარპე. ღვთის მადლით აღვსილს, არ შეეძლო სიმშვიდის დატევა. მისი მსმენელნი განცვიფრდნენ და ინანეს, რომ ასეთი ღირსეული და მოხუცი ადამიანის შესაპყრობად მოვიდნენ.[7]

საბოლოოდ წაიყვანეს და ცოცხლად დაწვა მიუსაჯეს, ეცადნენ ბოძზე ლურსმნებით მის მიჭედებას, მაგრამ საწინააღმდეგო მოითხოვა. „ნება მომეცით ისე ვიყო, როგორც ვარ. ის, ვინც ცეცხლის ატანის ძალა მომცა, ლურსმნების გარეშე გაჩერების ძალასაც მომცემს".[8] როდესაც მისი სხეული არ იწვებოდა, მახვილით განგმირეს მტარვალებმა. წინაპართა ჩანაწერი ასკვნის: „მთელი ბრბო განცვიფრებული იყო, განსაკუთრებულად მორწმუნეები და რჩეულები".[9] ფართო გაგებით, ეს არის ეკლესიის წარმატება ადრეულ საუკუნეებში. ისინი იმარჯვებდნენ თავიანთი წამებით, რაც არა მხოლოდ მათი მოწმობის თანმხლები იყო, არამედ ძირითადი ქვაკუთხედი დამოწმებისა.

„გაიმარჯვეს მასზე [სატანაზე] კრავის სისხლისა და მათი დამოწმების სიტყვით და არ შეიყვარეს მათი სული თვით სიკვდილამდე" (გამოცხადება 12:11).

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 62 4/13/2012 11:13:23 AM

## ვიდრე წამებულთა რიცხვი არ შესრულდება

ისტორიული შემთხვევითობა არაა ის, რომ ეკლესია იზრდება და ძლიერდება ტანჯვითა და წამებულთა სიკვდილით. ეს არის გზა, რომელსაც ღმერთი ადასტურებს. ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მტკიცებულება არის ტანჯვის გზა. სწორედ მას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა კაცობრიობის დახსნის ქრისტესეულ გეგმაში, რომელიც აღწერილია გამოცხადების წიგნში. ეპიზოდი გვიხატავს სამოთხის სურათს, სადაც წამებულთა სულები ღაღადებენ: „როდემდე, ო, ღმერთო?" სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდის დასრულდება ისტორია, შენმიერი გამოხსნის გეგმები და სასამართლო? პასუხი არის ავბედითი ყველა ჩვენგანისათვის, ვისაც სურს უდიდესი დავალების აღსრულებაში მონაწილეობა. „ეთქვათ, რომ ცოტა ხანი დამშვიდებულიყვნენ, ვიდრე მათი თანამორჩილნი და მათი ძმები, რომელნიც მათსავით მოკლულნი იქნებიან, არ შეასრულებენ რიცხვს". (გამოცხადება 6:11).

ეს ნიშნავს, რომ ღმერთმა თავისი მიზნის დასრულება დაგეგმა გარკვეული რაოდენობის წამებულთა რიცხვის დადგენით. როდესაც ეს რიცხვი შესრულდება, მაშინ მოვა დასასრული. 1989 წელს, მანილაში, ლაუსანეს მსოფლიო ევანგელისტთა მეორე კონგრესზე, მრავალი ადამიანი შოკში ჩააგდო ჯორჯ ოტისის შეკითხვამ: „ნუთუ ეკლესიის მარცხია მაჰმადიანურ ქვეყნებში წამებულთა ნაკლებობა? შესწევს თუ არა ძალა ახლად მოქცეულ ეკლესიას გაიზარდოს? ჭირდება თუ არა ახალგაზრდა ეკლესიას წამებულთა მაგალითები?" ოტისი შესაბამისად ასრულებს თავის წიგნს – „უკანასკნელი გიგანტები". მან ბოლო თავს დაარქვა – „სარისკო უსაფრთხოება".

> უნდა ეცადოს თუ არა ეკლესია რთულ პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებაში დარჩეს იატაკქვეშეთში, რათა თავიდან აიცილოს პოტენციური მტრის ძალადობა ქრისტიანობის დასარბევად? ან უნდა იყოს თუ არა უფრო მეტი დაპირისპირება გაბატონებული სულიერი უცოდინარობის წინააღმდეგ, თუნდაც ამას ქრისტიანი წამებულები აკეთებდნენ; ხომ არ განაპირობებდა ეს ევანგელისტურ რღვევას? მუსლიმანი

ფუნდამენტალისტები ამტკიცებენ, რომ მათი სულიერი რევოლუცია გაღვივებულია წამებულთა სისხლის მიერ. დამაჯერებელია თუ არა, რომ ქრისტიანობის წარუმატებილობა მუსლიმანურ სამყაროში გამოწვეულია ქრისტიანი წამებულების შეუმჩნევლად მცირე რიცხვით? შესაძლებელია, რომ მუსლიმანურმა საზოგადოებამ სერიოზულად აღიქვას ეკლესია, რომელიც იმალება?... კითხვა ის კი არ არის ბრძნულია თუ არა, რომ ხანდახან მსახურება და დამოწმება წარიმართოს ფრთხილად, არამედ რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ასე. დროა გამოვიღვიძოთ, ვიდრე „ბნელ ქვევრში დამალვაში დაგვადანაშაულებენ... ჩანაწერები მოწმობენ, რომ იერუსალიმიდან და დამასკოდან ეფსოსა და რომამდე მოციქულებს ცემდნენ, ქოლავდნენ, შეთქმულებას უწყობდნენ და აპატიმრებდნენ მათი მოწმობისათვის. მიპატიჟება ძალიან იშვიათი იყო და თუ ხდებოდა ხოლმე, ეს არ იყო დაკავშირებული მათ მისიასთან“.[10]

ეჭვგარეშეა, რომ ოტისი დაეთანხმებოდა გრიგოლ დიდის ნათქვამს (პაპი 590-604), როდესაც მან თქვა: „წამებულთა სიკვდილი იფურჩქნება ერთგულთა სიცოცხლეში“.[11]

## ჩვენი ჭრილობებიდან ჩანჩქერივით მოჩქეფდა სისხლი

დღეს ტანჯვის უთვალავი მაგალითის არჩევა შეიძლება კოლასელთა 1:24-ის მიზნის აღსასრულებლად – რათა შეავსო ის მწუხარება, რაც დააკლდა ქრისტეს, რათა სხვებსაც გაეცნო იგი ტანჯვის მეშვეობით.[12] როცა ამ თავს ვწერდი, 1995 წლის ბოლოს, ერთი მისიონერული წერილი გამახსენდა, რომელიც ამდაგვარ საკითხს შეეხებოდა. სასწრაფოდ გავუგზავნე იმეილი მისიონერს აფრიკაში ფაქტის დასადასტურებლად. იგი გაესაუბრა დანსას, კაცს, რომელიც საკანში იმყოფებოდა და ნებართვა ითხოვა, რათა წერილიში მისი ამბავი გამოეყენებინა.

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 64 4/13/2012 11:13:23 AM

1980-იან წლებში სასტიკი დევნა დაიწყო ადგილობრივი კომუნისტური მთავრობისაგან ჩემს რეგიონში – ვოლაიტაში. იმ დროს სამთავრობო ოფისში ვმუშაობდი, ამავდროულად ვემსახურებოდი ახალგაზრდული ასოციაციის ლიდერს ჩემს რეგიონში. ხშირად მოდიოდნენ კომუნისტი ლიდერები და მთხოვდნენ მესწავლებინა რევოლუციური დოქტრინები ახალგაზრდებისთვის. ბევრი ახალგაზრდა ქრისტიანი დათანხმდა, რადგან ზეწოლა ძალიან დიდი იყო, მე კი მხოლოდ უარის თქმა შემეძლო. თავდაპირველად მათი დამოკიდებულება დადებითი იყო; წინსვლასა და კარგ გასამრჯელოს დამპირდნენ. მალე დაპატიმრებები დაიწყო. პირველი ორი ეტაპი ძალიან მოკლე დროში განხორციელდა. მესამე – მთელი წელი გაგრძელდა. ამ დროს კომუნისტური კადრები რეგულარულად მოდიოდნენ და გვირეცხავდნენ ტვინს ჩვენ – ცხრა მორწმუნეს (ექვს კაცს და სამ ქალს. ერთ-ერთი მათგანი მოგვიანებით ჩემი ცოლი გახდა), რომლებიც ერთად ვიყავით დაკავებულნი. როდესაც ერთ-ერთმა კომუნისტმა თანამშრომელმა ქრისტიანობა მიიღო, გვცემეს და გვაიძულებდნენ წყალი გვეზიდა შორი მანძილიდან და დიდი ლოდებისაგან გაგვეთავისუფლებინა ფერმა.

უარესი დრო დადგა. ორი კვირის განმავლობაში ციხის ხელმძღვანელობა ადრე გვაღვიძებდა, ჯერ კიდევ სიბნელეში და გვაიძულებდა შიშველი მუხლებით გვევლო 1.5 კილომეტრზე ქალაქის ხრეშმოყრილ გზაზე. პირველი დღის შემდეგ ჭრილობებიდან სისხლი ჩანჩქერივით მოჩქეფდა, მაგრამ არაფერს არ ვგრძნობდით.

ზოგჯერ ერთი, განსაკუთრებულად სასტიკი ციხის ხელმძღვანელი, გვაიძულებდა ექვსი საათის განმავლობაში გულაღმა ვწოლილიყავით გავარვარებულ მზეზე. არ ვიცი როგორ ვთქვი ეს, მაგრამ როცა ეს პროცესი დავასრულეთ, მას ვუთხარი: „შენს გამო მზის დარტყმა მივიღეთ, მაგრამ შენ – ღმერთი დაგარტყამს“. მოგვიანებით ამ თანამშრომელს დიაბეტი აღმოაჩნდა და მოკვდა.

რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც კომუნისტური რეჟიმი დაეცა, ციხის უფროსმა მიგვიწვია ციხეში საქადაგებლად. იმ დროს თორმეტმა პატიმარმა, რომლებიც მკვლელობის გამო იხდიდნენ სასჯელს, ქრისტე მიიღო. ჩვენ გავაგრძელეთ ციხეში მსახურება, სადაც ახლა 170 მორწმუნეა. ციხის უფროსობის უმეტესობამაც ირწმუნა.

მხოლოდ ღმერთს შეუძლია ყველა პრობლემის მოგვარება ციხეში მყოფ პატიმრებსა და ოფიციალურ პირებს შორის, როცა მისი სამკალის გალეწვის დრო დადგება. რა თქმა უნდა, მიამიტობა იქნება იმის თქმა, რომ დანსას ტანჯვა დაუძლეველი იყო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მისი მაგალითის წყალობით მრავალმა ადამიანმა ირწმუნა.

## ქრისტესა და მისი ხსნისათვის დაქვეითება

იოსებ ცონი დარწმუნებული იყო ქრისტესათვის წამების აუცილებლობაში. ცონის აზრით, ქრისტესათვის წამება არის გზა, რომლის მეშვეობითაც მსოფლიო ქრისტეს დაინახავს. ცონი იყო ორადეას მეორე ბაპტისტური ეკლესიის ხუცესი რუმინეთში 1981 წლამდე, ვიდრე ხელისუფლება გადაასახლებდა. მე მომისმენია მისი განმარტება კოლასელთა 1:24-ზე. იგი ამბობდა, რომ ქრისტე იტანჯა ჩვენი ცოდვების გამოსყიდვისთვის, ჩვენი ტანჯვა კი საჭიროა პროპაგანდისათვის. ის აღნიშნავდა, რომ არა მარტო კოლასელთა 1:24, არამედ 2 ტიმოთეს 2:10-ც წარმოაჩენს ტანჯვას ევანგელიზაციის გზად: „ამიტომ ყოველთვის ვითმენ რჩეულთათვის, რათა მათაც მიიღონ ხსნა ქრისტე იესოში საუკუნო დიდებასთან ერთად“. იოსებ ცონის განმარტებით პავლე ამბობს:

> თუ ანტიოქიის ხუცესად დავრჩებოდი, ასეთ მშვიდ ქალაქში, ასეთ ლამაზ ეკლესიაში, ამდენი წინასწარმეტყველითა და დიდებული კურთხევით, ვერავინ გადარჩებოდა აზიასა და ევროპაში. იმისათვის, მივიღე ბრბოსაგან ცემა, ჩაქოლვა, გამათრახება, რათა ისინი დახსნილიყვნენ, სწორედ ამიტომ გადასაყრელ ნაგვად ვიყავი მიჩნეული. მაგრამ როცა ასე

> დავდივარ, დაჭრილი და დასისხლიანებული, ხალხი ხედავს ღმერთის სიყვარულს, ხალხს ესმის ჯვრის გზავნილი და ამით ისინი არიან დახსნილნი. თუ ასეთ უხვ ეკლესიაში დავრჩებით უსაფრთხოდ და არ ვიტვირთებთ ჯვარს, სხვები შესაძლოა ვერ გადარჩნენ. რამდენი არ არის დაუხსნელი მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ არ მივიღეთ ჩვენი ჯვარი?[13]

ის აღწერს ქრისტიანების ტანჯვას, რაც ხშირად ნაყოფიერი ევანგელიზაციის საშუალებას წარმოშობს.

> ერთი მაღალი თნამდებობის კაცს ვიცნობდი. როდესაც ის მოვნათლე, მოვიდა და მკითხა „ახლა რა უნდა გავაკეთო? სამ - ოთხ ათას კაცს მოიწვევენ, მამხელენ და მაფურთხებენ. ხუთ წუთს მომცემენ საკუთარი თავის დასაცავად. როგორ უნდა გავაკეთო ეს?“
>
> „ძმაო“, ვუთხარი მას, „თავდაცვა არის ის, რაც არ უნდა გააკეთო. ეს არის შენი უნიკალური შესაძლებლობა უთხრა მათ — რა იყავი აქამდე და რა გაგიკეთა ღმერთმა; ვინ არის იესო და რა არის ის ახლა შენთვის“.
>
> სახე გაუნათდა და თქვა „ძმაო იოსებ, ვიცი, რაც უნდა გავაკეთო“. და ასეც მოიქცა — ამის შემდეგ ის დააქვეითეს. თითქმის ნახევარი ხელფასი დაკარგა. მაგრამ ასე მეუბნებოდა ხოლმე: „ძმაო იოსებ, იცი, რომ არ ახლა იმ ქარხანასთან ისე ვერ გამივლია, რომ არავინ გამომყვეს. სადაც წავალ, ვიღაც აუცილებლად დამიმარტოხელებს კუთხეში, აქეთ-იქეთ მიიხედავს, რომ არავინ გვიყურებდეს და ჩამჩურჩულებს: „მომეცი შენი ეკლესიის მისამართი“, ან „მითხარი უფრო მეტი იესოს შესახებ“, ან „გაქვს ბიბლია ჩემთვის?“
>
> ყოველგვარი ტანჯვა შეიძლება მსახურებად იქცეს სხვა ხალხის დასახსნელად.[14]

## ᲢᲐᲜᲯᲕᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ

როცა პავლემ თქვა – „თუ მხოლოდ ამ ცხოვრებაში გვაქვს ქრისტეს იმედი, ყველა ადამიანზე საცოდავნი ვართ“ – ის

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 67 4/13/2012 11:13:23 AM

გულისხმობდა, რომ როდესაც ქრისტესთვის ტანჯვით ცხოვრებას ვირჩევთ და ვიტანთ, საცოდავნი ვიქნებოდით თუ იმ ქვეყანაშიც არ გვექნება ქრისტეს იმედი. ქრისტიანობა არ არის მხოლოდ ამქვეყნიური კმაყოფილება. არამედ ქრისტიანობა მოიცავს აღდგომის შემდეგ ქრისტესთან ურთიერთობის იმედს. როგორც ვხედავთ, ტანჯვის ატანა არის არა მხოლოდ ქრისტეს დამოწმების შემადგენელი ნაწილი, არამედ მისი თვალსაჩინო გამოხატულებაც. ჩვენი ტანჯვა ხდის ქრისტეს ტანჯვას ყველასთვის ცნობილს, რათა ხალხმა დაინახოს ქრისტესმიერი სიყვარულის შემოთავაზება. ჩვენ აღვასრულებთ ქრისტესმიერ ტანჯვას ხალხისათვის იმის მიწოდებით, რაც მათ არ აქვთ; სახელდობრ – პიროვნულ, ცხადი წარმოდგენის მიცემას მათთვის, ვინც ვერ ხედავს ქრისტეს ტანჯვას პიროვნულად.

ძნელად აღსაქმელია აზრი, რომ ერებისა და ჩვენი მეზობლების დახსნის ქრისტესეული გეგმა არ განხორციელდება, ვიდრე ქრისტიანები წამებას არ აირჩევენ, ვიდრე არ შეასრულებენ რიცხვს (გამოცხადება 6:11). მაგრამ ამ აზრის გარეშე მსოფლიოში გაფანტული ევანგელისტები ვერ გადაკვეთდნენ საზღვრებს მიუწვდომელ ადგილებში. ისინი ვერ შეძლებდნენ დროის, მოხერხებულობის, ფულისა და ძალისხმევის შეწირვას, რასაც მოითხოვს მსახურის სიყვარულით სავსე ქმედება: „ასევე ანათებდეს თქვენი ნათელი ადამიანთა წინაშე, რათა ხედავდნენ ისინი თქვენს კეთილ საქმეებს და ადიდებდნენ თქვენს მამას რომელიც ზეცაშია“ (მათე 5:16).

## არის კი ეს ქრისტიანული ჰედონიზმი?

ამ თავს დავარქვი „ტანჯვა: ქრისტიანული ჰედონიზმის შესაწირავი“. ზემოთ აღვნიშნე დავით ლივინგსტონის ციტატის შესახებ, როგორც გამონათქვამი, რომ მისი მსახურებისეული ტანჯვა „შესაწირავი“ არ ყოფილა. ეს ლივინგსტონის საპირისპირო აზრი და შეუთანხმებლობა არ არის. უბრალოდ, სიტყვებია ასეთი. კონტექსტი თითქმის იგივეა. როდესაც ის ამბობს, რომ ტანჯვა არ არის შესაწირავი, ის გულისხმობს, რომ კურთხევა აჭარბებს დანაკარგს. როდესაც ვამბობ, რომ ტანჯვა არის შესაწირავი, ვგულისხმობ, რომ აქ დანაკარგსაც

აქვს ადგილი — უდიდეს დანაკარგს. როდესაც გააცნობიერებთ, რომ ლივინგსტონს ეთანხმებით, ე.ი. გადაჭარბებულ კურთხევას ხედავთ.

ახლა ვაპირებ, რომ თავი ავარიდო სიტყვა „შესაწირავის" გამოყენებას. ტკივილი უდიდესია, დანაკარგი — აშკარა, შეუძლებელია ისაუბრო ტანჯვაზე, როგორც შესაწირავის არარსებობაზე. საჭიროა საკითხის ცხადად განმარტება.

ჩემი პასუხია – დიახ, ტანჯვა არის ქრისტიანული ჰედონიზმი. ახალი აღთქმა საუბრობს ტანჯვის შესახებ ქრისტიანული ჰედონიზმის კონტექსტში.

სანამ პავლე ტანჯვას აირჩევდა, იგი გამოდევნებული იყო ამქვეყნიურ სიხარულსა და სიამოვნებას. ბოლოს კი პავლემ ისეთ ტანჯვას მიანიჭა უპირატესობა, რომლის შემდეგაც მკვდრეთით აღდგომა რომ არ ყოფილიყო, მის ცხოვრებას სისულელედ მიიჩნევდა ხალხი. კითხვა თვითონვე შეიცავს პასუხს. პავლეს ტკივილით აღსავსე ცხოვრების არჩევანს აღდგომა ხდიდა აზრიანს და დიდების ღირსად. პავლეს იმედი და ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ აღდგომისათვის გაძლიერდეს ტანჯვაში. იგი ნებისმიერ ადამიანურ პრივილეგიას მიიჩნევს დანაკარგად, „რათა შევიცნო მისი [ქრისტეს] აღდგომის ძალა, მის ტანჯვებთან თანაზიარება, და მის სიკვდილს ვემსგავსო; რათა როგორმე მივწვდე მკვდრეთით აღდგომას" (ფილიპელთა 3:10, 11). მისი მიზანია იცხოვროს ანუ დაიტანჯოს, რადგან დარწმუნებულია მკვდრეთით აღდგომაში.

## ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲐ ᲘᲔᲡᲝᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

რატომ? რადგან აღდგომა გულისხმობდა სრულ, სხეულებრივ, საუკუნო თანაზიარებას ქრისტესთან. ეს იყო პავლეს მთავარი იმედი: „ყველაფერს ნაგვად მივიჩნევ, რათა ქრისტე შევიძინო" (ფილიპელთა 3:8). ქრისტეს შეძენა იყო უდიდესი ვნება და მიზანი ყველაფრის კეთებაში პავლესათვის. „სიცოცხლე არის ქრისტე და სიკვდილი — მოგება" (ფილიპელთა 1:21). მოგება! მოგება! ეს არის ამ ცხოვრების მიზანი და ტანჯვა. პავლეს „სურს წავიდეს და იყოს ქრისტესთან, რაკი ეს ბევრად უკეთესია" (ფილიპელთა 1:23). „ბევრად უკეთესი" არ არის ალტრუიზმით გამსჭვალული მოტივი.

ეს არის ქრისტიანული ჰედონიზმის მოტივი. პავლეს უნდოდა ის, რაც მოუტანდა ღრმა და გრძელვადიან კმაყოფილებას თავის ცხოვრებაში, სახელდობრ, იესოს დიდებაში ყოფნას.

არა მხოლოდ იესოსთან დიდებაში!

ვინც იცნობს ქრისტეს და უყვარს იგი, მას არ შეუძლია იყოს კმაყოფილი მხოლოდ ქრისტესთან მისვლით მარტოობაში. მისი დიდების მწვერვალია შემდეგი სიტყვები: „შენ დაიკალი და შენი სისხლით გამოგვისყიდე ყველანი, ღვთისათვის, ყოველი ტომისა და ენისაგან, ხალხისა და ერისაგან" (გამოცხადება 5:9). ამ მადლის გამო მათ, ვინც წინასწარ არიან არჩეულნი სამუდამო დახსნისათვის, აღარ შეუძლიათ იცხოვრონ პირადული სიამოვნებით. ქრისტესთან ყოფნისას მის საზოგადოებასთან და თემთან გავიზიარებთ სიამოვნებას. პავლეს ნათქვამმა, ყველაფერი ნაგვად მივიჩნიეო ქრისტეს მოგებისათვის, შედეგად სხვების ქრისტესთან მიყვანა გამოიწვია. „და თუ ვიღვრები თქვენი რწმენის მსხვერპლად ღვთისმსახურებაში, მიხარია და ვხარობ თქვენთან ერთად" (ფილიპელთა 2:17). მისი სიცოცხლის მსხვერპლად დაღვრა გულისხმობდა დარწმუნებას, „რათა ქრისტე მოეგო" და შესაძლოა ერების რწმენაც, რაც განადიდებს ქრისტეს მადლსა და წყალობას.

## ჩემი სიხარული, ჩემი განდიდების გვირგვინი!

ამიტომ თვლიდა პავლე პიროვნულ სიხარულად საკუთარი შრომით შეძენილ ხალხს. „აბა, ჩემო საყვარელო და სასურველო ძმებო, ჩემო სიხარულნო და გვირგვინნო, იდექით ასე უფალში, საყვარელნო" (ფილიპელთა 4:1). „რა არის ჩვენი სასოება, ან ჩვენი სიხარული, ან ჩვენი კვეხნის გვირგვინი? თუ არა თქვენ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მოსვლისას? ვინაიდან თქვენა ხართ ჩვენი სასოება და სიხარული" (1 თესალონიკელთა 2:19, 20). ეკლესია პავლეს სიხარულია, პავლე – ეკლესიის, პავლეს სიხარულში ქრისტე იქნა განდიდებული. ქრისტეს ჯვრის წყალობა გაიზარდა მოქცეულებში. პავლემ მსოფლიო ევანგელიზაციის გზად ტანჯვა აირჩია და თქვა, რომ მისი მიზანი იყო „ქრისტეს შეძენა", მოციქულის პიროვნული

სიხარული ქრისტესთან თანაზიარებაში იქნებოდა სამუდამოდ განდიდებული, გამოსყიდულთა მრავალრიცხოვან ლაშქართან ერთად გაიხარებდა ქრისტეში.

მიუხედავად იმისა, რომ მე არ ვგავარ პავლეს ეკლესიისადმი სიყვარულში, ვმადლობ ღმერთს, რომ მომცა ცხოვრების გასაღები და დამიხსნა ცინიკური სიბრალულისაგან. ვიხსენებ კოლეჯის დამთავრებისა და სემინარიაში სწავლის დაწყების დღეებს. ადგილობრივ ეკლესიაში არასტუმართმოყვრული განწყობა სუფევდა სამოციან წლებში. მახსოვს, 1968 წლის შემოდგომით, კვირა დილაობით, პასადენას ქუჩებში სეირნობისას ვფიქრობდი. ნეტავ, თუ შეიძლება იმედი ვიქონიო ეკლესიის მომავალ ცხოვრებაზე-მეთქი. მეც ვწუხდი, როგორც თევზი წუხს წყლის გაუარესებისას და ჩიტს უკვირს ქარის ამოვარდნისა. ღვთის მადლის ძვირფასი საჩუქრით ვიქენი დახსნილი დაცემისაგან და „ლეიკ ავენიუს“ ეკლესიის წევრებმა სამი წლით მომცეს თავშესაფარი. ღმერთმა დამანახა ჩემი ხუცესის, რეი ორტლანდის გული. ორტლანდი პავლესმიერ სულს ატარებდა. ხუცესი თავისი სამწყსოს დანახვისას იგივეს ამბობდა: „ჩემი სიხარული, ჩემი დიდების გვირგვინი“.

ათი წლის შემდეგ, 1979 წელს, კიდევ ერთხელ დამიდგა კრიზისი. პრობლემა შემდეგში მდგომარეობდა, დავრჩენილიყავი ბეთელის კოლეჯის ბიბლიის მასწავლებელ-პროფესორად თუ განცხადება დამეწერა გათავისუფლებაზე და ხუცესობაზე დამეწყო ფიქრი? ღმერთი ჩემში მოქმედებდა და ეკლესიის მიმართ ღრმა სიყვარული მომცა — ერთად შეკრებილი, გაზრდილი. მან აღძრა ჩემში სურვილი გავმხდარიყავი იმ მსახური ხალხის სხეულის მწყემსი, რომლებიც კვირაობით იკრიბებიან და ქრისტეს მსგავსებისაკენ მიილტვიან. სწავლებას თავისი სიხარული ჰქონდა. ეს უდიდესი მოწოდებაა. იმ ღამით სხვა ძლიერმა გრძნობამ გაიმარჯვა და მომდევნო რამდენიმე თვე ღმერთი ბეთლემის ბაპტისტურ ეკლესიაში წამიძღვა. როცა ამ სიტყვებს ვწერ, უკვე თხუთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ. ხშირად მომდის ხოლმე ცრემლი იმ ხალხზე ფიქრში. ვიმედოვნებ, ეკლესია ფიქრობდა, რომ ჩემი დაჟინებული სურვილი არის „ქრისტეს შეძენა“. და რომ „მათი სიხარულსა და რწმენაში დაწინაურებისათვის“ ვცხოვრობ (ფილიპელთა 1:25). ეს არის

ჩემი წერისა და ქადაგების მიზანი, წარმოვაჩინო ორი მიზნის იგივეობა. ერთ მონანიებულ ცოდვილში და გაზრდილ წმინდანში, უფრო მეტად ვიძენ ქრისტეს, ვიდრე ასობით ყოველდღიურ, ჩვეულებრივ რუტინაში. რომ ვთქვა, ქრისტე და ბეთლემის ეკლესია ჩემი სიხარულია-მეთქი, არ იქნება ლიტონი სიტყვა.

## თუ ტანჯვა ასეთი მომხიბლავია, გავყვეთ მას

უკიდურესად არაბუნებრივია, რაც პავლემ კოლასელთა 1:24-ში თქვა. „ვხარობ ჩემს ტანჯვებში თქვენთვის და ვავსებ ჩემს სხეულში იმას, რაც აკლია ქრისტეს მწუხარებას". სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც შევავსებ ქრისტეს დანაკლისს მათი თქვენდამი პიროვნული გაცნობით ჩემი მწუხარებითა და ტკივილით, მაშინ გავიხარებ.

ქრისტიანული ჰედონიზმი უბრალოდ ამბობს, რომ ეს არის კარგი და მომხიბვლელი რამ, რასაც პავლე აკეთებს, ჩვენც მას უნდა მივბაძოთ. სიხარულით რომ მოვეპყროთ ამ დიდებულ სულიერ ტანჯვას, თითქოს ეს იყოს რაღაც უმნიშვნელო და შემთხვევითი, ანდა ისეთი, რისკენაც არც კი ღირს სწრაფვა, თითქმის იგივე იქნება, რაც გმობა. ამას სიფრთხილის გამო ვამბობ. თვითონ სული წმინდა აკეთებს ამას და განადიდებს ქრისტეს ყველაფერში, მათ შორის — ტანჯვაშიც. გმობასთან ახლოს დგას ამის თქმა, „სხვებისათვის ნებადართულია ტანჯვის გამოვლა და არა სიხარულით გაყოლა". ქრისტეს განმადიდებელი მოქმედება არის არა მხოლოდ ტანჯვა, არამედ ტანჯვაში სიხარული, რაშიც იგულისხმება ჩვენი მისადმი ლტოლვა. 1 თესალონიკელთა 1:6, 7-ში პავლე ამბობს: „თქვენ... დიდ გასაჭირში მიიღეთ სიტყვა სულიწმინდის სიხარულით, ისე, რომ გახდით ნიმუში ყველა მორწმუნისათვის მაკედონიასა და აქაიაში". ალბათ, შენიშნეთ ორი გადამწყვეტი რამ: პირველი — სული წმიდის მოქმედების შედეგია მწუხარებაში სიხარული; მეორე — სხვებისათვის მისაბაძი მაგალითი. უფრთხილდით ამის მთქმელს, ღვთის სულის სასწაულები კარგი საჩუქარია და არა კარგი მიზანიო.

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 72 4/13/2012 11:13:23 AM

## იხარეთ დევნაში რადგან საზღაური დიდია!

ქრისტიანული ჰედონიზმი ამბობს, რომ არსებობს ტანჯვაში სიხარულის განსხვავებული გზები. ყოველ მათგანს უნდა გავყვეთ როგორც ყველაზე საკმარისსა და დამაკმაყოფილებელს — ღვთის მადლის გამოხატულებას. ერთი-ერთი გზა გამოხატულია იესოს მიერ ლუკას სახარებაში (5;11, 12). „ნეტარ ხართ თქვენ, როცა გაგლანძღავენ, გაგდევნიან და ყოველნაირად ბოროტს იტყვიან თქვენზე ჩემს გამო. იხარეთ და იმხიარულეთ, ვინაიდან დიდია თქვენი საზღაური ცაში" (ლუკა 6:22.23). მეორე — მტკიცედ მივმართოთ ჩვენი გონება აღდგომის დიდი საზღაურისადმი. ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილების შემდეგ მოსალოდნელი ტკივილის განცდა კლებულობს. „ვინაიდან ვფიქრობ, რომ ახლანდელი ტანჯვანი არაფერია იმ დიდებასთან, რომელიც გამოცხადდება ჩვენს მიმართ" (რომაელთა 8:18; 2 კორინთელთა 4:16-18). გავხადოთ ტანჯვა ასატანი, გავიხაროთ ჩვენთვის განკუთვნილი საზღაურით, რაც სიყვარულსაც გახდის შესაძლებელს. „შეიყვარეთ თქვენი მტრები და კეთილი უყავით მათ, არაფერს მოელოდეთ სანაცვლოდ; და თქვენი საზღაური დიდი იქნება" (ლუკა 6:35). იყავით გულმოწყალენი ღარიბების მიმართ „და ნეტარნი იქნებით, რათა მათ არაფერი აქვთ რომ მოგიზღან; მაგრამ მართალთა აღდგომისას მოგეზღვებათ თქვენ" (ლუკა 14:14).

## სიხარული მწუხარებაში აღრმავებს დარწმუნებას!

ტანჯვაში სიხარულის სხვა გზა მოდის ტანჯვის ეფექტებისა და ჩვენი იმედისაგან. გასაჭირში სიხარულს გაძლევს აღდგომის იმედი. მაგალითად, პავლე ამბობს: „გასაჭირითაც ვიქადით, რადგან ვიცით, რომ გასაჭირი შეიქმს მოთმინებას, მოთმინება — სიმტკიცეს, სიმტკიცე — სასოებას" (რომელთა 5:3, 4). პავლეს სიქადული საზღაურს კი არ ემყარება, არამედ გასაჭირის შედეგს. გასაჭირი წარმოშობს მოთმინებას და მოთმინება — განცდას, რომ ჩვენი რწმენა არის ნამდვილი და უტყუარი. ეს აძლიერებს ჩვენს იმედს, რომ ჭეშმარიტად შევიძენთ ქრისტეს.

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 73 4/13/2012 11:13:23 AM

რიჩარდ ვურმბრანდი აღწერს, როგორ შეიძლება აიტანო ქრისტესათვის წამების განმგმინავი ტკივილი.

> გაუსაძლისი წამების შემდეგ ყველაფერი მნიშვნელობას კარგავს. არაფერს აზრი აღარა აქვს, არც ჩემს გადარჩენას, არც ტკივილს. იფიქრე ასე ტანჯვაში და დაინახავ, როგორ გამოხვალ კრიზისის მდგომარეობიდან. თუ ამ ერთი მომენტიდან გამოხვალ, შინაგანი სიხარულის განცდას იგრძნობ, მიხვდები, რომ ქრისტე შენთან იყო იმ მომენტში.[15]

„ძლიერი სიხარული" მოდის განცდიდან, რომ ქრისტეს დახმარებით აიტანე ეს განსაცდელი. ცეცხლში გამოგატარეს და გადარჩი. არ უარყავი შენი რწმენა. ქრისტე რეალურად არსებობს შენს ცხოვრებაში. შენთვის ის არის ყველაფრის დამაკმაყოფილებელი ღმერთი. როცა მოციქულებმა საქმეების 5;41-ის მიხედვით, სასტიკი ცემა აიტანეს...წავიდნენ სინედრიონიდან, და უხაროდათ, რომ მისი სახელისათვის შეურაცხყოფის ღირსნი გახდნენ". სიხარული მოვიდა იმ ფიქრიდან, რომ ღვთისაგან ნაბოძები, ნამდვილი რმწენით განსაცდელი გამოიარეს.

## ქრისტესთან ერთად ტანჯვაში სიხარული დიდებისაკენ მიგვიძღვის!

ტანჯვაში არსებობს სიხარულის კიდევ ერთი გზა, რომელიც ნამდვილად ადასტურებს, რომ დიდების ბილიკს შევუდექით. ტანჯვაში სიხარული მოდის არა მარტო 1) საჩუქარზე ყურადღების გამახვილებით და 2) ტანჯვაში ჩვენი განცდის უტყუარობის ეფექტების განმტკიცებით, არამედ 3) დაპირებითაც, რომ ტანჯვის ეს სიხარული სამუდამო ნუგეშს მოგვანიჭებს. მოციქული პეტრე ამას შემდეგნაირად გამოხატავს: „არამედ გიხაროდეთ როგორც ქრისტეს ტანჯვათა მოზიარეებს, რათა თქვენც იხაროთ და იმხიარულოთ მისი დიდების გამოცხადებისას" (1 პეტრე 4:13). ტანჯვაში სიხარული არის ბილიკი საბოლოო სიხარულისა და ქრისტეს გამოცხადებებისაკენ. პეტრე

მოგვიწოდებს, მივდიოთ სიხარულს ამ ტანჯვაში (მან გვიბრძანა ეს!) რათა მათ შორის აღმოვჩნდეთ ვინც განუზომლად გაიხარებს ქრისტეს მოსვლისას.

## ჩვენი ტანჯვის სიხარულში სხვები ხედავენ იესოს!

უკვე ტანჯვაში სიხარულის მეოთხე გზაც დავინახეთ. ვაცნობიერებთ, რომ ჩვენს ტანჯვაში სხვები ხედავენ ქრისტეს ფასს და მტკიცედ დგანან ჩვენი რწმენის ცეცხლზე გამოცდის შედეგად. პავლე ეუბნება თესალონიკელებს: „რადგან ახლა ვცოცხლობთ, რაკიღა მტკიცედ დგახართ უფალში. როგორი მადლობა შეგვიძლია შევწიროთ ღმერთს თქვენი გულისათვის ყველა იმ სიხარულის გამო, რომლითაც ვხარობთ თქვენით ჩვენი ღვთის წინაშე“ (1 თესალონიკელთა 3:8, 9). კოლასელთა 1:24, „ვხარობ ჩემს ტანჯვებში თქვენს გამო“.

ვიტანჯებით, რათა ქრისტეს სიყვარული და მისი ფასი დავანახოთ ახალმოქცეულებს, რომლებიც მტკიცედ დგანან ქრისტეს დიდების ამსახველ რწმენაზე, რაც ყველა განცდაზე მაღლა დგას. ტანჯვაში განცდილი სიხარული არ განსხვავდება იმისგან, რასაც ქრისტეში განვიცდით. ქრისტეს დიდება არის ჩვენი „უდიდესი მოგება“. მისთვის დავიტანჯებით, დავკარგავთ ყველაფერს და ყველას. ვინც ხედავს ჩვენს ტანჯვებში ქრისტეს აღმატებულ ფასს და სწამს, რომ არ არსებობს სხვა სახე და მოწმობა ქრისტეზე დიდებული საფასურისა — და, მაშასადამე, სხვა მიზეზი სიხარულისა.

## მსოფლიოში უბედნიერესი ხალხი

იესოსათვის გოლგოთის გზა არ არის უსიხარულო გზა. მტკივნეულია, მაგრამ ღრმა სიხარულის მომგვრელი. დროებითი სიამოვნების, კომფორტისა და უსაფრთხოების არჩევით, უარს ვამბობთ სულიერ შესაწირავებზე, მისიაზე, ევანგელიზაციაზე, მსახურებაზე, სიყვარულსა და სიხარულზე. უარს ვამბობთ ანკარა წყაროზე, რომლის წყალიც არასდროს ცუდდება (ესაია 58:11). უბედნიერესია ის, ვინც გამოცდის სასწაულს. სწორედ

ესაა „ქრისტე მათში, იმედის დიდება“ (კოლასელთა 1:27). ეს ბედნიერი ხალხი იკმაყოფილებს ღრმა მისწრაფებებს და ავრცელებს ქრისტეს ტანჯვებს მსოფლიოს მასშტაბით.

ღმერთი მოგვიწოდებს, რომ ვიცოცხლოთ ქრისტესთვის ტანჯვის მეშვეობით. ქრისტემ აირჩია ტანჯვა. ეს მას უბრალოდ არ შეემთხვა. ქრისტემ აირჩია ტანჯვა, როგორც ეკლესიის შექმნისა და სრულყოფის გზა. ახლა ის მოგვიწოდებს ავირჩიოთ ტანჯვა. ქრისტე მოგვიწოდებს ავიღოთ ჩვენი ჯვარი და გავყვეთ მას გოლგოთის გზაზე. უარვყოთ საკუთარი თავი, შევწიროთ შესაწირავი ეკლესიის მსახურებისა და ქრისტეს ტანჯვების მსოფლიოსათვის გასაცნობად.

ძმა ენდრიუ, 1967 წელს დაწერილი ცნობილი წიგნის ავტორი, ღვთის კონდრაბანდისტი, პირველად შეიტყობს მსახურების შესახებ სახელად ”ღია კარი”. ავტორი ასე აღწერს ქრისტეს მოწოდებას 90-იანების შუა წლებში:

> არ არსებობს არცერთი დაკეტილი კარი მსოფლიოში, სადაც გინდა დაამოწმო ქრისტე და ვერ შეძლო ამის გაკეთება... მაჩვენე დაკეტილი კარი და გეტყვი როგორ შეხვიდე მასში. უკან დასაბრუნებელი გზის ჩვენებას კი ვერ დაგპირდებით...
>
> იესო არ ამბობს „წადით, თუ კარი ღიაა“, რადგან კარი ხშირად დაკეტილია. ის არ ამბობს „წადი, თუ გაქვს მოსაწვევი ან წითელ ხალიჩას თუ დაგიგებენ“.
>
> მან თქვა, „წადი“, ხალხს სჭირდება მხსნელის სიტყვის მოსმენა...
>
> ჩვენ გვჭირდება ახალი მიდგომა მისიონერობისადმი — აგრესიული, ექსპერიმენტალური, ევანგელური, ყველაფერზე ქმედითი დამოკიდებულება... პიონერული სული...
>
> ვშიშობ, მოგვიწევს მუქარის გამომხატველი სიტუაციების გავლა, სისხლის წვიმა; მაგრამ მაინც გავივლით.
>
> ღმერთი ჩამოგვაშორებს დაბრკოლებებს თუ ნამდვილად გვსურს ზეციური მიზნების მიღწევა. თუ ვამბობთ – „უფალო, რადაც არ უნდა დამიჯდეს...“, მაშინ ზერელედ და

მოვალეობის მოხდის მიზნით არ უნდა ილოცო. ნამდვილად უნდა გინდოდეს, რომ შეისმინოს ღმერთმა შენი ლოცვა. საშიში, მაგრამ გარდაუვალი პროცესი უნდა გავიაროთ. ეს გზა წარმატებით მოქმედებდა ორი ათასი წლის განმავლობაში.

პოტენციურად რთულად გასავლელ გზას ვაწყდებით... ჩვენ ვთამაშობთ ეკლესიობანას და ქრისტიანობანას. გაცნობიერებული არა გვაქვს, რომ ნელთბილნი ვართ, ... რწმენის საზღაური უნდა გადავიხადოთ. წავიკითხოთ 2 ტიმოთე 3:12: „და ყველა, ვისაც ღვთისმოსაობით ცხოვრება სურს, დევნილი იქნება“. იმ ქვეყნების ეკლესიებში უფრო მეტი სიწმინდეა, სადაც დიდი წნეხია... რა შეიძლება ვთქვათ საკუთარ თავზე. უნდა მოვემზადოთ.[16]

## ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲕᲚᲘᲜᲝᲗ ᲐᲠᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ.

ამ მოწოდების პასუხი რადიკალური ქრისტიანული ჰედონიზმია. იმიტომ კი არ ვირჩევთ წამებას, რომ უბრალოდ გვითხრეს, არამედ — ქრისტე აღწერს ამ გზას სამუდამო სიხარულისაკენ მიმავალ ბილიკად. მიგვითითებს მივიდეთ ტანჯვით მორჩილებასთან არა ჩვენი მსახურების ძალის დემონსტრირებისათვის, არა ტკივილისადმი შემწყნარებლობით; არამედ გამოვააშკარაოთ ბავშვური რწმენა, ღმერთის ფასი და მისი ყველაფერის დამძლეველი შესაძლებლობები. მოსემ „ცხებულის გულისათვის დამცირება მეტ სიმდიდრედ მიიჩნია, ვიდრე ეგვიპტის საგანძურები, ვინაიდან ხედავდა საზღაურს“ (ებრაელთა 11:25, 26).

მოსეს მორჩილებამ განადიდა ღვთის მადლი, მაგრამ ვერ გადაჭრა ტანჯვის პრობლემა.

## ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲰᲔᲓᲝᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲠᲡᲘ

ქრისტიანული ჰედონიზმის დედაარსია ტანჯვაში მიღებული სიხარულით განვადიდოთ ყველაფერზე აღმატებული ღმერთის ფასი, სიხარულის საწყისი. თვით ღმერთი ანათებს ჩვენი

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 77 4/13/2012 11:13:23 AM

ტკივილების გვირაბის ბოლოს. თუ არ ვაღიარებთ, რომ ღმერთი არის ტანჯვაში ჩვენი სიხარული, მიზანი და საფუძველი, მაშინ ტანჯვის მთავარი მნიშვნელობა დაიკარგება. მნიშვნელობა კი ეს არის: ღმერთი არის მოგება. ღმერთი არის შენაძენი. ღმერთი არის მოგება.

ადამიანის მთავარი მიღწევა ტანჯვაში ღვთის განდიდებაა და ყველაზე რეალური ვიდრე სხვა შემთხვევაში. ღმერთი მაშინ არის ყველაზე განდიდებული ჩვენში, როდესაც ყველაფერზე მეტად მასში ვპოვებთ კმაყოფილებას. ჩემი ლოცვაა, რომ სული წმიდამ მიმადლოს თავის ხალხს მთელს მსოფლიოში სურვილი ღმერთის ყველაფერში პირველ ადგილზე დაყენებისა. ვლოცულობ, ცხადი გახადოს ღმერთმა სიხარულისკენ სწრაფვის მიზეზი. როცა გაგვიჭირდება ამ გზაზე სიარული, გაგვახსენოს, რომ ღვთის ძალა აღემატება ყოველივეს და მას შესწევს უნარი მოგვანიჭოს ყველაფერზე აღმატებული კმაყოფილების განცდა. დაე, დადგეს ის დღე, როცა ჩვენ „შევავსებთ ქრისტეს გასაჭირს“, რათა მსოფლიოს ხალხებმა დაინახონ ქრისტეს სიყვარული და განადიდონ მისი მადლი რწმენის სიხარულში.

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 78 4/13/2012 11:13:23 AM

## შენიშვნები


1. რიჩარდ ვურმბრანდი, სიმაღლეებისაკენ ლტოლვაში (Bartlesville, OK: Living Sacrifice Book, 1992), ბოლო გვერდი.
2. ფილიპ ვანსის ციტატა „გაყინული ცეცხლი“, ქრისტიანობა დღეს, 5 ოქტომბერი, 1984, გვ. 109.
3. მარვინ ვინსენტი, ფილიპელთა წერილი და ფილიმონი (Edinburgh:T.& T.Clark, 1897), გვ.78.
4. იოსებ ცონი, „წამების თეოლოგია“, რუმინეთი, მისიონერული საზოგადოების დაუთარიღებელი ბუკლეტი, P.O. Box 527, Wheaton, IL, 60189-057, გვ4.
5. სტეფენ ნეილი, ქრისტიანი მისიონერების ისტორია (Harmondsworth, Middle-sex: Penguin Books Ltd, 1964)გვ.43, 44.
6. ციტირებულია „პოლიკარპეს წამება“, ქრისტიანული ეკლესიის დოკუმენტები, ჰენრი ბეტენსონი, (London: Oxford University Press, 1967) გვ10.
7. „პოლიკარპეს წამება“, გვ. 9, 10.
8. „პოლიკარპეს წამება“, გვ.11.
9. „პოლიკარპეს წამება“, გვ12.
10. ჯორჯ ოტისი, უკანასკნელი გიგანტი: ფარდის ახდა, ისლამი და ბოლო ჟამი (Grand Rapids: Chosen Books, 1991), გვ.261, 263.
11. იოსებ ცონის ციტატა, „წამების თეოლოგია“, გვ.1.
12. იხილეთ მაგალითი ჯონ ფაიფერის „დაე, იხარონ ერებმა: ღვთის პირველობა მისიაში“ (Grand Rapids: The Baker Book House, 1993), გვ.94-96. იხილეთ ნებისმიერი წიგნი რიჩარდ ვურმბრანდისა, მაგალითად, „ქრისტესთვის წამებული“ ან „ის რომ ქრისტე ყოფილიყო, მისცემდი შენს საბანს?“ ან „გამარჯვებული რწმენა“. სხვა რესურსები ტანჯვისათვის მოწოდებულის ჩათვლით, გამარჯვებისათვის მოწოდებული ჰერბერტ შლოსბერგის მიხედვით, და უფალი მეფობს ჩინეთში ლესლი ლიალის მიხედვით.
13. იოსებ ცონი, „წამების თეოლოგია“, გვ.2
14. „წამების თეოლოგია“: გვ.3.
15. რიჩარდ ვურმბრანდი, „იატაკქვეშა ეკლესიისათვის მზადება“, ეპიფანეს ჟურნალი, ნომერი 5. ზაფხული, 1985, გვ. 50.
16. ძმა ენდრიუ, „ღვთის კონტრაბანდისტი აღიარებს“, ინტერვიუ მაიკლ მაუდლინთან; ქრისტიანობა დღეს, დეკემბერი 11, 1995, გვ.46.


26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 79 4/13/2012 11:13:23 AM

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 80 4/13/2012 11:13:23 AM



# 3

# დევნის მონახაზი

## ბიბლიის შესწავლისა და გაცნობისათვის

მილტონ მარტინი



ხელმეორედ გამოცემული და განახლებული. ნებადართულია მილტონ მარტინის მისიონერული მსახურების მიერ.

Milton Martin Missionary Ministries
P.O. Box 1567
Route 2, box 2624
Belton, TX 76513
(254) 933-9339

## ეკლესიის ფუნქციის შესრულება (მათე 16:18)

I. ქრისტემ დააფუძნა თავისი ეკლესია და დაავალა მისი მიზნის აღსრულების გაგრძელება. (მათე 16:18; 28:18-20)
   ა. თუ ჩვენი ეკლესიები დაიხურება, ნიშნავს თუ არა ეს ქრისტიანობის დასასრულს?
   ბ. პირველ ეკლესიებს არ ჰქონდათ ტაძრები ან შენობები.

II. პირველი ეკლესია მწარედ იქნა დარბეული! როგორ უპასუხეს მათ?
   ა. ისინი საკუთარ სახლებში იკრიბებოდნენ (საქმეები 5:42).
   ბ. „ჩვეულებრივი ქრისტიანები“ ერთგულად უზიარებდნენ თავიანთ დამოწმებებს (საქმეები 8:1, 4).
   გ. იყენებდნენ ყოველგვარ შესაძლებლობას დასამოწმებლად. (საქმეები 16:12, 13).
   დ. ისინი ასწავლიდნენ მოწაფეებს (საქმეები 11:25, 26).
   ე. მსახურებაში თანამშრომლობა (საქ 2:46, 47).
   ვ. ნებისმიერ მდგომარეობაში ეწეოდნენ მსახურებას (საქ 16:23-25).

III. მსახურებისა და ზიარების ალტერნატიული გზები იქნა განხილული.
   ა. დაფუძნდა საოჯახო ეკლესიები (რომაელთა 16:3-5; 1 კორინთელთა 16:19).
   ბ. დევნილი და არარეგისტრირებული ეკლესიები აღნიშნავენ დაბადების დღეებს, ქორწილებსა და დაკრძალვებს, როგორც მთლიანი სხეულის შეკრების შესაძლებლობა.
   გ. შეგიძლიათ შემოგვთავაზოთ სხვა გზები და საშუალებები?

IV. ზოგიერთ გზას სატანა იყენებს ეკლესიისა და ქრისტიანების დასამარცხებლად დევნის დროს.
   ა. სატანა იყენებს იზოლაციას, როგორც იარაღს ეკლესიების წინააღმდეგ.

1. ეშმაკი არის „ძმების ბრალმდებელი“.
2. სატანის ბრალდებები გრძელდება უსასრულოდ.
3. ბოროტი ჩასაფრებულია მოულოდნელი თავდასხმისათვის როდესაც ცოდვა უღიარებელია.
4. უფრო მეტი ზრუნვა უნდა იქნეს გაწეული რათა მუდმივად შენარჩუნდეს ღმერთთან თანაზიარება (1იოანე 1:8-10).
5. პიროვნულ წყენებზე თვალის დახუჭვა შეიძლება იქცეს ძალიან სერიოზულ ფაქტორად და გადაიზარდოს „უზარმაზარ“ პრობლემაში.
6. სატანა ყველა ღონეს ხმარობს, რომ ქრისტიანებში არ განელდეს „დანაშაულის შეგრძნება“ მას შემდეგაც, რაც ცოდვა მონანიებულია. (რომაელთა 5:1, 2; 8:33, 34).
7. დაეჭვებისა და იმის ნაცვლად, რომ დასვა კითხვა: „რატომ?“ თქვი: „უფალო, რა უნდა გავაკეთო?“

## ქრისტიანები დაიტანჯებიან დევნაში

(1 პეტრე 4:12-19)

I. ტანჯვის დაპირება (1 პეტრე 2:21; 4:12; 1 თესალონიკელთა 3:3, 4; საქ. 14:22; 2 ტიმოთე 3:12; მარკოზი 13:9, 13; ფილიპელთა 1:29).

II. ტანჯვის მიზანი (1 პეტრე 4:12; „ცეცხლოვანი ტანჯვა“. იობი 23:10; ფსალმუნი 66:10).
   ა. ჩვენი რწმენის მტკიცებულება.
   ბ. როდესაც რაღაც არის ნაწინასწარმეტყველები, აუცილებელია მისი ნამდვილობის შემოწმება.
   გ. ჩვენი რწმენის სიღრმის მტკიცება.
      1. რა იქნებოდა საჭირო ჩვენი გზიდან გადახვევისთვის?
      2. მნიშვნელობა ან ზომა რაც დააბრკოლებდა ჩვენი რწმენის სიძლიერის გამოვლენას.

III. ქრისტეს ტანჯვაში თანამონაწილეობა (1 პეტრეს 4:13). სიტყვასიტყვით, ქრისტიანი შედის ტანჯვაში ქრისტესთან ერთად. შესაძლოა ეს არ იყოს ჯვარი, მაგრამ იგი იყოს ადამიანის ხელში.

ა. უფალი გაცემულ იქნა (იოანე 1:10, 11).
ბ. უფალი შეიძულეს (იოანე 15:24; ესაია 53:3).
გ. უფალმა დატოვა მამამისის კომფორტული სახლი (იოანე 3:16).
დ. უფალს არ ჰქონდა საკუთარი სახლი.
ე. უფალს არ ჰქონდა ფული გადასახადის გადასახდელად (მათე 17:27).
ვ. უფალს საწოლი არ ჰქონდა.
ზ. არავინ ყავდა უფალს დამცველად, როცა უდანაშაულოდ სდებდნენ ბრალს (1 პეტრე 2;22, 23).
თ. უფალს სამარხი არ ჰქონდა (ესაია 53:9).
ი. უფალი ღარიბ კაცად მოგვევლინა.
კ. ფილიპელთა 3:10; პეტრე 2:21; 4:1; გალატელთა 2:20; 6:12, 17; საქ. 5:41; ებრაელთა 12:2; 1 თესალონიკელთა 2:2. როგორი იქნებოდა ჩვენი რეაქცია? (ებრაელთა 12:2).

IV. ძალა ტანჯვაში თუ ძალის მეშვეობით (1 პეტრე 4:14). სული წმიდა დაივანებს მათზე, ვინც დაიტანჯება. ძველ აღთქმაში ღრუბელი იყო ღვთის გვერდით მყოფობის ნიშანი. ეს ღრუბელი ცნობილი იყო როგორც უფლის დიდება (1 მეფეთა 8:10, 11). მსგავსი დიდება მოდის მორწმუნეზე სული წმიდის მეშვეობით, როდესაც იგი ქრისტეს გამო იტანჯება. სული მოდის რათა მოემსახუროს, ალავსოს, დაიფაროს, შემოსოს, დაიცვას, დაეხმაროს, გააძლიეროს, უშუამდგომლოს და მისცეს რაც აკლია. ეს დიდება დანახულ იქნა სტეფანეს მაგალითზე (საქ 6:5-8; 7;55, 60). რაც უფრო ბნელია ღამე, უფრო ნათელია ვარსკვლავი (2 კორინთელთა 12:9, 10).

V. ტანჯვაში არსებული საშიშროება (1 პეტრე 4:14-16).
  ა. დიდია განსხვავება ქრისტესთვის ტანჯვასა და საკუთარი სისულელით გამოწვეულ დანაშაულს შორის.
  ბ. სირცხვილი (ებრაელთა 2:11).
  გ. სიხარული და მადლიერება სიმწრის ნაცვლად (გამოსვლა 15;23, 24; 16:2; 1 თესალონიკელთა 5:16-18).

VI. ტანჯვის მეშვეობით განწმენდა (1 პეტრე 1:7; 4:12).
  ა. ტანჯვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს განსაწმედად, გასაფილტრად, დასაწვავად და „გამოსადნობად“.
  ბ. თავისთავად ტანჯვას არ შეუძლია განწმენდა ან განახლება. მხოლოდ ღვთის მადლს ძალუძს დახვეწა და სრულყოფა, მაგრამ ტანჯვამ შეიძლება გამოიწვიოს ჩვენი საჭიროების აღიარება.
    1. ტანჯვამ შეიძლება მიგვახვედროს, რომ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია საკუთარი ძალით.
    2. ტანჯვამ შესაძლოა გამოიწვიოს ცოდვისადმი მგრძნობელობა.
  გ. ტანჯვის მეშვეობით ვსწავლობთ მთლიანად მივენდოთ ღმერთს (2 კორინთელთა 12:9, 10).
  დ. როგორ ვუპასუხებთ? მივანდოთ ჩვენი სულები ღმერთს? (1 პეტრე 4:19; საქ 7:59; ლუკა 23:46).

## ტანჯვის ნაწილი მორწმუნეების ცხოვრებაში

ტანჯვა ჩვეულებრივია ნებისმიერი პიროვნებისათვის (იობი 5:6, 7). ქრისტიანისათვის ნორმალურია ტანჯვა (2 ტიმოთე 3:12; საქ 14:22; 1 პეტრე 2:21).

დევნის საფეხურებია: ზეწოლა, დამცირება, დისკრიმინაცია, მუქარა, მატერიალური საკუთრების დაკარგვა და ფიზიკური ძალადობა.

I. საერთო გაუგებრობა
   ა. წამება არის სასჯელი ცოდვის ან არასწორი ქმედებისათვის (1 პეტრე 4;19; 3:14; 4:16).
   ბ. მოსაზრება, რომ ადამიანი არ შეიძლება დამწუხრდეს (1 პეტრე 1:6).
   გ. მხოლოდ ქრისტიანები ეწამებიან? (დაბადება 3;16-19).
   დ. ტანჯვით ავადმყოფური მოხიბვლა.
   ე. წამების უმიზეზო შიში.

II. რას გვასწავლის ბიბლია წამების შესახებ.
   ა. ქრისტიანები უნდა მოელოდნენ წამებას (იოანე 15:18-21; 17:14; 1 იოანე 3:13).
   ბ. წამება შეიძლება ღვთის ნება იყოს ჩვენთვის (1 პეტრე 4:16; 2:21).
   გ. ბავშვის ცხოვრებაში ტანჯვას ღვთის ნება აქვს (1 პეტრე 1:6, 7; 2 კორინთელთა 12:7-10).
   დ. უნდა ვეწამოთ სამართლიანობის გამო (მათე 5:10; 1 პეტრე 4:15).
   ე. ღმერთი აკურთხებს სამართლიან წამებას (მათე 5;10-12; ლუკა 6:22, 23).
   ვ. წამება იწვევს ჩვენში ზეცისაკენ ცქერას (რომაელთა 8:16-18; კოლასელთა 3:1-3).
   ზ. არ უნდა გვრცხვენოდეს და გვეძნელებოდეს წამება (1 პეტრე 4:16; ებრაელთა 13:12, 13).
   თ. უნდა მივყვეთ ქრისტეს მაგალითს (1 პეტრე 2:19-25).
   ი. ტანჯვას ისე უნდა ვუპასუხოთ, როგორც უფალმა (მათე 5:38-48; რომაელთა 12:14, 17-21; 1 პეტრე 2:21-23).
   კ. ჩვენ შევძლებთ გამარჯვებას (იოანე 16:33).

III. ტანჯვისათვის მომზადება
   ა. გაიგე, რომ ეს ნორმალურია (1 პეტრე 4:12; ფილიპელთა 1:29).

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 87 4/13/2012 11:13:24 AM

ბ. იცოდე ღვთის სიტყვის სწავლება (ფილიმონი 3:10; რომაელთა 6:3-5; იოანე 8:31, 32).
გ. დარჩით ქრისტეში (იოანე 15:4).
დ. დაემორჩილეთ სული წმიდას ყოველ დღე (ეფესელთა 5:18; 4:30).
ე. მოისვენე ღვთის ნებაში (ეფესელთა 5:17; ებრაელთა 4:1, 9-11).
ვ. დაარიგე შენი ძმები, როდესაც შენც და ისინიც ტანჯვაში ხართ (კოლასელთა 3:16, 17; ეფესელთა 5:19-21).

## გზები, რომლითაც ბრძოლები მოუწევს ეკლესიას

I. დევნის ფოკუსი (იოანე 15:18-21; კოლასელთა 1:24-27). ბრძოლები ყოველთვის იყო და იქნება ჩვენი უფლის წინააღმდეგ.

II. წამებიდან გამოსულის ენა.
ა. გამარჯვებულის სიტყვებზე დამოკიდებულება — „გამოსვლა“.
(გამოცხადება 2:7, 11, 17, 26; 3:5, 12, 21).
ბ. გამოსვლის საიდუმლო (გამოცხადება 12:11).
1. „კრავის სისხლით“ (გამოცხადება 12:11ა). (აღნიშნეთ სისხლის გააზრების მნიშვნელობა).
ა. მშვიდობა ღმერთთან.
ბ. მშვიდობა ჩვენს სინდისთან.
გ. ძალა ცხოვრებაში.
დ. ეს იარაღი დაკარგულია:
1) ლიბერალური თეოლოგიით — სისხლი არა.
2) თავისუფლების თეოლოგიით — ჯვარი არა.
3) უტვირთო ქადაგებით — ძალა არა.
2. „მათი სიტყვის დამოწმებით“. (გამოცხადება 12:11ბ)

ა. სატანა ცდილობს განგვძარცვოს გამარჯვებისგან ჩვენი პირის დამუწვის, დამოწმებისა და თავდაჯერებულობის დაკარგვის გამოწვევით.

ბ. „სამუდამო მტერი“ გვყავს.

1) თემის დაყოფა.

2) შიში.

3) ურწმუნოება.

4) სიყვარულის ნაკლებობა.

5) გვერდითი პრობლემები ნაცვლად იმისა, რომ ყურადღება გავამახვილოთ ხალხის სულებზე.

გ. ჩვენს ოჯახებზე ზრუნვის ნაკლებობა.

დ. გეგმები და პროექტები, ღვთის მიზნები.

ე. ნებისმიერი რამ, რაც ჩვენს ცხოვრებას წონასწორობას დააკარგვინებს.

3. „არ შეიყვარე მათი სული თვით სიკვდილამდე“. (გამოცხადება 12:11ბ)

ა. კომპრომისი არ არის ჩვენს ლექსიკონში.

ბ. წამებული ქრისტიანების მაგალითი.

გ. არა მხოლოდ ფიზიკური ცხოვრება, არამედ შენი ამბიციის, მდგომარეობისა და უფლებების მოკვლაა საჭირო.

III. საერთო ნიშნები.

დევნა არ არის ყველა ქვეყანაში ერთნაირი, ეს შეიძლება იყოს კომუნისტური, რელიგიური ან სხვა რომელიმე ტოტალური მთავრობა. მათ რამდენიმე საერთო ნიშანი ახასიათებს დევნის დაწყებისას.

ა. ევანგელიზაციის შეზღუდვა.

1. ქრისტიანებს ნება არ აქვთ იმოგზაურონ ან აირჩიონ თანამშრომლები.

2. ქრისტიანული პროგრამები ამოღებულია რადიო და ტელე გადაცემებიდან.

3. აკრძალულია ნებისმიერი რელიგიური შეხვედრა ეკლესიის გარეთ.

    4. გარანტირებულად უსაფრთხო მსახურების დროის გარდა სხვა შეხვედრები გამოირიცხოს.
    5. მთავრობის წარმომადგენლების ან ჯაშუშების მსახურებაზე დასწრება.
ბ. ბიბლიებისა და ქრისტიანული ლიტერატურის შემოტანის აკრძალვა.
    1. ასეთი ბეჭდვითი ლიტერატურა მიჩნეულია უმნიშვნელოდ.
    2. ზოგიერთ ადგილებში ბიბლიებს პორნოგრაფიულ კატეგორიას მიაკუთვნებენ.
გ. უცხოელ მისიონერებს დევნიან ქვეყნიდან.
    1. კანონის მიხედვით, განსაზღვრული უნდა იყოს სამღვდელოების რიცხვი ქვეყანაში.
    2. კანონის მიხედვით უცხოელებს ეკრძალებათ ქვეყანაში მუშაობა. ტურისტები მხოლოდ განსაზღვრულ რეგიონებში სტუმრობის უფლებით სარგებლობენ.
    3. პირდაპირი ზეწოლისა და ძალადობის გამოხატვა უცხოელების მიმართ.
დ. ადგილობრივ ლიდერებს ემუქრებიან და დაუნდობლად ანადგურებენ.
    1. წერილები მოწმდება და ხუცესებს უფლება აქვთ მხოლოდ განსაზღვრულ თემებზე იქადაგონ.
        ა. გადასახადებისაგან გათავისუფლების სტატუსი ჩამოერთმევა ეკლესიას, თუ რაიმე იქადაგა მთავრობის საწინააღმდეგოდ.
        ბ. ხუცესებს აშინებენ და ემუქრებიან მათი შვილების შეპყრობით.
    2. ხუცესებს ნება არ აქვთ შესწირონ მთელი თავიანთი დრო მსახურებას.
        ა. „ისინი საზოგადოების ნაყოფიერი წევრები უნდა გახდნენ“. რაც ნიშნავს, რომ უნდა გახდნენ ... რა? დაეუფლე ხელობას.
        ბ. ისეთ სამსახურს აძლევენ, რომ მას მიაქვს ხუცესების ენერგია და დრო.

3. ხუცესებს უფლება არ აქვთ ესტუმრონ წევრებს ან გაავრცელონ სახარებისეული ლიტერატურა.
4. ეკლესიებს უფლება არ აქვთ ჰქონდეთ საბეჭდი მანქანები, კომპიუტერები და არანაირი ნაბეჭდი მასალა.
5. ხუცესებზე შესაძლოა განხორციელდეს ხიფათის შემცველი მანიპულაციები.
    ა. შესაძლოა კითხვები დაუსვან.
    ბ. აიძულონ დაესწრონ განსაკუთრებულ, სახელმწიფო „დოქტრინის“ გაკვეთილებს.
    გ. განსაკუთრებული მაცდუნებელი შეთავაზებები ან ძალდატანება.
        1) ეს შეიძლება იყოს განსაკუთრებული პრივილეგიის ფორმით.
        2) მათი შვილებისათვის სწავლის გადასახადისაგან გათავისუფლება ან სხვა დასასვენებელი ადგილი, რომელიც სხვა ქრისტიანებისათვის შეზღუდულია.
    დ. დააშინონ სახლის მოულოდნელი ჩხრეკით.
    ე. მსახურება ჩაშალონ ხელისუფლების წარმომადგენლებმა.
6. ხუცესები გააგზავნონ შორეულ ადგილებში სამუშაოდ.
    ა. მიზანი მათი ხალხისგან, სხვა ქრისტიანებისგან ჩამოშორებაა.
    ბ. შესაძლოა მისცენ ძალიან დამამცირებელი სამუშაო.
7. ხუცესებს აპატიმრებენ და „ხელახალ განათლებას“ აძლევენ.
    ა. რაც შეიძლება მოიცავდეს წამებას.
    ბ. სახალხოდ დაამცირონ.
    გ. ცრუ ბრალდებები და არასწორი ჩვენებები.

ე. ეკლესიებს აიძულებენ დარეგისტრირებას.
1. ყველა ეკლესიის ხელმძღვანელი დანიშნული უნდა იქნეს მთავრობის მიერ.

2. ყველა მსახურება დაწერილი უნდა იყოს და ქადაგებამდე და რომელიღაც სამთავრობო დეპარტამენტში განხილული.
3. განცხადებები უნდა იქნეს ხელმოწერილი, ვიდრე ხუცესებს ქადაგების ნება მიეცემათ (მაგალითად: „არანაირ მცდელობას არ ექნება ადგილი დაკარგულთა დასახსნელი ქმედების საქადაგებლად“.)

დ. დენომინაციებს აიძულებენ გაერთიანებას.
1. დენომინაციების რიცხვი შეზღუდულია.
2. ყველანი შედიან ეროვნულ ეკუმენურ საბჭოში.
3. სრულიად ეროვნული ეკლესია არის „შექმნილი“.

დ. განათლებისა და დასვენების შესაძლებლობა შეზღუდულია ქრისტიანებისთვის.
1. ახალგაზრდების მხოლოდ განსაკუთრებულ ჯგუფს ეძლევა უნივერსიტეტში სწავლის ნება.
2. ქრისტიანი არ შეიძლება იყოს ექიმი, მოსამართლე, პროფესორი ან საზოგადოებრივი მუშაკი.
3. ქრისტიანებს არ აქვთ სწავლასა და დასვენებაში არჩევანის გაკეთების უფლება.

ე. თვრამეტ წლამდე ასაკის ახალგაზრდებს ეკრძალებათ რეიგიური განათლების მიღება.
1. საშინაო სკოლები აკრძალულია.
2. ქრისტიანი ახალგაზრდობა იძულებულია დაესწროს „განსაკუთრებული განათლების“ კურსებს ათეიზმზე, ევოლუციაზე, სექსუალური განათლებისა და „ალტერნატიული ცხოვრების წესის“ გაცნობის მიზნით.
3. ქრისტიანი მშობლები, რომლებიც არ ემორჩილებიან კანონის ანტირელიგიურ მოთხოვნებს, შვილების დაკარგვის კანდიდატები არიან.

I. ქრისტიანებს ეკრძალებათ ერთმანეთის დახმარება. ოჯახის წევრის დაპატიმრებისას, ოჯახი კარგავს განსაზღვრულ „პრივილეგიებს“ და „უფლებებს“.

1. ეს შესაძლოა მოიცავდეს სამედიცინო დახმარების, ბინის ან საკვების მიღებაზე უარის თქმას.
2. ოჯახს ეკრძალება სხვა მორწმუნეებთან ურთიერთობა, ასე განსაჯეთ, ოჯახის ახლო ნათესავებთანაც კი.

გ. ეკლესიები იხურება.

1. შენობებს გადააკეთებენ სხვა ფუნქციისათვის.
2. ქრისტიანებს აიძულებენ გადავიდნენ სხვა ადგილებში საცხოვრებლად მათი ერთმანეთთან დაშორების მიზნით.
3. ქრისტიანებს უფლება არ აქვთ სხვა მორწმუნეებთან კავშირის დამყარების.

II. მრავალ ქრისტიანს სჯერა, რომ ეს არასოდეს დაემართებათ მათ.

ა. რაღაც მიზეზების გამო საკუთარ თავს თავისუფლად თვლიან.

ბ. მიუხედავად განსხვავებული განმარტებების არსებობისა „აღტაცებაზე“, ეს არ არის გაქცევის გამამართლებელი. უფლება არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ღმერთი გაგვათავისუფლებს დევნისაგან.

V. თანამედროვე გაკვეთილები მორწმუნეებისათვის.

ა. ილოცე როგორც არასდროს ჩვენი ერისა და მისი ლიდერებისათვის (1 ტიმოთე 2:1-4; რომაელთა 13;1-7).

ბ. გადაწყვიტე, რომ იქნები ქრისტეს მებრძოლი (გამოცხადება 12:11).

## ზოგიერთი დასაშვები ფორმები, რომლებმაც შესაძლოა დევნა გამოიწვიოს (1 პეტრე 1:19-24).

ტანჯვა არის ნებისმიერი ჭეშმარიტი მორწმუნის ცხოვრების ნაწილი. დაახლოებით 33 სავარაუდო გზაა რატომაც შეიძლება მორწმუნე ეწამოს.

1. სამართლიანობის გამო (მათე 5:10; 1 პეტრე 3:14).
2. ჩვენი მკვლელის გამო (ბოროტი ცნობები) (ფსალმუნი 31:13; იობი 19:18; 55:12-14; ლუკა 6:22).
3. სირცხვილი, სახალხო შეცბუნება, უპატიობა ან შეურაცხყოფა. მეთოდები, რომლებითაც ჩვენი უფალი იქნა ბრალდებული; ქორწინების გარეშე დაბადება; სიშიშვლე, რომლითაც ის ჯვარზე იქნა გაკრული (ებრაელთა 13:13; 11:26).
4. ცილის წამება (ფსალმუნი 35:11; 27:12; მათე 5:11; ლუკა 23:2, 5, 10; მარკოზი 14:55-60; საქ. 6:13; 16:19-23; 26:2, 7).
5. ტყუილის ხაფანგში გაბმა, ფოკუსები, მსჯავრდების გზების მოძიება (დანიელი 6;4, 5; ლუკა 11:54; მათე 10:16-18).
6. შეთქმულების საგანი (2 სამუელი 15:12; დაბადება 37:18; 2 კორინთელთა 11:32; საქ. 9:23).
7. დაცინვა (ფსალმუნი 42;3), აბუჩად აგდება, დაგესვლა, მასხარად აგდება (იობი 12:4; მათე 27:29, 31, 41; საქ. 2:13; 17:18, 32; ებრაელთა 11:36).
8. გაცემული — მოღალატურად მოპყრობა (მათე 24:10; ლუკა 21;16; ფსალმუნი 41:9).
9. აბუჩად აგდება — უგულებელყოფა, შეზიზღება, არაფრად მიჩნევა, უპატიოდ ჩათვლა (1 კორინთელთა 1:28; 4:10გ).
10. ოჯახის მიერ მოძულებული (მათე 10:21, 34-36; მიქა 7:6; ლუკა 21:16).
11. ადამიანებისაგან მოძულება (ლუკა 21:17; მათე 10:22; იობი 19:19).
12. ცილის წამება, მკვლელობა, ბოროტი ხმების გავრცელება (ფსალმუნი 31:13; იობი 19:19; 1 პეტრე 2;12; 1 კორინთელთა 4:13).
13. საკუთარი ხალხისაგან დაშინება (საქ. 9:26).
14. განსაკუთრებული სასამართლოს საგანი (1 კორინთელთა 4:9-14; 2 კორინთელთა 11:23-28).
15. დაპატიმრება (ლუკა 21:12; საქ, 4:3; 5:18; 12:4; 16:24; 2 კორინთელთა 6:5; 11:23გ; ებრაელთა 11:36ბ).
16. ცემა (საქ. 5:40; 16:23; 2 კორინთელთა 6:5; 11:24; მათე 10:17).
17. წინააღმდეგობის გაწევა (საქ. 13:45).

18. საწინააღმდეგოდ არევ-დარევა.
(საქ. 6:12; 13:50; 14:2, 19; 19:23, 25, 26.29; 21:27).
19. ძალაუფლების წინააღმდეგ სარჩელი
(საქ. 18:12; მათე 10:17, 18)
20. მუქარა (საქ. 4:18, 21; 5:40).
21. ჩაქოლვა (საქ. 7;58, 59; 14:19; 2კორინთელთა 11:25; ებრაელთა 11:37).
22. მწუხარება (2 ტიმოთე 3:11; ფსალმუნი 34:19).
23. განდევნა (საქ. 13:50; იოანე 16:2ა).
24. განადგურება, უკიდურესი დაღლა (2 კორინთეთა 11:27).
25. შიმშილი და წყურვილი (2 კორინთელთა 11;27; 1 კორინთელთა 4:11).
26. სპექტაკლი (1კორინთელთა 4:9; საქ. 9:16; 20:23; 21:11; ებრაელთა 10:33ა).
27. ფიზიკური საჭიროებისათვის ტანჯვის ატანა (1 კორინთელთა 4:11; 2 კორინთელთა 6:4; ფილიპელთა 4:12; ებრაელთა 11:37).
28. მოწამეობრივი სიკვდილი (ლუკა 21:16; საქ. 7:59; 12:2; იოანე 16:2).
29. წყენა (2 ტიმოთე 1:8; 4:5; მათე 24:9; ფსალმუნი 34:19; 2 კორინთელთა 4:17; 6:4; ებრაელთა 10:32, 23; 11:25, 37; კოლასელთა 1:24; 1 თესალონიკელთა 1:6; 3, 7; იაკობი 5:10).
30. სიღარიბე (2 კორინთელთა 6:10; ფილიპელთა 4:12).
31. საკუთრებისა და მატერიალური კეთილდღეობის დაკარგვა (ებრაელთა 10:34ბ).

## დევნიდან გამოსვლისათვის საჭირო ზოგიერთი აუცილებლობა

I. სულიერი ლიდერების შერჩევა და დამოწაფება სახარების მიხედვით (საქ. 14:21, 22: ტიტე 1:5).
   ა. ლიდერები არ იყვნენ ამაყნი საკუთარი პოზიციის გამო (1 ტიმოთე 3:6; 1 პეტრე 5:3).

ბ. ლიდერები იყვნენ ნამდვილი მსახურები (1 პეტრე 5:2; იოანე 13:14-17).
გ. ლიდერები გამოირჩეოდნენ ხალხში.
დ. ლიდერები იყვნენ ღირსეული და გულწრფელი ადამიანები, რასაც არა მხოლოდ ქრისტიანები აღირებდნენ, არამედ ყველა ადამიანი.
ე. ლიდერები ფლობდნენ განსაკუთრებულ მხნეობას შეენარჩუნებინათ ჭეშმარიტება.

II. დაუთმე დრო დამოწაფებას (2 ტიმოთე 2:2).
ა. შეარჩიე ღვთის მიერ შერჩეული ადამიანების განსაზღვრული რიცხვი დასამოწაფებლად (ლუკა 6:12).
ბ. გაატარე დრო შენს მოწაფეებთან ერთად (მარკოზი 3:14).
გ. ასწავლე მათ შენი მაგალითით (1 კორინთელთა 4:15, 16; ფილიპელთა 4:9; იოანე 13:14-17).
დ. მიეცი მარტივი, ცხადი ინსტრუქციები (საქ. 20:26, 27).
ე. შეამოწმე გარკვეული მოვალეობების შესასრულებლად დანიშნული მოწაფეები.
ვ. ასწავლე მათ ერთმანეთის წინაშე ვალდებულება-პასუხისმგებლობები და ჩამოუყალიბე ხასიათი (1 ტიმოთე 4:12-16).
ზ. უშუამდგომლე მათ ყოველ დღე.

III. ჩვენი ოჯახები უნდა იყოს დაცული.
ა. დარწმუნდი, რომ ყოველი წევრი დახსნილია და ქრისტე არის მათი უფალი (კოლასელთა 1:9-13; 2 კორინთელთა 13:5; რომაელთა 8:1-14)
ბ. მოამზადე შენი შვილები ქარიშხლის მომასწავებელი ღრუბლის მოსვლისათვის მათ ცხოვრებაში (რიცხვი 6:4-9, 20-25; 11:18-21; 30:2; იგავნი 6:20-24; ჯოშუა 24:14, 15).
გ. შეაგროვე ოჯახისთვის სასარგებლო წმინდა წერილები და სხვა ქრისტიანული ლიტერატურა.

   დ. არასოდეს დაივიწყო გაზიარება სულ მცირე შესაძლებლობის გამოჩენისასაც კი (რომაელთა 12:9-18; 13:8; 15:1; 1 კოლასელთა 16:1; საქ. 20:35; გალატელთა 6:2).

IV. ეძიე ალტერნატიული გზები და მეთოდები ქრისტეს ტარებისა და დამოწმების გასაგრძელებლად (მათე 16:18).
   ა. დაასაქმე ახალგაზრდები და მოაწყე ღონისძიებები მათი მონაწილეობით.
   ბ. გაარკვიე ყველაფერი სხვების წამების შესახებ და ესტუმრე მათ (ებრაელთა 13:3).
   გ. აჩვენე წრფელი სიყვარული ყველაზე ზრუნვაში, განსაკუთრებით – საჭიროების შემთხვევაში; მაგალითად, საკვების გაზიარებისას ან ავადმყოფობის დროს გამხნევებით. სხვა განსაკუთრებულ საჭიროებებში და გარდაცვალების დროსაც (მათე 25:35-40; 5:34-45; იაკობი 1:27; 2 ტიმოთეს 1:16-18; რომაელთა 12:20).
   დ. დაიცავი თავი სიმწრისაგან (რომალეთა 12:14, 17, 19, 21; მათე 5:38-48)
   ე. ნუ მიუზღავ ბოროტს ბოროტით (მათე 5:44; ლუკა 23:34; საქ. 7:60; 1 კორინთელთა 4:11-13; 1 პეტრე 2:23).
   ვ. ილოცე შენი მტრებისათვის (მათე 5:44).

## ᲛᲝᲕᲐ ᲦᲐᲛᲔ, ᲠᲝᲪᲐ ᲕᲔᲦᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲡ ᲙᲔᲗᲔᲑᲐᲡ

(იოანე 9:4).

მიუხედავად წარმოდგენილი ციფრებისა, 40 ერი არის „დაკეტილი“ სახარების საქადაგებლად. სხვა ქვეყნები კი რელიგიური თავისუფლების დაკარგვის უდიდესი საფრთხის წინაშე იმყოფებიან. რას ვიტყვით ამ ქვეყანაში მცხოვრები სულების შესახებ? იერემია 8:20 ღაღადებს. ჩვენ უნდა „ვაკეთოთ მისი საქმე – ვიდრე დღეა“ (იოანე 9:4).

I. ქრისტეს სიტყვის მიღება.
  ა. რას შეიძლება გულისხმობდეს სიტყვა „ღამე“? იმას, რომ ქრისტეს არყოფნა იგივეა რაც „ღამე“ (სიბნელე-სინათლის უქონლობა).
    1. როდესაც ხალხი ეწინააღმდეგება სახარებას და ქრისტეს, ეს არის „ღამე“ (მარკოზი 5:17).
    2. როდესაც რელიგია აალდება ვნებით, შურისგებით და განუდგება ღმერთს, არის „ღამე“. ქრისტე ჯვარცმულ იქნა რელიგიური ებრაელების მიერ (მათე 27:20-25).
    3. როდესაც უღიარებელი და მიუტევებელი ცოდვა დაშვებულია მორწმუნეების ცხოვრებაში, არის „ღამე“ (1 იოანე 1:5, 6).
    4. ქრისტე დაბრუნდება და „საუკუნო ღამე“ დადგება მრავალთათვის (მათე 24:30, 31).
  ბ. რა შეიძლება იგულისხმებოდეს სიტყვა „საქმეში“?
    1. ღვთის ნებისადმი მორჩილება ნიშნავს „შეასრულო მისი საქმეები“. (იოანე 9:4)
    2. როდესაც ნებას ვრთავთ ქრისტეს იმუშაოს ჩვენში და ჩვენით — ეს არის „მისი საქმეების შესრულება“ (მათე 5:15, 16).

II. როგორ მოდის ღამე როდესაც ვეღარავინ იმუშავებს?
  ა. სიბნელის ძალები მუშაობენ, რომ მოიტანონ სიბნელე ქვეყნიერებაზე და უფრო მეტად განსაკუთრებულ რეგიონებში (ეფესელთა 5:11; 6:12).
  მათი მეთოდებია: სახალხო ჰუმანიზმი, ახალი ერა, პოლიტიკური ძალების მსახურება, მცდარი კულტები, ამორალობა...
  ბ. სატანა თესავს სიბნელის მარცვალს გულებში, ეკლესიებში და საზოგადოებაში (მათე 13:24-28).

III. რატომ შეიძლება მოვიდეს ღამე, როცა ვეღარავინ შეძლებს შრომას?
  ა. ბუნებრივი მოვლენაა, რომ ღამის შემდეგ მოდის დღე.

ბ. ჩვენ ვცხოვრობთ ბოროტების უდიდეს სივრცეში და ბიბლია აცხადებს, რომ ბოროტება გაიზრდება უფრო მეტად (2 ტიმოთე 3:13).

გ. სინათლის ნაკლებობა, სუსტი ქრისტიანები გავლენას ვერ მოახდენენ ამ ქვეყნიერებაზე (მათე 6;22, 23; 5:13-15; გამოცხადება 3:15, 16).

დ. სულიერი სიბნელის დროს, ცოდვა აღარ არის ცოდვა და გზას აცდენა კი – შეცდომა (2 ტიმოთე 3:1-9; 4:3, 4).

IV. რა უნდა გავაკეთოთ?

ა. ვისარგებლოთ დღის სინათლის უპირატესობით.

1. მაინც უნდა შევიდეთ, კარი „დაკეტილია“ თუ არა. (მივიტანოთ სახარება ბევრ ადამიანთან.ეს შეიძლება მოხერხდეს მეტნაკლებად ეფექტური საშუალებებით მოკლე დროშიც კი).

2. გაარჩიე ქვეყნიერებაზე მომწიფებული მინდვრები (ღვთის სული ამზადებს გულებს განსაკუთრებული ადგილებისათვის, განსაკუთრებულ დროს).

3. თუ გეგულება „გახსნილი და შემწყნარებელი“ ტერიტორიები, გამოიყენე ძალისხმევა სახარების საქადაგებლად განსაკუთრებული მომენტისთვის; მაგალითად, პავლე შედიოდა ყველა ქალაქის სინაგოგაში და ამზადებდა საზოგადოებრივ აზრს ღმერთსა და სახარებაზე (საქ. 13:5, 14, 15; 17:1-3; 18:2, 4; 19;8).

4. გამოხატე კულტებისა და „იზმების“ საწინააღმდეგო პოზიცია ახალ სამისიონერო არეში.

ბ. ნუ გაცვლი სახარებას კულტურულ ან საზოგადოებრივ რელიგიაში ან უბრალოდ საეკლესიო შენობაში.

გ. დროა იმოქმედო! (აფრიკული ანდაზა: „გაიქეცი ვიდრე მზე მაღლაა“.)

1. მოდი ვილოცოთ და ვიმარხულოთ, ჭეშმარიტად ვეძიოთ ღმერთი (ესაია 55:6, 7; ფსალმუნი 32:6, 7).

2. განვიწმინდოთ და ვაღიაროთ ყველა ნაცნობი ცოდვა (ესაია 1:16, 17; იერემია 4:14; რომალეთა 12:9; იოანე 17:17).
3. იარე სულში და მოიგე სულები (რომაელთა 13:13; გალატელთა 5:25; ეფესელთა 4;1; 5:15, 16; კოლასელთა 1:10; ფილიპელთა 2:14-16).

## გამოცდის გამარჯვებად შემობრუნება

(იაკობი 1:2-12)

პოპულარული ქადაგებები და სწავლებები ქრისტიანულ ცხოვრებას გვისახავს არსებობად პრობლემების გარეშე.

შევხედოთ ამ საკითხს ბიბლიის გადმოსახედიდან და აღმოვაჩენთ, რომ ღმერთი „უცნაური მსახურების“ ავტორია. თავის მსახურებაში ღმერთი ყველა მიზეზს გამოიყენებს კარგი საქმისთვის (რომაელთა 8:28). კურთხევები შესაძლოა გახვეული იყოს წყევლის საბურველში. მწუხარება შენიღბულია ნამდვილი სიხარულით. განსაცდელში, წყენაში და ტანჯვაში, ღმერთს სურს, რომ დაასრულოს რაღაც, რაც სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ჩვენს ცხოვრებაში. ღმერთი არასოდეს კარგავს დროს და გამოცდილებას თუ ჩვენ სწორად ვუპასუხებთ. ღმერთი არის მარადიული. მიიღე ღმერთი. აღიარე, რომ განსაცდელი და ტანჯვა არის ბუნებრივი და ნორმალური ცოდვისა და დისციპლინის გამო.

ბედნიერად თავის გრძნობასა თუ არ გრძნობაში განსხვავება არ ნიშნავს პრობლემისა და განსაცდელის არ არსებობას. განსხვავება პრობლემისადმი დამოკიდებულებაში მდგომარეობს.

## განსაცდელთან დამოკიდებულების ორი გზა

1.ღვთის გზა — ასრულებს მრავალ რამეს სასიკეთოდ.
2.ქვეყნიერების გზა — ხორციელი რეაქცია, რომლის შედეგიცაა წინააღმდეგობა, სიმწარე და ნაადრევი სიკვდილიანობა.

ამ მდგომარეობათა გაცნობიერება არის არა მხოლოდ შემთხვევითობა, არამედ აღიარება, რომ ღმერთი განაგებს ყველაფერს.

1. ყველაფერი ღვთის ხელშია.
2. ეს ყველაფერი კარგია.

ღმერთს ნებავს, რომ:

1. განსაცდელი გადაიქცეს გამარჯვებად.
2. მსხვერპლნი გახდნენ გამარჯვებულნი.
3. ჯვარი გადაიქცეს გვირგვინად.
4. ტანჯვა — დიდებად.
5. ბრძოლა — გამარჯვების გზად.

იაკობი 1:2 – სასამართლო
1;3 – ცოდნა
1:4, 9 – ნება
1:5, 6 – კითხვა

ოთხი სასიცოცხლო რამ განსაცდელზე გამარჯვებისათვის.

1. სიხარულით დამოკიდებულება (მ.2)
2. მიზნის გაგება (მ. 3)
3. სურვილის დამორჩილება (მ.4)
4. გული, რომელსაც სურს ირწმუნოს (მ. 6-8)

I. ყველაფერი სიხარულად ჩათვალეთ: სიხარულით სავსე დამოკიდებულება (იაკობი 1:2).
   ა. გარეგნობა განსაზღვრავს შინაგანს. დამოკიდებულება განსაზღვრავს მოქმედებას.
   ბ. განსაცდელს უნდა მოელოდე (მ.2; 1 პეტრე 4:12).
   გ. „როდესაც სხვადასხვა განსაცდელში ვარდებით“. (მ.2ბ) სხვადასხვა და მრავალფეროვანი (მაგალითად: როგორც დაზგა ქსოვს სხვადასხვაფერ ძაფს ხალიჩისათვის. უკანა მხრიდან თუ შეხედავ, მხოლოდ გახუნებული ფერები ჩანს, უხეში, არაფერი მოსაწონი არ მოგხვდება თვალში, მხოლოდ ქაოსი. ახლა წინა მხრიდან შეხედეთ, რომელიც განსაზღვრული იყო

დასანახად, სადაც ფორმებს, სილამაზეს და მიზანს დაინახავთ). ასე ურევს ღმერთი გამოცდილებას და მოვლენებს ჩვენს ცხოვრებაში, რათა რწმენაში გავიზარდოთ.

დ. ფასეულობა განსაზღვრავს ღირებულებებს.
   1. თუ ვინმე კომფორტს უფრო აფასებს, ვიდრე ხასიათს, განსაცდელი ვერ მიაღწევს მასში ღვთის ნების აღსრულებას.
   2. თუ ვინმე მატერიალურს და ფიზიკურს უფრო აფასებს, ვიდრე სულიერს, საცოდავი აღმოჩნდება განსაცდელში.
   3. თუ ვინმე ახლანდელს ამჯობინებს მომავალს, განსაცდელი წარმოშობს სიმწარეს, ვიდრე უკეთესობას.

II. ცოდნა: მიზნის გაგება. (იაკობი 1:3)

ა. რწმენა ყოველთვის იცდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, არასოდეს ქონია ადგილი დამხსნელ რწმენას.

ბ. ღმერთმა გამოსცადა აბრაამი, რომ ეკურთხებინა და განევრცო მისი რწმენა ვარჯიშით.
   1. ღმერთი ცდის, რათა მიიღოს საუკეთესო შედეგი.
   2. სატანა ცდის და აცდუნებს რათა მიიღოს უარესი.

გ. გამოცდა მუშაობს ჩვენთვის და არა ჩვენს საწინააღმდეგოდ. (რომაელთა 8:28)

დ. განსაცდელი სამართლიანად გვიწევს დახმარებას ზრდასრულობის მიღწევაში (რომაელთა 5:3, 4).
   1. მიზანი, მოთმინება, ატანა, მომზადება, შეუპოვრობა, უნარიანობა (ადექი, დაიწყე, გააგრძელე, იარე, დაასრულე სარბიელი).
   2. მოთმინება არ არის პასიური, მდგომარეობის ფატალურად მიღება, არამედ მხნეობით აღსავსე შეუპოვრობა ტანჯვისა და სირთულეების წინაშე.
   3. მოუთმენლობა და ურწმუნოება ყოველთვის ერთად არიან (ებრაელთა 6:12; 10:36; ესაია 28:16).

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 102 4/13/2012 11:13:24 AM

III. მოდი: გარემოვიცვათ მისი ნებით. (იაკობი 1:4)
ღმერთს არ შეუძლია იმოქმედოს ჩვენი თანხმობის გარეშე. თუ განსაცდელს გარემომცველი ნების გარეშე მივიღებთ, მოვიქცევით როგორც გათამამებული, გაფუჭებული, ეგოისტი, ზრდადაუსრულებელი ბავშვები.

IV. ითხოვე გული, რომელსაც სურს ირწმუნოს (იაკობი 1:5, 6).
ა. რისთვის უნდა ვილოცოთ? სიბრძნე (რატომ არა მადლი ან ძალა?)
ბ. ცოდნა არის ინფორმაცია. სიბრძნე შეესაბამება ცოდნას.
გ. სიბრძნე გვჭირდება, რომ არ დავკარგოთ შესაძლებლობები, რომელსაც ღმერთი გვაძლევს ჩვენს სასიკეთოდ, ჩვენი ზრდისა და ღმერთის განდიდებისათვის.
დ. ღმერთი უშვებს სიტუაციებს, რათა აგვაშენოს. სატანა კი შემთხვევებს იყენებს ჩვენს დასანგრევად.

## ᲔᲭᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲣᲮᲘᲚᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

(ფილიპელთა 4:7; გალატელთა 3:23; 1 პეტრე 1:5)

1. დაე, ღვთის მშვიდობა იყოს როგორც შადრევანი ან წყაროს წყალი თქვენს ცხოვრებაში (ფილიპელთა 4:7).
2. განაცხადე ყველა ეჭვი და წუხილი (ფილიპელთა 4:6; იაკობი 4:7)
3. დაიცავი შენი აზრები; იფიქრე უბრალოდ და სწორად (ფილიპელთა 4:8).
4. შენი გონება და თვალი მიაპყარი უფალს და მის საქმეებს (ესაია 26:3; კოლასელთა 3:1-3; მათე 6:33).
5. გამოიყენე ზებუნებრივი იარაღი ყოველ ზებუნებრივ ბრძოლაში (2 კორინთელთა 10:4-6).
7. შეიმოსე ღვთის ჯავშნით (მათე 6;25-34; 7:7-11; 17:20; 21:22; მარკოზი 11:22-24).
8. იარე სულით (გალატელთა 5;16-26; რომაელთა 6:14-23; 8:1-23).

9. დაამყარე შენი იმედი მხოლოდ ღმერთზე (ებრაელთა 3:6, 12-14; 6:11, 12; 10:19-23, 35-39).
10. მიანდე ყველა ფიქრი და საზრუნავი ღმერთს (1 პეტრე 5:7)

## ქრისტიანული ტანჯვის საზღაური (1 პეტრე 4:13).

1. დიდება ზეცაში (2 კორინთელთა 4:17, 18; 1 პეტრე 5:1, 10, 11).
2. საუკუნო ნუგეშის ცემა (2 კორინთელთა 1:7; რომაელთა 8;17).
3. იესო იქნა ცნობილი (2 კორინთელთა 4:11).
4. სიცოცხლე მიეცათ სხვებს (2 კორინთელთა 4:12).
5. ღვთის მადლი გაცხადდა სხვებისათვის (2 კორინთელთა 4:15).
6. გარანტია, რომ ღმერთი სამართლიანად განსჯის (2 თესალონიკელთა 1:4, 5).
7. მასთან ერთად იმეფებ (2 ტიმოთე 2:12ა).
8. დიდების სული ივანებს (1 პეტრე 4;14).
9. ღმერთის დიდება გამობრწყინდა (1 პეტრე 4:16).
10. სიხარულის მიზეზი (1პეტრე 4:13, 14).

## ქრისტეს შვიდმაგი ტანჯვის მაგალითი
(1 პეტრე 2:21-24; 3:14-17)

1. ტანჯვები (1 პეტრე 2:21; მათე 16:24; 1 იოანე 2:6).
2. უცოდველობა (1 პეტრე 2:22; ესაია 53:9).
3. უწყინარობა (1პეტრ 2:22); მოტყუება.
4. სიყვარული, როდესაც მასხრად გიგდებენ (1 პეტრე 2:23; ესაია 53:7; რომაელთა 5:3; 12:14; მათე 5:44-48; იაკობი 1:2-4).
5. მოთმინება მუქარაში. (1 პეტრე 2:23; რომაელთა 12:12; ლუკა 21:19)
6. ღვთისადმი მორჩილება (1 პეტრე 2:23; 4:19; ლუკა 23:46). ვალდებულების აღება; ღვთისადმი მინდობა.
7. სამართლიანობა (1 პეტრე 2:24); სამრთალიანი, მიუკერძოებელი, მიუდგომელი.

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 104 4/13/2012 11:13:24 AM

## ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲓᲔᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲖᲐᲓᲘᲡᲨᲘ: ᲠᲩᲔᲕᲔᲑᲘ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲑᲘᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

**ეფესელთა 6:5-8; კოლასელთა 3;22-25**

1. დაემორჩილეთ ბატონებს ყველაფერში (ეფესელთა 6:5; კოლასელთა 3:22).
2. პასუხისმგებლობა — შიშითა და კანკალით (ეფესელთა 6:5; კოლასელთა 3:22). ყველაფერში — გეშინოდეთ ღმერთის (არა ჩვენი მოწონებითა და დაწუნებით არჩეული; არა სასიამოვნო საქმეების არჩევითად კეთებით და არასასიამოვნოს უარყოფით).
3. არა სხვის დასანახად სამსახური (ეფესელთა 6:6ა; კოლასელთა 3:22გ).
4. ღვთის ნების შესრულება (ეფესელთა 6:6გ; კოლასელთა 3:22გ).
5. გულიდან (ეფესელთა 6:6დ; კოლასელთა 3:22დ) მთელი გულით.
6. კეთილი სურვილებით — სიხარულითა და აღტაცებით (ეფესელთა 6:7).
7. თუ ადამიანები არ გაღიარებენ, ღმერთის მიერ იქნებით აღიარებულნი (ეფესელთა 6:8; კოლასელთა 3:24, 25) უფალი მოგიზღავთ. (გალატელთა 6:7-9)

**ტიტე 2:9, 10**

1. დაემორჩილეთ ბატონებს (ტიტე 2:9ა) ასიამოვნეთ ყველაფერში. (ტიტე 2:9ბ).
2. არ შეუბრუნოთ სიტყვა (ტიტე 2:9გ), არ დაუპირისპირდეთ; ნუ დაანახებთ სხვა ადამიანს ცუდ სინათლეს.
3. არ მოიპარონ (ტიტე 2:10), არც მოტყუება ან ღალატი; არც ძარცვა ან მცირედში ორგულობა (ლუკა 16.10) აჩვენო კარგი მეობა. ყველაფერში ერთგული, დიდშიც და პატარაშიც (ლუკა 16:10).

## 1 პეტრე 2:18-20

1. დაექვემდებარე (1 პეტრე 2:18ა), დაემორჩილე, პასუხისმგებლიანი, დამოკიდებული, შეკრული, კონტროლის უნარის მქონე ან კონტროლის ქვეშ მყოფი, სხვისი ხელის წამშველებელი.
2. მთელი შიშით (1 პეტრე 2:18ბ), პატივი მიაგე ან აღიარე სხვისი თანამდებობა.
3. იტანჯე უსამართლოდ (1 პეტრე 2:19, 20), მოთმინებით; ნუ განსჯი ტანჯვას ან წამებას.
4. მისდიე ქრისტეს მაგალითს (1 პეტრე 2:21-23), მოწოდებული ხარ ქრისტეს ნაბიჯისაკენ.

## ჩვენი ბრძოლების სულიერი ბუნება

(ეფესელთა 6:12; 2 კორინთელთა 10:3, 4)

ჩვენი გამარჯვება არის ქრისტეში (რომაელთა 8:32, 37; 1 კორინთელთა 15:57). მართალია, რომ ბევრი ბრძოლაა მსოფლიოს გარშემო, დამარცხებები, ზურგშექცევა, დახურული კარი, სულიერი მარცხი და სიკვდილიც კი... და მაინც, ამის მიღმა არის რაღაც პრინციპები, რომელზეც უნდა შევაჩეროთ ყურადღება ჩვენდა გასამხნევებლად.

I. ღმერთი ჯერ კიდევ მარადიულია და ყველაფერს აკონტროლებს (ესაია 40;15; დანიელი 2:20-22; 4:35; იობი 12:14-23; ფსალმუნი 75:6, 7; 76:10; იერემია 27;5-7; იგავნი 1:24-31; ებრაელთა 13:8).

II. ღმერთი არასოდეს იტყუება დაპირებებში (2 კორინთელთა 1:20; 2 პეტრე 1:4).
დაახლოებით შვიდი ათასამდე დაპირებაა ბიბლიაში მორწმუნეთა ნებისმიერი საჭიროებისათვის
(ისუ ნავე 21:45: 23:14; 1 მეფეთა 8:56; ებრაელთა 6;13-18; საქ. 7:5; 2 პეტრე 3:9.
დაპირებებთან დაკავშირებით: ებრაელთა 2:3; ესაია 30:18; ფსალმუნი 34:8; იგავნი 16:20; იერემია 17:7, 8)

III. გამარჯვება გარდაუვალია, რადგან უფალს აქვს ხელმწიფება.
უფლის მიერ მოცემული ყოველი მცნებით გვეძლევა საკმარისი მადლი, რათა აღვასრულოთ ან მივიყვანოთ იგი სრულ გამარჯვებამდე (2 კორინთელთა 9:8; 12:9. ეფესელთა 3:20).

მორჩილ ეკლესიას უფალი პირდება:
ა. თავის ძალას – ავტორიტეტს (მათე 28:18).
ბ. თავის თანდასწრებას (მათე 28:20).
გ. თავის კურთხევას (ფილიპელთა 4;13-19).

IV. გამარჯვება დამოკიდებულია უფლის მოსვლაზე (2 თესალონიკელთა 2:8).
მხოლოდ მის დიდებაში (გამოცხადება 1:5-8; 19:11-16; ფილიპელთა 2:9-11; ეფესელთა 1:19-22; რომაელთა 16:18; ესაია 11:3-5; იობი 4:3-9; ფსალმუნი 91:14-16).

## ᲔᲡ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲐᲥ

1. როგორი რეაქცია ჰქონდა ხალხს ნოეს განცხადებაზე? (მათე 14:37-39).
2. რა უპასუხა პეტრემ იესოს ნათქვამს მის ტანჯვასა და სიკვდილზე: (მათე 16:21-22).
3. როგორი რეაგირება ჰქონდა იესოს ამაზე? (მათე 16:23).
4. რა თქვა იესომ მოსალოდნელ ტანჯვაზე? (მათე 26:31).
6. რა მოხდა როცა ეს ყველაფერი აღსრულდა? (მათე 26:69-75).
7. რატომ უარყო პეტრემ რწმენა?
8. რა არის უნიკალური პეტრეს შემთხვევაში?
9. შეგიძლიათ დაასახელოთ ანალოგიური შემთხვევები, სადაც ხალხი მსგავსი არჩევნის წინაშე იდგა?
   ბიბლიიდან:
   მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან;

10. რას ამბობს 1 თესალონიკელთა 5:3 ხალხზე, რომელთაც სჯერათ, რომ არაფერს შეუძლია მათი უსაფრთხოების დარღვევა?
11. პეტრეს უნდა ესწავლა ეს თავის ცხოვრებაში პრაქტიკულად. ახსენით მაგალითი (მათე 14:29-31).
12. სიტუაციაში ჩათრეულმა ლოტმა არასწორი არჩევანი გააკეთა.
    ა. რა იყო ეს არჩევანი? (დაბადება 13:10, 11).
    ბ. რა იყო შედეგი? (დაბადება 19:15-26).
    გ. რატომ ვერ იფიქრა ლოტმა სოდომისა და გომორის დაქცევის შესახებ?
    დ. როგორი რეაქცია ჰქონდათ სიძეებს? (დაბადება 19:14).
13. რა მოულოდნელობა შეემთხვა მდიდარ კაცს იესოს იგავში. (ლუკა. 12: 16-21).
14. რა დაემართა მდიდარ კაცს იესოს მიერ მონათხრობ იგავში? (ლუკა 21:8-28).

## დევნის ბიბლიური პრინციპები

1. იოანეს მიხედვით 15:18-21, რა არის ქრისტიანული დევნის მიზეზი?
2. როგორ იქნენ გამხნევებულნი მოწაფეები პავლესა და ბარნაბას მიერ? (საქ. 14:22).
3. ვის დევნიდნენ სინამდვილეში? (საქ. 9:4, 5).
4. 2 ტიმოთეს 3:12 მიხედვით, დევნა შესაძლებელია, ნაკლებად შესაძლებელი თუ წარმოუდგენელი?
5. მოიყვანეთ მაგალითები, რატომ ტოვებს მრავალი ქრისტიანი იესოს (მათე 13:20, 21).
6. რას მოელის ქრისტე ჩვენგან? (მათე 16;24)
7. რომელ სამ სიკეთეს პირდება უფალი იმათ, ვინც მზად არის დევნისათვის? (მათე 5:10-12)
8. ღმერთის დაპირებებს თითქმის ყოველთვის მოყვება პირობები.
   მაგალითად: გამოცხადება 3:20.
   რა არის პირობა?
   რა არის დაპირება?

9. დაასახელე დაახლოებით სამი მსგავსი ტექსტი.
10. რომელი პირობა უძღვის წინ ღმერთის ისრაელისათვის მიცემულ დაპირებას გამოსვლა 11:22-ში?
11. როდის შეიძლება დავეყრდნოთ ღვთის დაპირებებს შემდეგზე:
    ა. მშვიდობა (ესაია 26:3).
    ბ. პოლიტიკური სტაბილურობა (1 ტიმოთე 2:1-3).
12. როგორი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს მდევნელების მიმართ?
    ა. მათე 5:44.
    ბ. ლუკა 23:34.
13. როგორი იყო იოანესა და პეტრეს რეაქცია, როდესაც სცემეს რწმენის გამო? (საქ. 5:41).
14. როგორი იყო მოწაფეების ლოცვა დევნისას? (საქ. 4:23-30).
15. რა სახის დევნა არის ნახსენები რომაელთა 8:35-39-ში?
16.რას ამბობს ბიბლია გამარჯვებაზე რომაელთა 8:31-39?
17. დაასახელე, სულ მცირე სამი მუხლი, რომელიც აჩვენებს ქრისტიანების დევნას.
18. დევნა გამრავლდება, მაგრამ გამარჯვება გარდაუვალია. რატომ?

გაქვთ ამის დასამტკიცებელი მუხლები?

19. რა უნდა გააკეთოს თითოეულმა ქრისტიანმა პიროვნული გამოსავლისათვის? (ეფესელთა 6:10-18).
20. აბჯრის რომელი ნაწილი გაკლიათ პირადად თქვენ ცხოვრებაში?
21. გინდათ რომ შეიცვალოთ? გამოკვეთეთ.
22.გამოცხადების 12:11, სატანის კლანჭებიდან გათავისუფლების სამი ხერხია ნაჩვენები. რომლებია ესენი?

26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 110 4/13/2012 11:13:25 AM



# სარჩევი


**იატაკქვეშა ეკლესიისათვის მზადება** . . . . . . . . . . . . . . . 3
რიჩარდ ვურმბრანდის მიერ

**წამება: ქრისტიანული ჰედონიზმის შესაწირავი** . . . . 39
ჯონ ფაიფერი

**დევნის მონახაზი**. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 81
შესწავლისა და გაცნობისათვის. მილტონ მარტინი




26_The Triumphant Church core 2011_11_29.indd 111 4/13/2012 11:13:25 AM